დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მაია ლაპიაშვილი

წევრები:

თამარ თაბუაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ნონა ლაგვილავა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მირანდა თურმანიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დალი კერესელიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ინგა ხრიკაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნონა გამხიტაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ია სეხნიაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ირინე შარაბიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	239404033

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	საჩხერე
ფაქტობრივი მისამართი	საჩხერე, სოფელი ჭალა
საფოსტო ინდექსი	4000
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://bit.ly/4sbt1sB
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	sacchala@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	591052452

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 10 მარტის MES 9 26 0000292418 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 6-7 აპრილი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალის საჯარო სკოლა 1 შენობა – ნაგებობა. სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალის საჯარო სკოლასთან (შერწყმული) სოფელ დარყის დაწყებითი სკოლა 1 შენობა ნაგებობა.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელ ჭალის საჯარო სკოლა. ერთი შენობა.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელ ჭალის საჯარო სკოლა. ერთი შენობა.

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალის საჯარო სკოლის შეფასება განხორციელდა წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტის, თანდართული დოკუმენტაციის, ვიზიტის პროცესში ჩატარებული ინტერვიუების, ვიზუალური დათვალიერებისა და დამატებით წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე. შეფასების პროცესში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის საქმიანობის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან, მათ შორის სკოლის მართვის, ადამიანური რესურსების, სასწავლო გარემოს, უსაფრთხოების, ინფრასტრუქტურისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების მიმართულებებით.

ვიზიტის პროცესში ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა შეხვედრები სკოლის ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან და სხვა დასაქმებულ პირებთან, ასევე განახორციელა როგორც ძირითადი, ისე შერწყმული (სოფელ დარყის) სასწავლო სივრცეების დათვალიერება. პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პრაქტიკის ურთიერთშესაბამისობის შეფასებას.

შეფასების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში რიგ მიმართულებებში ჩამოყალიბებულია ფუნქციონირებადი მექანიზმები და იკვეთება განვითარებისკენ მიმართული მიდგომები, მათ შორის სტრატეგიული დაგეგმვის, სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და პროფესიული განვითარების მიმართულებით. ამასთან, გამოვლინდა ცალკეული საკითხები, რომლებიც საჭიროებს გაუმჯობესებას, განსაკუთრებით ინფრასტრუქტურის, უსაფრთხოების, ინკლუზიური გარემოსა და რესურსებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის მიმართულებით.

ვიზიტის დასრულების შემდეგ სკოლამ ცენტრში წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, დამატებითი მტკიცებულებები და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმები. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი მასალები და შეფასების პროცესში გაითვალისწინა როგორც უკვე არსებული პრაქტიკა და მტკიცებულებები, ასევე იმ ხარვეზების აღმოსაფხვრელად დაგეგმილი ღონისძიებები, რომელთა შესრულებისთვის განსაზღვრულია შესაბამისი ვადები.

შეფასება განხორციელდა ავტორიზაციის სტანდარტების, გზამკვლევის მოთხოვნებისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ვიზიტის, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა რამდენიმე პრაქტიკა, რომელიც სკოლის განვითარებისკენ მიმართულ სისტემურ მიდგომაზე მიუთითებს:

- სკოლაში გამოიკვეთა **STEAM მიმართულების გაძლიერებისკენ ორიენტირებული განვითარებითი ხედვა**, რაც ასახულია როგორც სკოლის ფილოსოფიაში, ისე შვიდწლიან სტრატეგიულ და ერთწლიან სამოქმედო გეგმებში. სკოლა გეგმავს STEAM მიმართულების განვითარების ხელშეწყობას, საგნობრივი კლუბების საქმიანობის გაძლიერებასა და პროფესიული განათლების კომპონენტის ინტეგრირებას.
- სკოლაში ფუნქციონირებს **მასწავლებელთა ურთიერთმხარდაჭერის პრაქტიკა**, მათ შორის ურთიერთდასწრებისა და "კრიტიკული მეგობრის" მიდგომების გამოყენება, ასევე თანამშრომლების მიერ ინიციირებული პროფესიული შეხვედრები, რაც თანამშრომლობითი პროფესიული კულტურის განვითარების ხელშემწყობ გარემოს ქმნის.
- სკოლის მიერ დოკუმენტურად და პრაქტიკაში იკვეთება **განვითარებაზე ორიენტირებული დაგეგმვის მიდგომა**, სადაც შვიდწლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები ურთიერთდაკავშირებულია და ეფუძნება სკოლის განვითარების პრიორიტეტებს.
- მიუხედავად არსებული ინფრასტრუქტურული გამოწვევებისა, სკოლამ ხარვეზების იდენტიფიცირების შემდეგ გამოავლინა **რეაგირების პრაქტიკა და შესაბამის უწყებებთან კოორდინირებული მუშაობის მიდგომა**.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐	**აღწერა** *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა რაოდენობა: 400	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ფორმაში მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 400-ით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული ვიზუალური დათვალიერებისა და ინფრასტრუქტურული რესურსების შეფასების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში ექსპლუატაციისთვის ვარგისი მერხების რაოდენობა შეადგენს 220 ერთეულს, ხოლო დამატებით 50 მერხი საჭიროებს შეკეთებას. მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების რეალური შესაძლებლობები. მოცემულ შემთხვევაში არსებული რესურსი არ იძლევა 400 მოსწავლის ერთდროულად განთავსებისა და შესაბამისი სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის შესაძლებლობას. ამჟამად სკოლაში ირიცხება 199 მოსწავლე, მათ შორის 10 სსსმ მოსწავლე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება სტატუსის მაძიებლის მიერ წარმოდგენილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას და მიიჩნევს, რომ არსებული ინფრასტრუქტურული რესურსების გათვალისწინებით, სკოლისთვის მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა უნდა **განისაზღვროს 250-ით.**

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	*სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება და არსებული ხარვეზებ აღმოფხვრა* ***2028 წლის 15 მაისამდე****, კერძოდ:* *1. სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალის საჯარო სკოლასთ შერწყმული სოფელ დარყის დაწყებითი სკოლის შენობა ვიდეოსათვალთვალო სისტემის დამონტაჟება;* *2. იმავე შერწყმულ სკოლაში შიდა საპირფარეშოების მოწყობა;* *3. უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული სკოლის ორივე შენობ ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება;* *4. შერწყმულ სკოლაში უსაფრთხოების საკითხებზე პასუხისმგებელ პირის განსაზღვრა;* *5. სოფელ ჭალის საჯარო სკოლის ტერიტორიაზე არსებულ ამორტიზებული სათბურის დემონტაჟი.*
ინდიკატორი: 3.4.1.2	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას	*სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება და არსებული ხარვეზებ აღმოფხვრა* ***2026 წლის 15 სექტემბრამდე****, კერძოდ:* *1. სკოლის ექიმის სამუშაო გრაფიკის შემუშავება, მათ შორის სსიპ საჩხერ მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალის საჯარო სკოლასთან შერწყმულ სოფელ დარყის დაწყებითი სკოლის მოსწავლეებისთვის სამედიცინ მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით;* *2. სამედიცინო კაბინეტის სრულად აღჭურვა პირველად დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტებითა და ინვენტარით, მოქმედ რეგულაციების მოთხოვნების შესაბამისად.*
3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლ საქმიანობისთვის შესაბამის	*სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება და არსებულ*

	ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებიდ	*ინფრასტრუქტურული ხარვეზების აღმოფხვრა **2028 წლის 15 მაისამდ** კერძოდ:* 1. *სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალის საჯარო სკოლასთ შერწყმული სოფელ დარყის დაწყებითი სკოლის სასწავლო კორპუს ადაპტირება, მათ შორის პანდუსისა და შესაბამისი სველი წერტილ მოწყობა;* 2. *იმავე შერწყმულ სკოლაში ღია სპორტული მოედნის მოწყობა;* 3. *მოძრავი ბიბლიოთეკის მოწყობა, რათა უზრუნველყოფილი იყ მოსწავლეების თანაბარი ხელმისაწვდომობა საბიბლიოთეკ რესურსებსა და სერვისებზე;* 4. *კომპიუტერული ლაბორატორიის მოწყობა სასწავლო პროცეს საინფორმაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობისა და გამოყენებ უზრუნველსაყოფად.*
3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	***რეკომენდაცია:*** *სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება და ინკლუზიურ საგანმანათლებლო გარემოს შექმნასთან დაკავშირებული არსებულ ხარვეზების აღმოფხვრა **2028 წლის 14 მაისამდე**, კერძოდ:* 1. *სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალის საჯარო სკოლასთ შერწყმული სოფელ დარყის დაწყებითი სკოლის სასწავლო კორპუს პანდუსის ან კიბეზე მიმაგრებული ლიფტის დამონტაჟება, ფიზიკურ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით;* 2. *იმავე სკოლაში ადაპტირებული საპირფარეშოს მოწყობა, სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე და შეზღუდულ შესაძლებლობის მქონე პირებისთვის გარემოს ხელმისაწვდომობ უზრუნველსაყოფად.*
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი 3.1.2.2	*სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებულ პრევენციული და ინტერვენციულ პერსონალის მართვის პოლიტიკა*	*სასურველია სკოლამ შეიმუშაოს და დაამტკიცოს **საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის ერთიანი პოლიტიკის დოკუმენტი**, რომელიც მოიცავს:* ○ *პერსონალის საჭიროებების წინასწარ ანალიზს;* ○ *რისკების იდენტიფიცირების მექანიზმებს;* ○ *შემცვლელთა მართვის სისტემას;* ○ *სტანდარტიზებულ ინტერვენციულ პროცედურებს.*
ინდიკატორი 3.1.2.4	*პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს*	***სასურველია,** სკოლამ გააძლიეროს **დეფიციტურ საგნებში კვალიფიციური კადრების მოზიდვის პროაქტიული მექანიზმები** (მათ შორის წინასწარი დაგეგმვა, თანამშრომლობა სხვა სკოლებთან ან რესურსცენტრთან) და მოახდინოს მსგავსი შემთხვევების **დოკუმენტური გამყარება** (ვაკანსიების გამოცხადების ისტორია, უარის წერილობითი ფორმები და სხვა).*
ინდიკატორი 3.2.1.1.	*სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა დ პროფესიული განვითარების საჭიროებაზ დადგენის მექანიზმები*	*შეფასების მექანიზმი სასურველია, დაყრდნობილი იყოს დოკუმენტურა განსაზღვრულ მეთოდოლოგიაზე; სასურველია მისი გაწერა HR პოლიტიკ ფარგლებში ან სხვა დოკუმენტის სახით.*
3.2.1.2	*პერსონალის განვითარება ხორციელდე გამოვლენილი საჭიროებების საფუძველ შემუშავებული გეგმის შესაბამისად*	*პერსონალის განვითარების დადასტურებული პრაქტიკა საფუძვლიანი მაგრამ სასურველია გეგმების სტრუქტურიზაცია დოკუმენტურად (მ პერსონალის განვითარების წლიური გეგმის სახით).*

3.2.1.4	*სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან*	*პრაქტიკის დასტაბილურების მიზნით მიზანშეწონილია ინტეგრაციის წესის დოკუმენტური გაფორმება.*
3.4.1.2	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას*	*სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს პირველადი დახმარების სერვისის ხელმისაწვდომობა მოქმედი რეგულაციის შესაბამისად (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება N41/ნ/01-23/ნ, 21 მარტი, 2022).*
3.4.1.5	*სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას*	*მიზანშეწონილია: ნაგვის გატანაზე ფორმალური ხელშეკრულების გაფორმება, რაც უფრო გამჭვირვალეს გახდის პროცესს ადმინისტრაციულ დონეზე და გამოიკრას სველი წერტილების დალაგების/შემოწმების გრაფიკი.*
3.5.1.2	*დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის*	*სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს საზოგადოებრივი სივრცეები სარგებლობის კონტექსტზე მორგებული წესები.*
3.5.1.3	*სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით*	• *სასურველია. ბიბლიოთეკარმა შეიმუშავოს საქმიანობის წლიური გეგმა და უზრუნველყოს ანგარიშგების წესი (მაგ., აქტივობების ჟურნალის წარმოება);* • *ბიბლიოთეკის სარგებლობის წესში ასახოს აქტივობების გამართვის პრინციპები და გაწეროს პასუხისმგებლობები;* • *სკოლამ უზრუნველყოს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის რეგულარული განახლება და მოძველებული ნაწილის ჩამოწერა;* • *წარმოდგენილი იქნას ფლობის სრული დოკუმენტაცია ან/და ჩამოწერის დოკუმენტი;*

		• *გაგრძელდეს მეორე კორპუსთან დაკავშირებული მექა865ნიზმების პრაქტიკაში დანერგვა და მონიტორინგი.*
3.6.3.2	*სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას*	*სასურველია, ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელი პირი განისაზღვროს სკოლის დირექტორის ბრძანებით.*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*რჩევა*
ინდიკატორი N 2.1.2 1	*უცხოური ენა*	***რჩევა:*** *სასურველია კურიკულუმში გაწერილი იყოს ყველა შემოქმედებითი პროდუქტი, რომელსაც მოსწავლეები სასწავლო წლის განმავლობაში ქმნიან, ასევე სასურველია, შემოქმედებითი დავალების პირობა იყოს მოკლე და კონკრეტული. ასევე სასურველია კურიკულუმის ქუდში მითითებული იყოს სახელმძღვანელო (საათობრივი ბადე. ასევე თითოეული თემის გრაფაში მიეთითოს ამ თემისთვ(განკუთვნილი საათების რაოდენობა.*
ინდიკატორი N 2.1.2 1	*ესთეტიკური აღზრდა*	***რჩევა:*** *საბაზო საფეხურზე, მე-8 და მე-9 კლ მუსიკის საგნის კურიკულმში გათვალისწინებულ იქნას დროში მოსწრებადი, განხორციელებადი შემოქმედებითი დავალების რაოდენობა (თემაში ერთი), საათობრივი ბადით განსაზღვრულ საათების რაოდენობასთან მიმართებით, ასევე გათვალისწინებული იქნას იმ საკითხების დამუშავება, რომელიც შემოქმედებით დავალებამდე მისვლაში დაგეხმარებათ.* *მუსიკის საგანში - როგორც საბაზო საფეხურის კურიკულუმებში სრულყოფილად გაიწეროს პირველი ცნება - „ბგერა"*
ინდიკატორი N 2.1.2	*სპორტი*	***რჩევა:*** *სასურველია, სამივე საფეხურის კურიკულუმებში გაიწეროს საათების რაოდენო(თითოეული თემის მიხედვით. ასევე, 1, 2, 3, და 4 კლასების კურიკულუმებ(*

1		*მითითებული თემა „გასართობი თამაშები ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთ ელემენტებით“ სასურველია გაიწეროს ცალ-ცალკე.*
ინდიკატორი N 2.1.2 ***2.***	*უცხოური ენა*	***რჩევა:*** *სასურველია, დამატებითი რესურსების მეტი რაოდენობა. როგორც კათედრ წევრებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებ მრავალფეროვან დამატებით რესურსებს, რაც არ არის მითითებული კურიკულუმებ სასურველია მათი ასახვა შესაბამის გრაფაში. იმ რესურსების ბმულები, რომლებ კურიკულუმშია მითითებული, მოქმედია. სასურველია ყველა შემოქმედები პროდუქტის გაწერა, რომელსაც მოსწავლეები წლის განმავლობაში ქმნიან.*
ინდიკატორი N 2.1.2 ***3***	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებებ*	*სასურველია, სკოლამ მოკლევადიან პერსპექტივაში უზრუნველყ საბუნებისმეტყველო ლაბორატორია სასკოლო ქიმიური რეაქტივებით ,რა მოსწავლეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა პრაქტიკული და კვლევითი უნარებ სრულყოფილი განვითარებისათვის.*
ინდიკატორი N 2.1.2 ***3***	*ესთეტიკური აღზრდა*	***რჩევა: სასურველია მასწავლებლებმა სამივე საფეხურის კურიკულუმების შესაბამის ველში სრულად შეიტანონ ის ელექტრონული (ბმულები) თუ ფიზიკური რესურსები, რომლებსაც იყენებენ გაკვეთილებზე.***
ინდიკატორი N 2.1.2 ***3***	*უცხოური ენა*	***რჩევა:*** *სასურველია მეტი დამატებითი რესურსის, კერძოდ საგანმანათლებლო აპლიკაციების, გვერდების, აუდიო და ვიდეომასალის მოქმედი ბმულების რესურსის გრაფაში მითითება. ასევე კარგი იქნება კონტექსტ-მაგალითების მითითება ყველა თემისთვის.*
ინდიკატორი N 2.1.2 ***3***	*სახელმწიფო ენა*	***რჩევა:*** *სასურველია, შეივსოს სასწავლო კურიკულუმები და ყოველ მათგანში რესურსებად მიეთითოს ის გრიფირებული სახელმძღვანელოები, რომლებიც კათედრამ შეარჩია წლის დასაწყისში, ამასთანავე, დამატებითი რესურსები და ის მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები, რომლებიც თავად მასწავლებლების მიერაა შექმნილი.*
ინდიკატორი N 2.1.2 ***3***	*სპორტი*	***რჩევა:*** *სასურველია დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში დამატებითი რესურსი მოძრავი თამაშობანი (1968 წ.), ჩანაცვლდეს უფრო თანამედროვე რესურსებით, მაგ.,*

		„მოძრავი თამაშების კრებული დაწყებითი კლასის მოსწავლეთათვის (2024 წ.), ან/და „სპორტის გზამკვლევი (1-6 კლასები) (2011).
ინდიკატორი N 2.1.2 ***3***	*დაწყებითი საფეხური*	***რჩევა:*** *სასურველია, სამომავლოდ, უფრო მეტი მატერიალური და ელექტრონული რესურსით გამდიდრდეს კურიკულუმები.*
ინდიკატორი N 2.1.2 ***4***	*უცხო ენა*	***რჩევა:*** *სასურველია, დიფერენცირებული მიდგომები ზოგადად ჩანდეს სწავლა-სწავლების პროცესში, მაგალითად, მოსწავლეებს მიეცეს არჩევანის საშუალება, თავისი სურვილისამებრ წარმოადგინონ შემოქმედებითი პროდუქტი, მაგალითად, პაუერ პოინტის პრეზენტაციის, ვიდეორგოლის ან პლაკატის სახით, რათა შეძლოთ თავიანთი უნარების მაქსიმნალურად გამოყენება და წარმოჩენა.*
ინდიკატორი N 2.1.2 ***4***	*ესთეტიკური აღზრდის კათედრა*	***რჩევა:*** *სასურველია ისგ-ში საგნის ცნებაზე/ცნებებზე დაფუძნებული აქტივობები იყოს შემოთავაზებული მუსიკის საგანში სსსმ მოსწავლის დოკუმენტაციაში სრულყოფილად გაიწეროს პირველი ცნება - „ბგერა" სახვით და გამოყენებითი ხელოვნების საგნის სსსმ მოსწავლის დოკუმენტაციაში დაკორექტირდეს ცნებები*
ინდიკატორი N 2.1.2 ***5***	*უცხოური ენა*	***რჩევა:*** *სასურველია, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იყოს უფრო კონკრეტული და იძლეოდეს გრადაციის საშუალებას: წარმატებული/კარგი/საშუალო/საჭიროებს განვითარებას, რაც საშუალებას მისცემს პედაგოგს, უკეთ განსაზღვროს მოსწავლის საჭიროებები. ასევე სასურველია, შემუშავდეს შეფასების რუბრიკების სახელმძღვანელოს თითოეული თემისთვის, სადაც გაწერილი იქნება ის ცოდნა და უნარები, რაც უნდა შეიძინოს მოსწავლემ თითოეული თემის დასრულების შემდეგ.*
ინდიკატორი N 2.1.2 ***5***	*ესთეტიკური აღზრდა*	***რჩევა:*** *მუსიკის საგანში დაწყებითი და საბაზო საფეხურიზე შეიქმნას: განმსაზღვრელი რუბრიკები, კურიკულუმში გაწერილი თემების ფარგლებში- სამიზნე ცნების, მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით, შედეგების მიღწევის ინდიკატორებზე დაყრდნობით. შემოქმედებითი ტიპის დავალება შეაფასეთ შესაბამისი განმავითარებელი შეფასების რუბრიკით. შეფასების კრიტერიუმები მიემართებოდეს გრძელვადიან მიზნებს, საფეხურის შედეგებს.*

		სასურველია პროექტული სწავლების (X-XI კლ.) ფასილიტაციის და აქტიური მონიტორინგის შედეგები კონკრეტულად აისახოს შეფასების რუბრიკებში.
ინდიკატორი N 2.1.2 ***5***	*დაწყებითი საფეხური*	***რჩევა:*** *სასურველია, ყველა საგანში შემუშავდეს კურიკულუმებში გაწერილ კონკრეტულ დავალებებზე მორგებული რუბრიკები; მკაფიოდ გამოიკვეთოს კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და სტანდარტით მისაღწევი შედეგები.*
ინდიკატორი N 2.2.1 ***1***	*დაწყებითი საფეხური*	***რჩევა-****კათედრამ სამუშაო პროცესის გაანალიზების და შედეგების შეჯამების შემდეგ, პროცესში აღმოჩენილი მიგნებებისა და წარმოშობილი წინააღმდეგობების შესაბამისად, ცვლილებები შეიტანოს კურიკულუმში.*
ინდიკატორი N 2.2.1 ***1***	*დაწყებითი საფეხური*	***რჩევა:*** *სასურველია, კურიკულუმში გაიწეროს იმდენი დავალება, რამდენსაც რეალურად განახორციელებენ.*
ინდიკატორი N 2.2.1 ***3***	*უცხოური ენა*	***რჩევა:*** *სასურველია, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იყოს უფრო კონკრეტული და იძლეოდეს გრადაციის საშუალებას: წარმატებული/კარგი/საშუალო/საჭიროებს განვითარებას, რაც საშუალებას მისცემს პედაგოგს, უკეთ განსაზღვროს მოსწავლის საჭიროებები. ასევე სასურველია, შემუშავდეს შეფასების რუბრიკების სახელმძღვანელოს თითოეული თემისთვის, სადაც გაწერილი იქნება ის ცოდნა და უნარები, რასაც უნდა მიაღწიოს მოსწავლემ თითოეული თემის დასრულების შემდეგ. ასევე სასურველია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების კონკრეტულ პროდუქტებზე მორგება, კერძოდ, ესსეს, ბლოგის, პრეზენტაციის, პლაკატის და ა.შ. მოცემულ თემებზე მორგებული შეფასების რუბრიკების შექმნა, რაც გაუადვილებს მასწავლებელს თითოეული მოსწავლის ობიექტურად შეფასებას.*
ინდიკატორი N 2.2.1 ***3***	*ესთეტიკური აღზრდა*	***რჩევა:*** *მუსიკის საგანში შეიქმნას: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, კურიკულუმში გაწერილი თემების ფარგლებში სამიზნე ცნების, მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით.* *სასურველია პროექტული სწავლების (X-XI კლ) ფასილიტაციის, პროცესის ამსახველი და აქტიური მონიტორინგის შედეგები კონკრეტულად აისახოს შეფასების*

		რუბრიკებში. დაკონკრეტდეს შეფასების კომპონენტები - ჩანდეს სამიზნე ცნებები, საგნის სტანდარტის მისაღწევი შედეგები.
ინდიკატორი N 2.2.1 ***3***	*სახელმწიფო ენა*	***რჩევა:*** *სკოლაში არსებობს კონკრეტული შემოქმედებითი დავალებებისთვის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ფორმების შექმნის საუკეთესო პრაქტიკა, სასურველია, ამ პრაქტიკის გათვალისწინებით, ყველა სამუშაო ფასდებოდეს არა ზოგადი, არამედ კონკრეტულ დავალებაზე მორგებული შეფასების რუბრიკებით.*
ინდიკატორი N 2.2.1 ***3***	*დაწყებითი საფეხური*	***რჩევა:*** *სასურველია, ყველა საგანში აწარმოონ კონკრეტულ დავალებაზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები.*
ინდიკატორი N 2.2.2 ***1***	*დაწყებითი საფეხური*	***რჩევა:*** *სასურველია, საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი თემების დამუშავების დროს მასწავლებლებმა გამოიყენონ მრავალფეროვანი, დამხმარე, მატერიალური და ელექტრონული რესურსები.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ვიზიტის დასრულების შემდეგ სკოლამ ცენტრში წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, დამატებითი მტკიცებულებები და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, მათ შორის დამატებით დოკუმენტაციას, შესაბამის უწყებებთან განხორციელებულ კორესპონდენციას, შესყიდვების პროცესთან დაკავშირებულ მასალებსა და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში განსაზღვრულ აქტივობებს.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია იმ საკითხებთან მიმართებით, სადაც დაწესებულებამ დაადასტურა, რომ:

- გამოვლენილი ხარვეზები იდენტიფიცირებულია;

- დაწყებულია შესაბამისი რეაგირების პროცესი;
- წარმოდგენილია ხარვეზების აღმოფხვრის კონკრეტული ღონისძიებები;
- განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები, რესურსები და შესრულების ვადები;
- ხარვეზების აღმოფხვრა დამოკიდებულია ინფრასტრუქტურულ, ფინანსურ ან უფლებამოსილი უწყებების ჩართულობაზე დამოკიდებულ პროცესებზე.

ექსპერტთა ჯგუფმა შეფასებისას გაითვალისწინა სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმები იმ საკითხებთან მიმართებით, რომლებიც უკავშირდება ფიზიკური უსაფრთხოების, სამედიცინო მომსახურების, ინკლუზიური გარემოსა და ინფრასტრუქტურული რესურსების გაუმჯობესებას.

ექსპერტთა ჯგუფმა **გაიზიარა** სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და მიიჩნევს, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი დამატებითი მასალები მნიშვნელოვანწილად ადასტურებს დაწესებულების მზაობას გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიმართულებით, თუმცა შესაბამისობის შეფასება განხორციელდა არა მხოლოდ განზრახვებისა და გეგმების, არამედ წარმოდგენილი მტკიცებულებების, პრაქტიკისა და განსაზღვრული ვადების რეალისტურობის შეფასების საფუძველზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია ასახავს უსაფრთხო, ინოვაციური და ხარისხიან განათლებაზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, მოსწავლეთა პიროვნული განვითარების ხელშეწყობასა და მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ ჩართულობას, რაც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების ძირითად პრინციპებს.

სკოლის ხედვა განსაზღვრავს გრძელვადიან განვითარებას და ორიენტირებულია STEAM მიმართულებების გაძლიერებასა და ინტეგრირებული პროფესიული განათლების დანერგვაზე, რაც მიუთითებს სკოლის მისწრაფებაზე თანამედროვე და კონკურენტუნარიანი საგანმანათლებლო სივრცის ჩამოყალიბებისკენ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით ასევე დასტურდება სკოლის მისიისა და ხედვის შემუშავების პროცესი — წარმოდგენილია სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ დირექტორის ბრძანება და სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი, რაც მიუთითებს პროცესის ორგანიზებულობაზე და გააზრებულ მიდგომაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის მისია და ხედვა შინაარსობრივად შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

1.1.1.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, სკოლის მისია პირდაპირ მიუთითებს უსაფრთხო და განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნაზე, რაც შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას. მისიის შინაარსში ხაზგასმულია უსაფრთხო გარემო, ხარისხიანი განათლება და მოსწავლეთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ჩართულობა, რაც ასახავს როგორც უსაფრთხო სივრცის, ასევე სოციალური ფუნქციის გააზრებას.

ამასთან, თვითშეფასებაში წარმოდგენილი აღწერილობა მიუთითებს, რომ სკოლა საკუთარ საქმიანობაში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას (ფიზიკური და ფსიქო-სოციალური უსაფრთხოება, უსაფრთხოების ნორმების დაცვა, საინფორმაციო შეხვედრები, პრევენციული აქტივობები), ასევე მოსწავლეთა და მშობელთა ცნობიერების ამაღლებას.

სკოლა ასევე აღწერს აქტივობებს, რომლებიც დაკავშირებულია პიროვნულ განვითარებასთან - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, კლუბური მუშაობა (მათ შორის STEAM მიმართულებით), არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობები და თანამშრომლობითი გარემოს შექმნა, რაც შეესაბამება სოციო-კულტურული სივრცის კონცეფციას.

1.1.1.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით დასტურდება, რომ სკოლის მიერ შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით და მოიცავს სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენელს.
ასევე წარმოდგენილია სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი, სადაც განხილულია სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტი, რაც მიუთითებს პროცესის ორგანიზებულობაზე და ჩართულობის არსებობაზე.

წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება განხორციელდა არა ინდივიდუალურად, არამედ კოლეგიური განხილვის საფუძველზე, რაც შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას სასკოლო საზოგადოების ჩართულობის შესახებ.

ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტაციით სრულად არ იკვეთება ჩართულობის მასშტაბი (მაგ.: მშობლების, მოსწავლეების ან ფართო საზოგადოების მონაწილეობის კონკრეტული ფორმები), თუმცა სამუშაო ჯგუფის არსებობა , განხილვის პროცესი და ვიზიტის დროს სკოლის მიერ გაზიარებული პრაქტიკა ადასტურებს ჩართულობის მექანიზმის გამოყენებას.

1.1.1.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტი განხილულია სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, სკოლამ წარმოადგინა მშობლებთან, მოსწავლეებთან, სასკოლო თემთან კომუნიკაციის პრაქტიკა რაც წარმოადგენს გაზიარების საწყის ეტაპს.

ამასთან, თვითშეფასების დოკუმენტსა და წარმოდგენილ მასალებში იკვეთება, რომ აღნიშნული ხედვები გამოყენებულია სკოლის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში, რაც მიუთითებს, რომ ისინი ინტეგრირებულია სკოლის საქმიანობაში და გაზიარებულია ადმინისტრაციულ და პროფესიულ დონეზე.

მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი დოკუმენტაციით ნაკლებად იკვეთება სასკოლო საზოგადოების ყველა ჯგუფის (მშობლები, მოსწავლეები) მიერ მისიისა და ხედვის გაცნობისა და გაზიარების ფორმალური მტკიცებულებები (მაგ.: შეხვედრების ოქმები, დადასტურებული უკუკავშირი).

1.1.1.(4) ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით სკოლას აქვს ვებ-გვერდი/ელექტრონული პლატფორმა, სადაც განთავსებულია სკოლის შესახებ ინფორმაცია, მათ შორის მისია, ხედვა და ღირებულებები. ასევე აღნიშნული დოკუმენტები გამოკრულია სკოლის ფოიეში. სკოლამ წარმოადგინა დამრიგებლების მიერ მისიის, ხედვისა და ღირებულებების მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან გავრცელების პრაქტიკა.

ვიზიტის პროცესში სკოლამ უზრუნველყო აღნიშნული ინფორმაციის სრულყოფილად წარმოდგენა და დადასტურდა, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდ ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის.

წარმოდგენილი მტკიცებულებებით იკვეთება, რომ სკოლა უზრუნველყოფს აღნიშნული ინფორმაციის გავრცელებასა და ხელმისაწვდომობას, რაც აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნას.

1.1.1.(5) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლის სახელწოდებაა: „სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალის საჯარო სკოლა", რაც შეესაბამება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის აღმნიშვნელ კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს - „საჯარო სკოლა".

სახელწოდება სწორად ასახავს სკოლის იურიდიულ სტატუსსა და ტერიტორიულ კუთვნილებას და თანხვედრაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებასთან („ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ") და 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანებასთან („საჯარო სკოლის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ").

სახელწოდება ერთგვაროვნად გამოიყენება სკოლის ოფიციალურ დოკუმენტაციაში.

1.1.1.(6) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
- სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტი
- სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი (მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტის პროექტის განხილვა)
- სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალის საჯარო სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა (2025–2032)
- სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალის საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- სკოლის ვებ-გვერდი / ელექტრონული რესურსი (მისიის, ხედვისა და ღირებულებების საჯარო ხელმისაწვდომობა)
- სკოლის ოფიციალური სახელწოდება (წარმოდგენილ დოკუმენტაციაში)

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილია დირექტორის 2025 წლის 15 სექტემბრის N2-72 ბრძანებით დამტკიცებული **„სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალის საჯარო სკოლის მისია-ხედვა-ღირებულებების დოკუმენტის, 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების ციკლური გეგმის და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია"**. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს სტრატეგიული და ერთწლიანი დაგეგმვის ორგანიზების წესს, სამუშაო ჯგუფის როლს და დაგეგმვის პროცესის ეტაპობრივ წარმართვას. ამავე ბრძანებით დაკომპლექტებულია სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან დირექციის, სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლის წარმომადგენლები, რაც მიუთითებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მექანიზმის არსებობაზე.

წარმოდგენილი შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის შესავალ ნაწილშიც ასახულია, რომ გეგმის შემუშავების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, მომზადდა საჭიროებათა შეფასება (SWOT ანალიზი), გაიმართა სამუშაო შეხვედრები და სასკოლო საზოგადოების უკუკავშირი გათვალისწინებულ იქნა საბოლოო დოკუმენტებში. ეს ადასტურებს, რომ მეთოდოლოგია მხოლოდ დეკლარაციული ხასიათის არ არის და მისი გამოყენება დოკუმენტურად იკვეთება.

ამდენად, სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიური დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს და შეესაბამება გზამკვლევის მოთხოვნას.

1.2.1.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილია **„სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალის საჯარო სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების ციკლური გეგმა, 2025-2032 სასწ/წელი“**, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N7-ით, 11.11.2025. დოკუმენტი შვიდწლიანია, რაც პირდაპირ აკმაყოფილებს ინდიკატორის ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნას. სტრატეგიული გეგმის შესავალ ნაწილში მითითებულია, რომ მისი მიზანია განსაზღვროს სტრატეგიული მიმართულებები და ამოცანები, რომლითაც სკოლა იხელმძღვანელებს მომდევნო შვიდი წლის განმავლობაში.

ამავე დოკუმენტში ასახულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, რის საფუძველზეც შემდგომ ჩამოყალიბებულია სტრატეგიული მიმართულებები, მიზნები და ამოცანები. ეს მიუთითებს, რომ სტრატეგიული გეგმა ეფუძნება სკოლის ფილოსოფიას და მასში გაწერილი მიზნები თავსებადია მისიასთანა და ხედვასთან. წარმოდგენილი სტრატეგიული დოკუმენტი ციკლურ დაგეგმვაზეც მიანიშნებს, რადგან მისი შესავალი და მეთოდოლოგიური საფუძველი უკავშირდება საჭიროებების შეფასებას, დაგეგმვასა და შემდგომი განვითარების პროცესს.

ამგვარად, სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს და შეიცავს მიზნებსა და შესაბამის ამოცანებს.

1.2.1.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილია **სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალის საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025 წლის ნოემბერი – 2026 წლის ნოემბერი)**, რაც ადასტურებს, რომ სამოქმედო გეგმა ერთწლიანია. გეგმის შინაარსობრივ ნაწილში აქტივობები მიბმულია სტრატეგიული განვითარების მიმართულებებსა და ამოცანებს, რაც ადასტურებს მის კავშირს შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმასთან.

სტრატეგიული განვითარების გეგმის შესავალშიც მითითებულია, რომ სამუშაო ჯგუფმა საჭიროებების შეფასებისა და სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის საფუძველზე განსაზღვრა სკოლის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. ამასთან, თვითშეფასების ფორმაში სკოლა აღწერს, რომ სტრატეგიული და ერთწლიანი დაგეგმვა ეფუძნება შიდა შეფასების პროცესს. თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტაციით ცალკე ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიში ამ ეტაპზე არ იკვეთება. მიუხედავად ამისა, თვითშეფასების ფორმა, სტრატეგიული გეგმის შესავალი და ერთწლიანი გეგმის სტრუქტურა ერთობლიობაში აჩვენებს, რომ სკოლა სამოქმედო გეგმას განიხილავს სტრატეგიული დაგეგმვისა და შეფასების პროცესთან კავშირში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი და ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას. ყოველწლიურ თვითშეფასებასთან კავშირი წარმოდგენილია დოკუმენტური აღწერის დონეზე.

1.2.1.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა სტრუქტურირებულია სტრატეგიული მიზნების, ამოცანების და კონკრეტული აქტივობების მიხედვით. აქტივობების გასწვრივ მითითებულია განხორციელების პერიოდი, მოსალოდნელი შედეგები, რესურსი და პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები. მაგალითად, პერსონალის განვითარების, სასწავლო პროცესის მხარდაჭერის, არაფორმალური განათლების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისა და სხვა მიმართულებებით აქტივობები გაწერილია დროის ჭრილში, შესაბამისი პასუხისმგებელი პირებისა და რესურსების მითითებით. ეს მიუთითებს, რომ გეგმა ოპერაციულად არის ჩამოყალიბებული და მისი შესრულება დაკავშირებულია კონკრეტულ ამოცანებთან.

ამასთან, გეგმაში გამოყენებულია ისეთი შედეგობრივი ფორმულირებები, როგორიცაა „კვლევის შედეგების გათვალისწინებით შემუშავებული სამოქმედო გეგმა", „მხარდაჭერის ამუშავებული მექანიზმი", „კალენდარული წლის განმავლობაში მინიმუმ 1 სტატუსამაღლებული მასწავლებელი", „ოლიმპიადებსა და კონფერენციებში მონაწილეობის ამსახველი მასალების განთავსება" და სხვა, რაც შესრულების გაზომვის შესაძლებლობას იძლევა. რესურსების ნაწილში მითითებულია ადამიანური, მატერიალური და ფინანსური წყაროები, რაც გეგმას რეალისტურობის ნიშნებს ანიჭებს.

ამდენად, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შეიცავს სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებზე მიბმულ აქტივობებს, შესრულების ინდიკატორებს, ვადებს, პასუხისმგებელ პირებსა და შესაბამის რესურსებს.

1.2.1.(4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
• სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 15 სექტემბრის N2-72 ბრძანება — სამუშაო ჯგუფის დაკომპლექტებისა და მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ.

• სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალის საჯარო სკოლის მისია-ხედვა-ღირებულებების დოკუმენტის, 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების ციკლური გეგმის და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია.
• სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალის საჯარო სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების ციკლური გეგმა, 2025-2032 სასწ/წელი, დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N7-ით, 11.11.2025.
• სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალის საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025 წლის ნოემბერი – 2026 წლის ნოემბერი).
• ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა.1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი **სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია** მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. დოკუმენტში განსაზღვრულია, რომ მონიტორინგი ხორციელდება ეტაპობრივად, პასუხისმგებელი პირების ანგარიშგების საფუძველზე, ხოლო შეფასება ეფუძნება შესრულების ინდიკატორების ანალიზს. ასევე გაწერილია სამეურვეო საბჭოს როლი მონიტორინგის პროცესში, რაც მიუთითებს ზედამხედველობის მექანიზმის არსებობაზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სკოლას გააზრებული აქვს მონიტორინგისა და შეფასების პროცესი და იგი გაწერილია მეთოდოლოგიურ დონეზე.

1.2.2.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

მეთოდოლოგიასა და სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, მათ შორის ანგარიშგება, სამუშაო შეხვედრები და უკუკავშირის მიღების შესაძლებლობა.

თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ არის სრულად წარმოდგენილი განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პრაქტიკული მტკიცებულებები (მაგ.: შუალედური ან წლიური ანგარიშები, შეფასების შედეგების დოკუმენტირებული ანალიზი, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის ამსახველი მასალები).

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ მექანიზმები გაწერილია და პროცესი აღწერილია, მისი პრაქტიკაში სრულყოფილი განხორციელება წარმოდგენილი მტკიცებულებებით სრულად ვერ დასტურდება.

1.2.2.(2) ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდ უნდა გავრცელდეს, მათ შორის სკოლის ვებ-გვერდის, საინფორმაციო რესურსებისა და შეხვედრების საშუალებით.

ვიზიტის პროცესში დადგინდა, რომ სკოლას აქვს შესაბამისი ელექტრონული რესურსი (ვებ-გვერდი), სადაც განსაზღვრულია სპეციალური ველი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშების განსათავსებლად.

სკოლის განმარტებით, შესრულების შედეგების ანალიზი და ანგარიშების გამოქვეყნება ხორციელდება სასწავლო წლის დასრულების შემდეგ, რაც შეესაბამება დაგეგმვის ციკლურ ბუნებას.

აღნიშნული მიუთითებს, რომ საჯაროობის მექანიზმი არა მხოლოდ განსაზღვრულია, არამედ პრაქტიკულად უზრუნველყოფილია ციკლურად, შესაბამის პერიოდში.

1.2.2.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლის მიერ წარმოდგენილი **სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია** განსაზღვრავს, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების ანალიზი წარმოადგენს შემდგომი დაგეგმვის საფუძველს. დოკუმენტში აღწერილია შეფასება–დაგეგმვის ციკლური კავშირი, რაც უზრუნველყოფს სკოლის განვითარების უწყვეტობას.

მეთოდოლოგიით გათვალისწინებულია, რომ შესრულების შეფასება ხორციელდება სასწავლო წლის ბოლოს, რის შემდეგაც ხდება შედეგების ანალიზი და მათი გამოყენება მომდევნო პერიოდის დაგეგმვის პროცესში.

ვიზიტის პროცესში დადასტურდა, რომ სკოლას აქვს განსაზღვრული შესაბამისი მექანიზმი და სტრუქტურა (მათ შორის ვებ-გვერდზე შესაბამისი ველი), სადაც უნდა აისახოს შესრულების ანალიზი და ანგარიშები.

იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა გადის პირველადი ავტორიზაციის პროცესს და მიმდინარე ციკლი ჯერ დასრულებული არ არის, შეფასების შედეგების გამოყენების პრაქტიკული მაგალითების არარსებობა განპირობებულია დროითი ფაქტორით და არ მიუთითებს მექანიზმის არქონაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლაში განსაზღვრულია შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმი და დაგეგმვის ციკლური მიდგომა.

1.2.2.(4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
• სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალის საჯარო სკოლის მისია-ხედვა-ღირებულებების დოკუმენტის, 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების ციკლური გეგმის და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია
• სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალის საჯარო სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა (2025–2032)
• სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალის საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
• სკოლის ვებ-გვერდი / ელექტრონული რესურსი
• ვიზიტის პროცესში მიღებული ინფორმაცია (ინტერვიუები და დაკვირვება)

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის განმარტებით, ორგანიზაციული სტრუქტურა შეესაბამება ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს და მოიცავს ყველა სავალდებულო რგოლს (სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი და სხვ.). ასევე, მითითებულია, რომ ფუნქციური პასუხისმგებლობები გაწერილია შრომით ხელშეკრულებებში. სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა "სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების ფუნქციების გადანაწილების წესი", სადაც განსაზღვრულია სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუქნქციები.

გარდა ამისა, **ფიქსირდებოდა სტრუქტურულ დოკუმენტში შეუსაბამობა კათედრების ჩამონათვალში სახელმწიფო ენის კათედრის ნაცვლად ფიქსირდებოდა ქართული ენის კათედრა**. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი და შეიტანა ცვლილება სკოლის სტრუქტურის დოკუმენტში, შესაბამისად

3.1.1.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის თვითშეფასებაში კარგად არის ასახული ფუნქციური ერთეულების მიზნობრივი დანაწილების სარგებლიანობა - სკოლა აღნიშნავს, რომ სტრუქტურა ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ორგანიზებულ წარმართვას, და რომ დაგეგმილია პერიოდული მონიტორინგიც ფუნქციური ეფექტიანობის გადამოწმებისთვის.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ფუნქციების ეფექტიანობის მონიტორინგი ჯერ მხოლოდ **დაგეგმვის ეტაპზეა** და არა მოქმედი პრაქტიკის სახით. ამის გამო ვერ დგინდება, რამდენად ეფუძნება არსებული სტრუქტურა მტკიცებულებას რეალურ საჭიროებებსა და შედეგიანობაზე.

დასმული ფუნქციები ზოგად დონეზე ცნობილია (მაგ. მრჩეველთა საბჭოს, დისციპლინური კომიტეტის, კათედრების, თვითმმართველობის და სხვა), ასევე ვიზიტის პერიოდში სკოლამ **წარმოადგინა ფუნქციათა და პასუხისმგებლობათა განაწილების დოკუმენტი**, რაც საჭიროა როლისა და პასუხისმგებლობის გამიჯვნის ხარისხის დასადგენად.

3.1.1.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის სტრუქტურა
2. შრომითი ხელშეკრულებები
3. სკოლის შინაგანაწესი
4. საშტატო განრიგი

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის პროცესში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლის პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის საქართველოს შრომის კოდექსის, „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანების მოთხოვნების გათვალისწინებით.

სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ მასწავლებელთა შერჩევა ხორციელდება კონკურსის საფუძველზე, ვაკანსიების გამოქვეყნებით შესაბამის ელექტრონულ პლატფორმაზე (teachers.gov.ge), ხოლო საკონკურსო კომისიის დაკომპლექტება და კონკურსის პროცედურები შესაბამისობაშია მოქმედ რეგულაციებთან.

სკოლის **შინაგანაწესი**, დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ, არეგულირებს შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს, მათ შორის სამუშაო დროის რეჟიმს, შვებულებებს, შრომითი ურთიერთობის წარმოშობისა და შეწყვეტის წესს, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმებს, ასევე განცხადებებისა და საჩივრების განხილვის პროცედურებს. აღნიშნული დებულებები შესაბამისობაშია საქართველოს შრომის კოდექსთან.

ვიზიტის პროცესში სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რაც იძლევა შესაძლებლობას ერთმნიშვნელოვნად დადასტურდეს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი შემუშავებულია და მოქმედებს კონკრეტულად შეფასების პროცესში მყოფ სკოლაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები ძირითადად ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და იკვეთება შესაბამისი პრაქტიკა.

3.1.2.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის პროცესში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია პერსონალის მართვის ძირითადი მექანიზმები, მათ შორის ვაკანტური პოზიციების შევსების პროცედურები. დოკუმენტის მიხედვით, ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში სკოლა აცხადებს კონკურსს და ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, მათ შორის „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით". საკვალიფიკაციო მოთხოვნები ქვეყნდება შესაბამის დასაქმების პლატფორმაზე (teacherjobs.ge), რაც მიუთითებს კადრების შერჩევის პროცესის ფორმალიზებაზე.

ვიზიტის პროცესში სკოლის დირექტორთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პერსონალის დროებითი არყოფნის შემთხვევაში სკოლაში მოქმედებს ფუნქციური გადანაწილების პრაქტიკა: მასწავლებლის არყოფნისას მისი საათები ნაწილდება შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის სხვა მასწავლებლებზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ხდება შემცვლელი მასწავლებლის მოწვევა და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება. აღნიშნული მიუთითებს ინტერვენციული რეაგირების მექანიზმების პრაქტიკულ არსებობაზე.

ამასთან, სკოლა თავად ადასტურებს, რომ ამ ეტაპზე არ აქვს ჩამოყალიბებული და დამტკიცებული საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკის ცალკე, სისტემური დოკუმენტი, რომელიც მოიცავდა წინასწარ დაგეგმილ პრევენციულ ღონისძიებებს (მაგ.: რისკების იდენტიფიცირება, კადრების დეფიციტის პროგნოზირება, შემცვლელთა ბაზის ფორმირება და სხვ.) და ინტერვენციის სტანდარტიზებულ პროცედურებს.

მიუხედავად ამისა, შინაგანაწესის შესაბამისი მუხლები და პრაქტიკაში არსებული მიდგომები (ფუნქციების დელეგირება, საჭიროების მიხედვით კადრების მოძიება, პროცესების ოპერატიული მართვა) მიუთითებს, რომ სკოლაში ჩამოყალიბებულია პერსონალის მართვის გარკვეული სტრუქტურირებული ხედვა, რომელიც პასუხობს ინდიკატორის მოთხოვნას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლაში იკვეთება როგორც პრევენციული, ასევე ინტერვენციული მიდგომების ელემენტები, თუმცა მათი სისტემური, ერთიან დოკუმენტში ფორმალიზებული პოლიტიკის სახით არსებობა წარმოდგენილი არ არის.

3.1.2.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: სასურველია სკოლამ შეიმუშაოს და დაამტკიცოს **საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის ერთიანი პოლიტიკის დოკუმენტი**, რომელიც მოიცავს:

- პერსონალის საჭიროებების წინასწარ ანალიზს;
- რისკების იდენტიფიცირების მექანიზმებს;
- შემცვლელთა მართვის სისტემას;
- სტანდარტიზებულ ინტერვენციულ პროცედურებს.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის პროცესში ჩატარებული შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში პერსონალის შერჩევის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად და უზრუნველყოფს ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვას.

სკოლის მიერ წარმოდგენილია საკონკურსო პროცედურებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, მათ შორის ვაკანსიის გამოცხადების პრაქტიკა, დირექტორის ბრძანებები, საკონკურსო კომისიის დაკომპლექტება და სხდომის ოქმები. დგინდება,

რომ მასწავლებლის ვაკანტური პოზიციების შევსება ხორციელდება კონკურსის წესით, ვაკანსიის საჯაროდ გამოქვეყნებით დასაქმების შესაბამის პლატფორმაზე (teacherjobs.ge), რაც უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების თანაბარ წვდომას.

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია პერსონალის სამსახურში მიღებისას საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ასევე, სკოლის დირექტორთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ აღნიშნული მოთხოვნების განსაზღვრისას სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის" მოთხოვნებით.

დადგენილია, რომ დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება კონკრეტული ვაკანტური პოზიციის საკონკურსო პირობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ხოლო ამავე ბრძანებით იქმნება საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობა შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მოიცავს როგორც სკოლის წარმომადგენლებს, ასევე მოწვეულ სპეციალისტსა და შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელს. აღნიშნული უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების პროცესის ობიექტურობას.

რაც შეეხება სკოლის სხვა პერსონალს, შინაგანაწესის მიხედვით მათი შერჩევა შესაძლებელია როგორც კონკურსის წესით, ასევე გასაუბრების გზით, რაც იძლევა მოქნილობის შესაძლებლობას, თუმცა ამ შემთხვევაშიც დაცულია შესაბამისობისა და შერჩევის მინიმალური სტანდარტები.

ასევე, პერსონალის პირად საქმეებში წარმოდგენილია ნასამართლეობის შესახებ ცნობები და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის, მსჯავრდებისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ დოკუმენტები, რაც მიუთითებს საკადრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლაში პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით.

3.1.2.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის პროცესში ჩატარებული შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში პერსონალის კვალიფიკაცია ძირითადად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა პირადი საქმეები, რომელთა შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია როგორც შრომით ხელშეკრულებებში, ასევე ვაკანსიების განაცხადებში. ამასთან, სკოლას აქვს შემუშავებული **ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი**, სადაც გაწერილია ერთიანი მიდგომა სხვადასხვა პოზიციის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან მიმართებით.

დამატებით, სხვა შიდა დოკუმენტებშიც (მათ შორის საშტატო ერთეულების აღწერებში) წარმოდგენილია მოქმედი პოზიციების საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაც მიუთითებს საკადრო პოლიტიკის სისტემურობაზე.

ვიზიტის პროცესში დადგინდა, რომ მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები შეესაბამება მათ სტატუსს და მოიცავს ყველა სავალდებულო პირობას. მასწავლებელთა კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს, ასევე შესაბამისობაშია სკოლის ექიმის კვალიფიკაცია მის ფუნქციებთან.

ამასთან, გამოვლინდა ცალკეული შემთხვევა ქიმიის საგანში, სადაც სკოლამ ვერ უზრუნველყო შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლის სრულ დატვირთვაზე დასაქმება. სკოლის განმარტებით, ვაკანსია გამოცხადდა რამდენჯერმე, თუმცა შესაბამისი კანდიდატის მოძიება ვერ მოხერხდა, რის შედეგადაც სკოლამ დროებით დაასაქმა უსტატუსო, მცირე საათობრივი დატვირთვის მქონე მასწავლებელი. ვიზიტის პერიოდში ასევე დადასტურდა, რომ შიდა კონკურსის გამოცხადების შემდეგ მოქმედმა ძირითადმა მასწავლებელმა უარი განაცხადა სრულ დატვირთვაზე, რის გამოც სკოლა გეგმავს დამატებით ღია კონკურსის გამოცხადებას.

აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში კვალიფიკაციის შესაბამისობა სრულად ვერ არის უზრუნველყოფილი, თუმცა ამავე დროს იკვეთება სკოლის მცდელობა ვაკანსიის შევსების კანონმდებლობით განსაზღვრული გზით და არსებული რესურსებით სასწავლო პროცესის უწყვეტობის უზრუნველყოფა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლაში პერსონალის კვალიფიკაცია ძირითადად შეესაბამება მოთხოვნებს, თუმცა ცალკეული შემთხვევა (ქიმიის მასწავლებელი) ასუსტებს შესაბამისობის ხარისხს.

3.1.2.(4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: სასურველია, სკოლამ გააძლიეროს **დეფიციტურ საგნებში კვალიფიციური კადრების მოზიდვის პროაქტიული მექანიზმები** (მათ შორის წინასწარი დაგეგმვა, თანამშრომლობა სხვა სკოლებთან ან რესურსცენტრთან) და მოახდინოს მსგავსი შემთხვევების **დოკუმენტური გამყარება** (ვაკანსიების გამოცხადების ისტორია, უარის წერილობითი ფორმები და სხვა).

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სამუშაო ჯგუფები და სრუქტურული ერთეულები მუშაობენ გუნდურობის პრინციპით, იკრიბებიან სხდომებზე და ოქმის სახით იღებენ გადაწყვეტილებებს. საგნობრივი კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. კათედრის წევრებს შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, ერთად გეგმავენ სხვადასხვა პროექტებს. კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან და გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, ერთობლივ პროექტებს. სკოლის პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოებს, საგნობრივ კათედრებს, მრჩეველთა საბჭოს აქვთ სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრული სამუშაო შეხვედრები, იკრიბებიან და განიხილავენ საკითხებს. გადაწყვეტილებების მიღება ხდება კენჭისყრის საფუძველზე.

სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში ჩართულები არიან სკოლის პედაგოგები და დირექციის წარმომადგენლები.

შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობები იკრიბებიან და გუნდურად იღებენ გადაწყვეტილებებს თავმჯდომარის არჩევაზე, აქტივობების დაგეგმვაზე, კლუბების შექმნაზე, შეიმუშავებენ კლასისა და თვითმმართელობის ქცევის წესებს, ირჩევენ წარმომადგენელს დისციპლინურ კომიტეტში. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წვრები მასწავლებლებს ესწრებიან გაკვეთილებზე და აძლევენ განმავითარებელ შეფასებას და რეკომენდაციებს. სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები აქტიურად იყვნენ ჩართული თვითშეფასების პროცესში.

სკოლამ გაგვიზიარა თანამშრომლობითი კულტურის პრაქტიკა, მჭიდრო კავშირი მენეჯმენტსა და პედაგოგებს შორის, ისგ-ს ჯგუფური მუშაობის პრაქტიკა, მშობელთა აქტიური ჩართულობა. ეს ყველაფერი მეტყველებს დემოკრატიულ მიკროორგანიზაციულ გარემოზე და საერთო პასუხისმგებლობაზე. შესაბამისად,

3.1.2.(5) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული დოკუმენტი არ არსებობს, სკოლაში ფუნქციონირებს პრაქტიკული მექანიზმები - წარმატებული პრაქტიკების გაზიარება კათედრების სხდომებზე, აღიარება სოციალურ ქსელებსა და პედაგოგიურ საბჭოებზე. პრაქტიკა სისტემური და მამოტივირებელია.

სკოლის მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში ხორციელდება წარმატებული გამოცდილების აღიარება და გაზიარება. სკოლამ წარმოადგინა კათედრებისა და სამუშაო ჯგუფების დებულებები და პროექტები, სადაც გაწერილია პედაგოგთა შორის ურთიერთთანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარების გზები, კერძოდ, პედაგოგები გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით თანამშრომლობენ სხვა კათედრებთან, პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას, გეგმავენ და ატარებენ ურთიერთდასწრებას („კრიტიკული მეგობარი“), ინტეგრირებულ და პროქტ - გაკვეთილებს.

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია წახალისების ფორმები. სკოლასთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ თანამშრომელთა წახალისება ხდება: მოტივაციის ამაღლების მიზნით, მუშაობაში მოპოვებული წარმატებისთვის, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, აგრეთვე, დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის და/ან საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის. სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულთა მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები:

ა) მადლობის გამოცხადება;

ბ) სიგელით დაჯილდოება;

გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;

დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა.

აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარების და გაზიარების მექანიზმი

3.1.2.(6) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თანამშრომელთა პირადი საქმეები
- შრომითი ხელშეკრულებები (მასწავლებლებისა და სხვა პერსონალის)
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- ვაკანსიების განაცხადები
- სკოლის შინაგანაწესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლა მიუთითებს, რომ წლის ბოლომდე დაგეგმილია განვითარებაზე ორიენტირებული შეფასების სისტემის შექმნა, რომელიც დაფუძნებული იქნება ზრდასრულთა სწავლების თანამედროვე პრინციპებზე და გახდება სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტის ნაწილი.

ამ დროისთვის შეფასების მექანიზმი **დაგეგმვის სტადიაშია**, თუმცა პრაქტიკაში არსებობს საჭიროებების იდენტიფიცირების ელემენტები: მაგალითად, სემესტრული ანალიზის საფუძველზე მიღწევებისა და პრობლემური ზონების გამოყოფა.

რჩევა: შეფასების მექანიზმი აუცილებელია დაყრდნობილი იყოს დოკუმენტურად განსაზღვრულ მეთოდოლოგიაზე; სასურველია მისი გაწერა HR პოლიტიკის ფარგლებში ან სხვა დოკუმენტის სახით.

3.2.1.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლა გვაწვდის ინფორმაციას, რომ საჭიროებების იდენტიფიცირების საფუძველზე შემუშავდება პერსონალის განვითარების სამოქმედო გეგმა. აღწერილია პრაქტიკა, რომელიც ითვალისწინებს სემესტრის ბოლოს მიღწევებისა და გაუმჯობესების საჭიროებების კოლეგიური გაანალიზებას.

თუმცა **გეგმა ჯერ არ არის წარდგენილი დოკუმენტის სახით**, ანუ განვითარების პროცესი იმყოფება ნაწილობრივ ფორმალიზებულ მდგომარეობაში. აღსანიშნავია, რომ პერსონალის განვითარებას ეთმობა ადგილი ერთწლიან სამოქმედო გეგმაში.

რჩევა: დადასტურებული პრაქტიკა საფუძვლიანია, მაგრამ სასურველია **გეგმების სტრუქტურიზაცია დოკუმენტურად** (მაგ. პერსონალის განვითარების წლიური გეგმის სახით).

3.2.1.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სკოლაში განხორციელებული პრაქტიკა - თანამშრომლების ჩართულობა ტრენინგებსა და სემინარებში, შესაბამისი ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფა, სერტიფიკატების არსებობა - მიუთითებს რეალურ, აქტიურ მხარდაჭერაზე.

ამავდროულად, მიღებული ცოდნის გამოყენება კოლეგიალურ დონეზეც ფიქსირდება, რაც ზრდის ეფექტიანობას.

3.2.1.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლას ამ ეტაპზე **არ აქვს ფორმალურად გაწერილი ადაპტაციის წესი**, თუმცა სკოლამ გაგვიზიარა ფუნქციური პრაქტიკა: ახალი კადრისთვის ხელშეწყობა და არაოფიციალური ინტეგრაციის კულტურა. წარდგენა თანამშრომელებთან, კლასებთან, მოადგილე ეხმარება ახალ მასწავლებელს, ასევე კოლეგები, კათედრა, არსებობს ურთიერთდასწრება

დადებითად აღსაქმელია ის, რომ მომავალში დაგეგმილია ადაპტაციის ეტაპების გაწერა სპეციალურ დოკუმენტში.

რჩევა: პრაქტიკის დასტაბილურების მიზნით მიზანშეწონილია ინტეგრაციის წესის დოკუმენტური გაფორმება.

3.2.1.(4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლის კულტურა ხელს უწყობს ინიციატივების დაფასებას. სკოლამ გაუზიარა პრაქტიკა ექსპერტთა ჯგუფს რომ თანამშრომლები მონაწილეობენ პროფესიული იდეებისა და მიღწევების გაზიარებაში (მაგ. კათედრის სხდომები, პედაგოგიური საბჭო, სოციალური მედია). ეს პრაქტიკა მიუთითებს არარეგლამენტირებულ, მაგრამ ფუნქციურ წახალისების სისტემაზე.

3.2.1.(5) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის ხარისხისა განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის ბრძანება და დებულება .
2. სერთიფიკატები , ტრენინგის დამადასტურებელი დოკუმენტაცია .
3. კათედრების დოკუმენტაცია
4. სტრუქტურული ერთეულების ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლას ვიზიტის პერიოდში დამტკიცებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს - მათ შორის ხარისხის ციკლს: დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგი, შეფასება და გაუმჯობესება.

დოკუმენტში მკაფიოდ არის გაწერილი სკოლაში არსებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები, თითოეული პროცესის მიზანი, შედეგი, სტრუქტურა და შეფასების მექანიზმი. პროცესები აღწერილია სტრუქტურირებულად, განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები, რისკების შეფასების საფუძველზე იდენტიფიცირდება შემოწმების საჭიროება და პერიოდულად მიმდინარეობს შიდა მონიტორინგი.

ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი პირი (დირექტორი) უზრუნველყოფს დოკუმენტის აღსრულებას. დოკუმენტით განსაზღვრულია არაგეგმური შემოწმების შესაძლებლობაც. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი მოიცავს გარე შეფასების კომპონენტსაც, რაც ზრდის პროცესის სანდოობასა და გამჭვირვალობას.

3.3.1.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლა აღნიშნავს, რომ მმართველობითი და დამხმარე პროცესები ფუნქციონირებს და მათი აღწერა ხდება შრომის შინაგანაწესსა და სასკოლო კურიკულუმში. დამტკიცებული პოლიტიკის დოკუმენტში მკაფიოდ გაწერილია სკოლის პროცესების კლასიფიკაცია: მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე. მათ შორისაა სტრატეგიული დაგეგმვა, კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის მართვა, რესურსების მართვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა და სხვა. თითოეულ პროცესზე განისაზღვრება პასუხისმგებელი პირები და სტრუქტურული ერთეულები, რაც ასახულია შესაბამის დანართში.

3.3.1.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა **დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი - "სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალის საჯარო სკოლის დასაქმებულ პირთა, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლების და მოსწავლეთა მიმართ სკოლის დირექციის გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმები"**, რომელიც სტრუქტურულად, ვადების და პასუხისმგებელი სუბიექტების მითითებით მოიცავს:

- საჩივრების წარდგენისა და განხილვის ზოგად წესებს;
- საჩივრების განხილვის პრინციპებს (ობიექტურობა, მიუკერძოებლობა);
- ვადებსა და ფორმალურ მოთხოვნებს;
- დისციპლინურ საჩივრებთან დაკავშირებულ პროცედურებს;
- მასწავლებლის ვაკანსიის კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესს;
- მოსწავლის, მშობლისა და მასწავლებლის საჩივრის განხილვის პროცედურებს;
- და სხვა

დოკუმენტი უზრუნველყოფს სკოლის შიდა დემოკრატიული მმართველობის პრინციპების დაცვის მექანიზმებს და აწესებს ადეკვატურ პასუხს საჩივრების/განაცხადების განხილვის პროცესში.

3.3.1.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლაში ვიზიტის დროს დეტალურად არის აღწერილი პრაქტიკა, რომელიც ეხება მშობლების თანხმობით ფოტოს და ვიდეოს გამოყენებას, ასევე პერსონალისა და მშობლის უფლება-ვალდებულებების გაწერას ხელშეკრულებაში და შინაგანაწესში.

მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტი არ არსებობს სპეციალურად უფლებების დაცვის მექანიზმზე, სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად, **ამ ინდიკატორის შესრულება პრაქტიკით დასაშვებია**.

სკოლა რეგულარულად იყენებს კონტრაქტების და ნებართვების სისტემას (მაგალითად, მშობლის თანხმობა ფოტო/ვიდეო მასალის გამოქვეყნებაზე), რაც სკოლის შინაგანაწესით არის რეგულირებული. ეს პრაქტიკა უზრუნველყოფს ინტერესთა დაცვის

ბალანსს და დაცვას. მოქმედებს შესაბამისი შიდა პოლიტიკა და საჯაროობა, რაც დადასტურებულია დოკუმენტაციითა და პრაქტიკით.

3.3.1.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შინაგანაწესი
2. სკოლასა და მშობელს შორის დადებული ხელშეკრულება
3. სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალის საჯარო სკოლის დასაქმებულ პირთა, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლების და მოსწავლეთა მიმართ სკოლის დირექციის გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმები
4. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლის პრაქტიკის მიხედვით, სკოლა მშობლებს აწვდის ინფორმაციას რეგულარული მშობელთა კრებების, სკოლის ფეისბუქისა და ვებგვერდის მეშვეობით. ეს პრაქტიკა მიუთითებს ინფორმირების მექანიზმებზე.

სკოლამ ვიზიტის პერიოდში დაამტკიცა და წარმოადგინა მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრთა ჩართულობას საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში.

- კონკრეტულად, წარმოდგენილია **უკუკავშირისა და საჩივრის სტანდარტიზებული ფორმები**, რომლებიც მისაწვდომია მოსწავლეებისთვის, მშობლებისა და თანამშრომლებისთვის.
- ორივე ფორმა (საჩივარი და უკუკავშირი) მოიცავს:
    - დეტალურ ინსტრუქციებს

- ფორმალური ინფორმაციის გრაფებს
- საჩივრის ან უკუკავშირის არსის აღწერის შესაძლებლობას
- შემოთავაზებებისა და უკუკავშირის მიღების ფორმატს
- ანონიმურობის არჩევის შესაძლებლობას

ეს მექანიზმები უზრუნველყოფს როგორც ორგანიზებულ უკუკავშირს, ისე გადაჭრილი საკითხების დოკუმენტირებულ, ანალიზზე დაფუძნებულ მართვას.

- სკოლა ასევე უზრუნველყოფს მიღებული უკუკავშირის გამოყენებას მართვის გაუმჯობესების პროცესში - რაც გულისხმობს მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას და ღია, გამჭვირვალე კომუნიკაციას.

დამატებით მტკიცებულებად წარმოდგენილია სკოლის სოციალური ქსელები და კომიტეტების ოქმები, რაც ასახავს ინფორმაციის გავრცელებას.

3.3.2 (1) **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

სკოლამ დეტალურად აღწერა სასკოლო საზოგადოების - მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების - მონაწილეობა სკოლის მართვის ორგანოებში (სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, ისგ ჯგუფი, მოსწავლეთა თვითმმართველობა).

მტკიცებულებებში წარმოდგენილია ოქმები და სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალი, რაც ადასტურებს მონაწილეობის პრაქტიკას.

3.3.2 (1) **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის ფეისბუქგვერდი;

2. ვებ გვერდი;
3. სამეურვეო საბჭოს ოქმები;
4. დისციპლინური კომიტეტის ოქმები ;
5. კათედრის ოქმი
6. უკუკავშირსა და საჩივრებზე რეაგირების მექანიზმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის შედეგების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში შემუშავებულია ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმი (დირექტორის ბრძანება), ასევე საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა

შეთანხმებულია შესაბამის უფლებამოსილ უწყებასთან. სკოლამ მიმართა შესაბამის ორგანოებს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნის მისაღებად, რაც დასტურდება წარმოდგენილი კორესპონდენციით.

ამასთან, ვიზიტის დროს გამოვლინდა, რომ ორივე სასწავლო კორპუსში განხორციელებული სახანძრო უსაფრთხოების ინსპექტირების შედეგად შენობები შეფასებულია როგორც არადამაკმაყოფილებელი, და სკოლას განსაზღვრული აქვს ხარვეზების აღმოფხვრის ვადა. ნაწილობრივ განხორციელებულია რეაგირების ღონისძიებები (მაგ.: საინფორმაციო ნიშნების განთავსება, ტექნიკური საშუალებების ეტაპობრივი მოწესრიგება).

განსაკუთრებით საყურადღებოა შერწყმული სოფელ დარყის დაწყებითი სკოლის შენობა, სადაც გამოვლინდა რიგი ინფრასტრუქტურული და უსაფრთხოების ხარვეზები (ვიდეომეთვალყურეობის არარსებობა, მანდატურის არარსებობა, პანდუსის არარსებობა, გარე საპირფარეშოები და სხვა), ასევე ჭალის სკოლის ტერიტორიაზე არსებული ამორტიზებული და არაიზოლირებული სათბური, რომელიც წარმოადგენს პოტენციურ საფრთხეს მოსწავლეთათვის.

მიუხედავად აღნიშნული გარემოებებისა, სკოლას შემუშავებული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც განსაზღვრულია კონკრეტული აქტივობები და ვადები (მათ შორის 2027 წლამდე) უსაფრთხოების მიმართულებით არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, და უკვე დაწყებულია გარკვეული ღონისძიებების განხორციელება.

სოფელ ჭალის სკოლას ემსახურებიან მანდატურები, ამასთან სკოლას ორივე კორპუსში ჰყავს დარაჯები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შენობის და დასაქმებულ პირთა უსაფრთხოებას, სკოლაში მოქმედებს მასწავლებელთა მორიგეობა სართულების მიხედვით. სკოლას აქვს შემუშავებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და შესაბამისი რეაგირების პროცესები არსებობს, თუმცა უსაფრთხოების პირობები სრულად არ შეესაბამება მოთხოვნებს ყველა სასწავლო სივრცეში, განსაკუთრებით შერწყმულ სკოლაში.

ვიზიტის დასრულების შემდეგ სკოლამ ცენტრში წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, დამატებითი მტკიცებულებები და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელსაც გაეცნო ექსპერტთა ჯგუფი და გაიზიარა სკოლის პოზიცია იმ საკითხებთან მიმართებით, რომელთა აღმოფხვრა დაკავშირებულია ინფრასტრუქტურულ და გარე უწყებების ჩართულობაზე დამოკიდებულ პროცესებთან.

წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულია კონკრეტული აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და ვადები, რომლებიც ითვალისწინებს გამოვლენილი ხარვეზების ეტაპობრივ აღმოფხვრას. კერძოდ, დაგეგმილია:

1. სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალის საჯარო სკოლასთან შერწყმული სოფელ დარყის დაწყებითი სკოლის შენობაზე ვიდეოსათვალთვალო სისტემის დამონტაჟება;
2. იმავე შერწყმულ სკოლაში შიდა საპირფარეშოების მოწყობა;
3. უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება;
4. შერწყმულ სკოლაში უსაფრთხოების საკითხებზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა;
5. სოფელ ჭალის საჯარო სკოლის ტერიტორიაზე არსებული ამორტიზებული სათბურის დემონტაჟი.

ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა, რომ სკოლის მიერ იდენტიფიცირებულია არსებული ხარვეზები და დაგეგმილია მათი აღმოფხვრისკენ მიმართული ღონისძიებები. ამასთან, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დასრულების ვადა განსაზღვრულია **2028 წლის 15 მაისამდე**.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლას მიეცა **რეკომენდაცია** შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებისა და არსებული ხარვეზების აღმოფხვრის თაობაზე დადგენილ ვადებში.

3.4.1.1. ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის შედეგების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში დასაქმებულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმი.

თუმცა, ვერ დასტურდება სამედიცინო მომსახურების უწყვეტობა, ვინაიდან ექიმი პარალელურად მუშაობს სასწრაფო დახმარების სამსახურში და სკოლამ ვერ წარმოადგინა მისი სამუშაო განრიგი ან სხვა მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ექიმის მუდმივ ხელმისაწვდომობას სასწავლო პროცესის მიმდინარეობის პერიოდში.

ვიზუალური დათვალიერებისას გამოვლინდა, რომ სამედიცინო კაბინეტი არ იყო სრულად აღჭურვილი სავალდებულო ინვენტარითა და მედიკამენტებით. მართალია, ვიზიტის პროცესში სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და განმეორებითი დათვალიერებისას ნაწილი დანაკლისისა აღმოფხვრილი იყო, თუმცა ადგილზე კვლავ არ იყო უზრუნველყოფილი საჭირო მედიკამენტების სრული ხელმისაწვდომობა. ასევე დადგინდა, რომ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არ განხორციელებულა მედიკამენტების შესყიდვა.

სკოლამ წარმოადგინა კორესპონდენცია და ინვოისი, რომელიც ადასტურებს, რომ მედიკამენტების შესყიდვა მიმდინარე პროცესშია, თუმცა მოცემულ ეტაპზე პირველადი დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი პირობები სრულად უზრუნველყოფილი არ არის.

ამასთან, პირველადი დახმარების მომსახურება არ ხორციელდება სკოლის შერწყმულ (დარყის) შენობაში, არ არის გამოყოფილი სამედიცინო კაბინეტი ფართის უქონლობის გამო და სკოლამ ვერ წარმოადგინა შერწყმულ კორპუსში ექიმის მომსახურების მექანიზმი. რაც მიუთითებს მომსახურების არათანაბარ ხელმისაწვდომობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლაში პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები სრულად ფუნქციონირებადი არ არის და მომსახურების უწყვეტობა და ხელმისაწვდომობა ყველა სასწავლო სივრცეში ვერ დასტურდება.

ვიზიტის დასრულების შემდეგ სკოლამ ცენტრში წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, დამატებითი მტკიცებულებები და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელსაც გაეცნო ექსპერტთა ჯგუფი. წარმოდგენილი მასალებით სკოლამ დაადასტურა, რომ იდენტიფიცირებული აქვს პირველადი დახმარების ორგანიზებასთან დაკავშირებული ხარვეზები და დაგეგმილი აქვს მათი აღმოფხვრის მიზნით კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება.

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულია სკოლის ექიმის სამუშაო გრაფიკის შემუშავება, მათ შორის სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალის საჯარო სკოლასთან შერწყმული სოფელ დარყის დაწყებითი სკოლის მოსწავლეებისთვის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით. ასევე, სკოლამ წარმოადგინა სამედიცინო კაბინეტის მედიკამენტებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული დამატებითი მტკიცებულებები, მათ შორის მედიკამენტების შესყიდვის პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია, რაც ადასტურებს, რომ სკოლის მიერ დაწყებულია შესაბამისი ღონისძიებები სამედიცინო კაბინეტის საჭირო ინვენტარითა და მედიკამენტებით აღჭურვის მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილია კონკრეტული სამოქმედო ნაბიჯები, განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები და შესრულების ვადები. ამასთან, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით ხარვეზების აღმოფხვრის ვადად განსაზღვრულია **2026 წლის 15 სექტემბერი**.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია, რომ გამოვლენილი ხარვეზები აღიარებულია დაწესებულების მიერ და დაგეგმილია მათი აღმოფხვრა განსაზღვრულ ვადებში.

3.4.1.2. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

რჩევა:

- უზრუნველყოს პირველადი დახმარების სერვისის ხელმისაწვდომობა მოქმედი რეგულაციის შესაბამისად (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება N41/ნ/01-23/ნ, 21 მარტი, 2022).

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

საჯარო სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით, რაც მითითებულია სკოლის შიდა რეგულაციებში - მათ შორის **შინაგანაწესში**.

პირველ კორპუსში ფუნქციონირებს გარე და შიდა პერიმეტრის ვიდეოსათვალთვალო სისტემა, რომელიც განთავსებულია იზოლირებულ და დაცულ სივრცეში. მონიტორინგს უზრუნველყოფს **სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური**. ამავე კორპუსში მანდატურისათვის გამოყოფილია სპეციალური სამუშაო სივრცე, დარაჯის ფუნქცია კი სამ საშტატო ერთეულზეა განაწილებული. შენობის დაცვა ხორციელდება როგორც დღის, ისე ღამის რეჟიმში.

მიუხედავად იმისა, რომ მეორე კორპუსში მანდატური ვერ უზრუნველყოფს უსაფრთხოებას, ვიდეოსათვალთვალო სისტემაც არ არის დამონტაჟებული, წესრიგს იცავენ მორიგე მასწავლებლები. აღნიშნული წარმოადგენს ტექნიკურ უთანაბრობას რესურსების განაწილებაში.

სკოლას ჰყავს **მრჩეველთა საბჭო**, რომელიც ერთ-ერთი რგოლია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი თანაცხოვრების მხარდაჭერის სისტემაში. **ვიზიტორთა აღრიცხვა რეგულირდება სპეციალურად პასუხისმგებელი პირის მიერ** - რეგისტრაციის ჟურნალის საფუძველზე.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში ჩართული არიან სკოლის დირექცია, მორიგე მასწავლებლები, დამრიგებლები, მანდატურები და დარაჯები. საჭიროების შემთხვევაში პროცესში ერთვებიან მშობლებიც (განსაკუთრებით ღონისძიებების დროს). წესრიგის დარღვევის ან მისი მცდელობის შემთხვევაში სკოლა ახორციელებს **დაუყოვნებელ რეაგირებას** ადმინისტრაციული წესით.

ეს ყველაფერი მიუთითებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის პოლიტიკის **მრავალდონიანობას**, **ფუნქციური დატვირთვის თანაბარ განაწილებას** და **რეაგირების ეფექტიან მექანიზმებზე**.

3.4.1.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლა მუშაობს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფაზე.

- სკოლამ გაგვიზიარა პრაქტიკა, რომ **სასკოლო საზოგადოება სისტემურად ცდილობს ძალადობის ნიშნების ამოცნობასა და დროულ რეაგირებას**, რაც წარმოადგენს უსაფრთხოებისა და პრევენციის ერთ-ერთ ძირითად მექანიზმს.
- სკოლაში აქტიურად გამოიყენება **თემატური სასწავლო აქტივობები** (დისკუსიები, შეხვედრები), რაც ემსახურება მოსწავლეების ღია თვითგამოხატვას, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული გარემოს ჩამოყალიბებასა და თანასწორობის წახალისებას.
- სკოლის **დირექცია, მასწავლებლები, მანდატურები და დარაჯები** უზრუნველყოფენ უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებას როგორც გაკვეთილების, ისე დასვენების დროს.
- **დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ძალადობის შესახებ შეტყობინებაზე უფლებამოსილი პირი**, რაც მიუთითებს რეაგირების მექანიზმის ფორმალურ სტრუქტურაზე.
- სკოლა მზადაა, საჭიროების შემთხვევაში ისარგებლოს **სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურებით**, რაც წარმოადგენს სისტემურ მხარდაჭერაზე ორიენტირებულ მიდგომას.
- სკოლის მრჩეველთა საბჭო ჩართულია საკითხების ანალიზსა და შესაბამისი ღონისძიებების ინიცირებაში, რაც კიდევ ერთი ბერკეტია ფსიქო-სოციალური უსაფრთხოების მიმართულებით.
- სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლა ახორციელებს **საინფორმაციო შეხვედრებსა და პროექტებს** ძალადობის წინააღმდეგ ცნობიერების ამაღლების მიზნით.
- **მორიგე მასწავლებლები ზედამხედველობენ დერეფნებსა და სკოლის პერიმეტრს** სასწავლო პროცესისა და შესვენებების დროს, რაც ამცირებს პასიური ზედამხედველობის რისკს.

3.4.1.(4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის პრაქტიკა გამართულია და ასახავს როგორც ფორმალურ, ისე ფაქტობრივ მზაობას.

- **სკოლის ექიმი** ზედამხედველობს ჰიგიენურ პირობებს და აქტიურად მონაწილეობს მოსწავლეთა ჯანმრთელობისა და პირადი ჰიგიენის უნარების განვითარების მხარდაჭერაში.

- **სისუფთავის უზრუნველყოფაში ჩართულია ოთხი დამლაგებელი**, სამი- ძირითად შენობაში, ხოლო ერთი - მეორე შენობაში, რომლებიც ხელშეკრულებით და სამუშაო აღწერილობით არიან დაკავშირებული სკოლასთან. მათი საქმიანობის მონიტორინგს უზრუნველყოფს **სკოლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი**.
- **სკოლის ვიზუალური დათვალიერებისას ექსპერტებმა დააფიქსირეს მაღალი ხარისხის სისუფთავე და მოწესრიგებულობა**. სველი წერტილები სრულად აღჭურვილია ჰიგიენური საშუალებებით - თხევადი საპონი, ქაღალდი, ხელსახოცი, სანაგვე ურნა და სხვ.
- **საყოფაცხოვრებო ქიმიური საშუალებები ინახება სპეციალურად დაცულ და ჩაკეტილ სათავსოში**, რაც შეესაბამება უსაფრთხოების სტანდარტებს.
- **სველი წერტილების შემოწმების გრაფიკი არ არის გამოკრული**
- **ნაგვის გატანაზე გაფორმებული ხელშეკრულება არ არსებობს**, თუმცა სკოლა რეგულარულად იხდის გადასახადს აბონენტის ნომრით, რაც ადასტურებს სერვისის არსებობასა და მოხმარებას.
- სკოლის ტერიტორიაც მოწესრიგებულია - როგორც ეს ფიზიკური დათვალიერებით, ისე დასუფთავების პასუხისმგებელი პირების არსებობით დასტურდება.

ექსპერტების მხრიდან გაიცა *რჩევა:* მიზანშეწონილია: ნაგვის გატანაზე ფორმალური ხელშეკრულების გაფორმება, რაც უფრო გამჭვირვალეს გახდის პროცესს ადმინისტრაციულ დონეზე და გამოიკრას სველი წერტილების დალაგების/შემოწმების გრაფიკი.

3.4.1.(5) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვის სამართლებრივად და ეთიკურად გამართულ პროცესს, რომელიც მოიცავს როგორც ადმინისტრაციულ, ისე პრევენციულ ზომებს:

- **პერსონალურ მონაცემებზე მოქმედებს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი**, ხოლო **ოფიცრის ფუნქციებს ასრულებს საჩხერის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი**, რაც უზრუნველყოფს ზედამხედველობის რეგულარულობას და შესაბამისობას კანონთან.
- **საქმისწარმოებელთან განთავსებული დოკუმენტაცია დაცულია კონფიდენციალობის პრინციპით**, რაც ხაზს უსვამს სენსიტიური ინფორმაციის წვდომის მართვადობას.

- **მშობელთან და სკოლასთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოიცავს თანხმობის ნაწილს**, რაც განსაზღვრავს მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენების წესებს (მათ შორის ფოტოს, ვიდეოს, სახელის/გვარის გამოყენებას სკოლის გვერდებსა და პროექტებში).
- **ხელშეკრულებებში ან ბეჭდურ თანხმობის ფორმებში განსაზღვრულია სენსიტიური ინფორმაციის დამუშავების წესები** - განსაკუთრებით ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები, ჯანმრთელობის მდგომარეობა ან ნარკოლოგიური ისტორია.
- სკოლა მოქმედებს „**პერსონალურ მონაცემებთა დაცვის შესახებ**" საქართველოს კანონით და უზრუნველყოფს მისი მოთხოვნების დაცვას როგორც მოსწავლეთა, ისე პერსონალის, მშობლებისა და სხვა პირების მიმართ.
- მოსწავლეთა და მასწავლებელთა პირადი საქმეები, საარქივო დოკუმენტაცია დაცულია საკეტიან კარადებში

სკოლას მიეცა არაფორმალური რჩევა, შესაძლებელია დაინერგოს **დოკუმენტურად გაწერილი პოლიტიკა/პროცედურა მონაცემების დამუშავებისა და შენახვის შესახებ**, რაც გააუმჯობესებს გამჭვირვალობას და გაამყარებს სკოლის პასუხისმგებლობას მონაცემთა დაცვის მიმართ.

3.4.1.(6) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლას პრაქტიკაში გააჩნია ინფორმაციის დაცვის რამდენიმე მექანიზმი, რომლებიც ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობასა და სისტემურ მიდგომებს:

- სკოლა მოქმედებს **„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონისა და სხვა მარეგულირებელი აქტების შესაბამისად**, რაც განსაზღვრავს იმ ძირითად სტანდარტებს, რომელსაც ინფორმაცია უნდა დაექვემდებაროს დამუშავებისას, შენახვისა და გადაცემის პროცესში.
- სკოლაში **დირექტორის ბრძანებით დანიშნულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის პასუხისმგებელი პირი**, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს რეაგირებას სამართლებრივი ჩარჩოს მიხედვით.
- სკოლის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავება ვრცელდება **მოსწავლეთა, მათი მშობლების, მასწავლებელთა და სხვა თანამშრომელთა მონაცემებზე** - და ეს მოიცავს მონაცემების დამუშავების ნებისმიერ ფორმას (შენახვა, გადაცემა, გადამუშავება და ა.შ.).
- **სკოლა ჩართულია საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში**, რომელშიც მონაცემებზე წვდომა მხოლოდ უფლებამოსილ პირებს აქვთ, სპეციალური პაროლით, რაც ქმნის ინფორმაციის დაცვის ტექნიკურ ბარიერს და ზრდის მონაცემების უსაფრთხოების დონეს.

- **მოსწავლეთა და კურსდამთავრებულთა პირადი საქმეები ინახება ჩაკეტვად კარადებში**, აღნიშნული კარადები განთავსებულია **საქმისმწარმოებლის და ბუღალტრის ოთახებში**, რაც გარკვეულწილად ზრდის კონფიდენციალურობის რისკებს. ეს აღინიშნა ექსპერტების მიერ და სკოლას მიეცა **არაფორმალური რჩევა**: განსაზღვროს წვდომის უფლებამოსილებები.
- **სკოლას ჰყავს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვაზე პასუხისმგებელი პირი**, რაც მნიშვნელოვანია ინფორმაციული ინფრასტრუქტურის ზედამხედველობისთვის.
- **სკოლის ვებსაიტისა და ფეისბუქგვერდის ადმინისტრირებას ახორციელებენ უფლებამოსილი პირები**, რაც ხელს უწყობს საჯარო კომუნიკაციაში ინფორმაციის კონტროლს და მიზნობრივ გამოქვეყნებას.
- სკოლამ აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე არ გააჩნია დამოუკიდებელი, დამატებითი ტექნიკური რესურსები სამინისტროს მიერ მოწოდებული პლატფორმების მიღმა, თუმცა **შეგნებულად აღიარებს საჭიროებას** და გეგმავს პერსონალური მონაცემების დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმის შემუშავებას, რაც მიუთითებს განვითარების მზაობაზე.

3.4.1.(7) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლა პრაქტიკაში ახორციელებს უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების შეფასებას და მიღებულ შედეგებს იყენებს არსებული პრაქტიკის გაუმჯობესებისთვის.

- **თვითშეფასების დოკუმენტში** წარმოდგენილია განცხადება, რომ სკოლა რეგულარულად გეგმავს აღნიშნული მექანიზმების შეფასებას და მის საფუძველზე ცვლილებების დაგეგმვას.
- **ვიზიტის დროს წარმოდგენილი ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი** მოიცავს მექანიზმს, რომელიც გულისხმობს სასწავლო წლის დასაწყისში მონიტორინგის ჯგუფის შექმნას. აღნიშნული ჯგუფი უზრუნველყოფს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მექანიზმების პერიოდულ შეფასებას.
- შეფასება მოიცავს **დაკვირვების სტრუქტურირებულ მექანიზმებს**, **სასკოლო საზოგადოების გამოკითხვას**, **შიდა მონიტორინგს** და დისკუსიურ ფორმატებს, რაც ადასტურებს შეფასების პროცესის მრავალფეროვნებას.
- **მრჩეველთა საბჭო აქტიურად გამოიყენება უსაფრთხოების შეფასების მიზნით**. საბჭოზე განიხილება უსაფრთხოების საკითხები, ფორმირდება რეკომენდაციები, ისმინება დირექტორის ანგარიშები მათი შესრულების შესახებ.
- ეს მექანიზმები მჭიდროდ უკავშირდება სკოლაში **უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებასა და ოპერაციული პროცესების უწყვეტობის უზრუნველყოფას**.

3.4.1.(8) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალის საჯარო სკოლის ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი (დირექტორის ბრძანება №2-112)
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და შესაბამის უფლებამოსილ უწყებასთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან განხორციელებული კორესპონდენცია (წერილი №42634)
- შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული მიმართვა (წერილი №1748263)
- ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან განხორციელებული კორესპონდენცია შენობის ტექნიკური მდგომარეობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ (წერილები №1748447; №28318)
- სახანძრო უსაფრთხოების ინსპექტირების შედეგები და სკოლის მიერ განხორციელებული რეაგირების ამსახველი მასალები
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა
- სკოლის ექიმის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
- სკოლის ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულება
- სამედიცინო კაბინეტის ინვენტარიზაციის მასალები
- მედიკამენტების შესყიდვის პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და ინვოისი
- სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ოფიციალური კორესპონდენცია მედიკამენტების შესყიდვის თაობაზე
- სკოლის მიერ ვიზიტის შემდგომ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და დამატებითი მტკიცებულებები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☒ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ვიზუალური დათვალიერებისა და ვიზიტის პროცესში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლას გააჩნია საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო ძირითადი ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი, თუმცა მათი შესაბამისობა სრულად ვერ აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნას ყველა კომპონენტში და ყველა სასწავლო სივრცეში.

სკოლის ძირითად შენობაში უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესისთვის საჭირო სივრცეები, საკლასო ოთახები და ნაწილობრივ შესაბამისი მატერიალური რესურსი. ამასთან, დადგინდა, რომ მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას წარმოდგენილი მონაცემები არ შეესაბამება არსებული მატერიალური რესურსის რეალურ შესაძლებლობებს — კერძოდ, მერხების რაოდენობა (ვარგისი და შეკეთებას დაქვემდებარებული) არ უზრუნველყოფს 400 მოსწავლის განთავსებას, რაც მიუთითებს რესურსების გადაფასებულ შესაძლებლობაზე. ვიზიტის პერიოდში სკოლაში ირიცხებოდა 119 აქტიური მოსწავლე (ორივე შენობაში).

ჭალის საჯარო სკოლის საკადასტრო კოდია 35.03.43.020, საერთო ფართია: 2655,96 კვ.მ, ეზოს ფართი: 7624 კვ.მ სკოლის შენობას აქვს ლიფტი, პანდუსი, პირველ სართულზე განთავსებულია: საკლასო ოთახები, სველი წერტილები, მათ შორის ადაპტირებული საპირფარეშო, ექიმის კაბინეტი, მანდატურების ოთახი, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი. მეორე სართულზე: საკლასო ოთახები, სამასწავლებლო, კომპიუტერული ლაბორატორია, დირექცია–ადმინისტრაცია, ხელოვნებისა მუსიკის კაბინეტი, სველი წერტილები, მესამე სართულზე: საკლასო ოთახები, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, სველი წერტილები. ამჟამად სკოლაში ირიცხება 199 მოსწავლე, მათ შორის 10 სსსმ მოსწავლე, სკოლის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს დადგენილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობას 400 მოსწავლეზე. სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალის საჯარო სკოლასთან შერწყმული სოფელ დარყის დაწყებითი სკოლის საკადასტრო კოდია 35.03.44.018: დარყის დაწყებითი სკოლის საერთო ფართი შეადგენს: 222 კვ.მ ეზოს ფართი: ეზოს ფართი 1836 კვ.მ სკოლის შენობა შემოღობილია, შენობა ერთ სართულიანია, არ აქვს პანდუსი, სკოლის პირველ სართულზე განთავსებული საკლასო ოთახები სამასწავლებლო,

მუსიკის კაბინეტი, სველი წერტილები, ადაპტირებული საპირფარეშო განთავსებულია ეზოში. სკოლა აღჭურვილია ინტერნეტით.

ვიზიტის პროცესში ასევე გამოიკვეთა, რომ სკოლის შერწყმულ (სოფელ დარყის) შენობაში ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა მნიშვნელოვნად ჩამორჩება სტანდარტულ მოთხოვნებს. კერძოდ:

- არ არის საკმარისი საკლასო სივრცეები;
- არ ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი;
- არ არის სპორტული დარბაზი ან შესაბამისი სივრცე ფიზიკური აქტივობებისთვის;
- არ არის კომპიუტერული ლაბორატორია;
- არ არის სათვალთვალო კამერები და მანდატურის მომსახურება;
- სანიტარული კვანძები განთავსებულია შენობის გარეთ;
- შენობა არ არის სრულად ადაპტირებული;
- ინფრასტრუქტურა არ უზრუნველყოფს თანამედროვე საგანმანათლებლო გარემოს მოთხოვნებს.

ამასთან, ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს მხოლოდ ძირითად შენობაში, ხოლო შერწყმული სკოლის მოსწავლეებისთვის ბიბლიოთეკით სარგებლობის პრაქტიკა და ხელმისაწვდომობა დოკუმენტურად არ დასტურდება.

დამატებით, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი თემატურად მოძველებულია და მისი განახლება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არ განხორციელებულა, რაც ზღუდავს სასწავლო რესურსების ხარისხს.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს სამოქმედო გეგმები და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გათვალისწინებულია ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები, მოცემულ ეტაპზე არსებული მდგომარეობა არ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის სრულად შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს დადგენილი მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით.

ვიზიტის დასრულების შემდეგ სკოლამ ცენტრში წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, დამატებითი მტკიცებულებები და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელსაც გაეცნო ექსპერტთა ჯგუფი. წარმოდგენილი მასალებით დგინდება, რომ სკოლას გააზრებული აქვს შერწყმულ (სოფელ დარყის) შენობაში არსებული ინფრასტრუქტურული შეზღუდვები და იდენტიფიცირებული აქვს საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესებისთვის საჭირო პრიორიტეტული მიმართულებები.

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით სკოლამ განსაზღვრა კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია შერწყმულ სკოლაში ინფრასტრუქტურული გარემოს გაუმჯობესებისა და სასწავლო რესურსებზე ხელმისაწვდომობის

გაზრდისკენ. კერძოდ, დაგეგმილია სასწავლო კორპუსის ადაპტირება (პანდუსისა და შესაბამისი სველი წერტილის მოწყობა), ღია სპორტული მოედნის მოწყობა, მოძრავი ბიბლიოთეკის შექმნა და კომპიუტერული ლაბორატორიის მოწყობა.

ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა განსაზღვრავს კონკრეტულ აქტივობებს, პასუხისმგებელ პირებსა და შესრულების ვადებს. ამასთან, აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების საბოლოო ვადად განსაზღვრულია **2028 წლის 15 მაისი**.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია, რომ იდენტიფიცირებული ხარვეზები აღიარებულია დაწესებულების მიერ და დაწყებულია მათი აღმოფხვრისკენ მიმართული პროცესები, თუმცა მოცემულ ეტაპზე არსებული ინფრასტრუქტურული გარემო და მატერიალური რესურსი სრულად ვერ უზრუნველყოფს ინდიკატორის მოთხოვნების შესრულებას.

3.5.1.(1) ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის თვითშეფასებაში აღწერილია, რომ ფიზიკური გარემო შეესაბამება მოსწავლეთა მრავალფეროვან საჭიროებებს, შიდა სივრცე ხელს უწყობს უსაფრთხო გადაადგილებას, სწავლასა და დასვენებას, ხოლო მატერიალური რესურსები ხელმისაწვდომია სკოლაში ყველა ჩართული მხარისთვის.

თუმცა, ვიზიტის შედეგად ექსპერტების მიერ გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებები მიგვანიშნებს, რომ **შესაბამისობასა** და ინკლუზიური ხელმისაწვდომობის ნაწილში რჩება ფუნდამენტური ხარვეზები:

I კორპუსი:

- **პირველი სართული ადაპტირებულია** — აქ განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი, ექთნის კაბინეტი და რამდენიმე საკლასო ოთახი.
- **ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, რესურსოთახი** და სხვა საერთო სარგებლობის სივრცეები **შშმ მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია**, რადგანაც სკოლაში არის **ლიფტი.**

II კორპუსი - სოფელი დარყა:

- განკუთვნილია დაწყებითი საფეხურისთვის (1-4 კლასი).

- არ ჰყავს ცალკე ბიბლიოთეკარი ან ექიმი/ექთანი.
- კომპიუტერები განთავსებულია ერთ-ერთ საკლასო ოთახში და არ არსებობს სპეციალიზებული სივრცე კომპიუტერული მუშაობისთვის.
- სკოლის ინიციატივით წარმოდგენილია **მობილური წიგნის კარადის მექანიზმი**, რომლის მეშვეობითაც მეორე კორპუსის მოსწავლეებს ექნებათ წვდომა საბიბლიოთეკო რესურსებზე.
- ასევე, ვიზიტის პერიოდში **ექიმის მომსახურების განრიგი** ჩაშენდა სამედიცინო კაბინეტის რეგლამენტში, რაც აჩვენებს ინტეგრაციის მცდელობას და პრაქტიკის არსებობას, თუმცა არა სისტემურ უზრუნველყოფას.

სარგებლობის წესები და პოლიტიკა:

- ბიბლიოთეკის, ლაბორატორიების და სხვა საერთო სივრცეების სარგებლობის წესები არსებობს, თუმცა ისინი **სტანდარტულია და არ ასახავს სკოლის კონტექსტს**, კერძოდ - არ ითვალისწინებს ინკლუზიურობის საჭიროებებს, შშმ მოსწავლეთა სპეციფიკას ან სივრცის თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპებს.
- ექსპერტების არაფორმალური რეკომენდაციით, აღნიშნული წესები საჭიროებს **მოდიფიცირებას და კონტექსტუალიზაციას**, რაც სკოლის წარმომადგენლებმაც გაიზიარეს და წარმოადგინეს განახლებული დოკუმენტების სამუშაო ვერსიები. ვიზიტის პერიოდში ბიბლიოთეკით სარგებლობის წესში სკოლამ შეიტანა გარკვეული ცვლილებები.

სკოლას გააჩნია ინტეგრაციისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისადმი კეთილსინდისიერი მიდგომა, რაც გამოიხატება როგორც გეგმებსა და მექანიზმებში, ასევე ინტერვიუებსა და წარმოდგენილ დოკუმენტებში.

შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა **3.5.1.(2) დაკმაყოფილებულია**.

რჩევა: სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს საზოგადოებრივი სივრცეებით სარგებლობის კონტექსტზე მორგებული წესები.

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლას აქვს ბიბლიოთეკის გამოყენების წესი, რომელიც მოიცავს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდების ზოგად რეგულაციებს. წესში ექსპერტების ვიზიტის პერიოდში შეტანილ იქნა მნიშვნელოვანი ცვლილება - განსაზღვრა, თუ როგორ ისარგებლებენ სკოლის მეორე კორპუსის მოსწავლეები ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით (მობილური წიგნის კარადის მექანიზმით). ეს პოზიტიური პრაქტიკა აჩვენებს, რომ სკოლა ახდენს მექანიზმების გადახედვასა და საჭიროებისამებრ ადაპტირებას.

ბიბლიოთეკა განთავსებულია ახლადგარემონტებულ სივრცეში. საბიბლიოთეკო ფონდი მოძველებულია, მოიცავს სახელმძღვანელოებს, მხატვრულ და მეთოდურ ლიტერატურას. ყველა წიგნი დამუშავებულია ბიბლიოთეკის წესის

შესაბამისად, ფუნქციონირებს ფორმულიარების წარმოების სისტემა. მოსწავლეებსა და მასწავლებლებს აქვთ წვდომა რესურსებზე, ბიბლიოთეკის სივრცე პერიოდულად გამოიყენება შემეცნებითი აქტივობებისთვის, თუმცა ბიბლიოთეკარს არ გააჩნდა საქმიანობის წლიური გეგმა ან განხორციელებული ღონისძიებების ჩანაწერი, რაც ორგანიზაციულად ასუსტებს საბიბლიოთეკო მუშაობის ხარისხს.

ასევე, ბიბლიოთეკარების თქმით, მნიშვნელოვანი ნაწილი წიგნებისა შინაარსობრივად მოძველებულია. სკოლა მუშაობს აღნიშნულ გამოწვევაზე - გეგმავს მოძველებული ფონდის ჩამოწერასა და განახლებას, თუმცა ამ დროისთვის წარმოდგენილი ფლობის დოკუმენტაცია მხოლოდ ნაწილობრივ ფარავს ბიბლიოთეკაში არსებულ წიგნებს. ძველი წიგნების უმრავლესობაზე წარმოდგენილია მხოლოდ ინვენტარიზაციის დოკუმენტები და არა საკუთრების დამადასტურებელი აქტები. ბიბლიოთეკაში განთავსებულია რამდენიმე კომპიუტერი.

მოსაწესრიგებელი ასპექტები:

- ბიბლიოთეკარს არ გააჩნია საქმიანობის გეგმა და ანგარიშგება - ეს ხელს უშლის გრძელვადიანი მუშაობის მონიტორინგს და სისტემურობას;
- ბიბლიოთეკის წესში არ არის გათვალისწინებული აქტივობების თემატიკა ან პერიოდულობა, რაც ხელს შეუწყობდა პრაქტიკის ერთგვაროვნებას;
- ნაწილი წიგნებისა მოძველებულია, ფლობის დოკუმენტაცია არასრულად არის წარმოდგენილი.

სკოლას მიეცა რჩევა:

1. ბიბლიოთეკარმა შეიმუშავოს საქმიანობის წლიური გეგმა და უზრუნველყოს ანგარიშგების წესი (მაგ., აქტივობების ჟურნალის წარმოება);
2. ბიბლიოთეკის სარგებლობის წესში ასახოს აქტივობების გამართვის პრინციპები და გაწეროს პასუხისმგებლობები;
3. სკოლამ უზრუნველყოს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის რეგულარული განახლება და მოძველებული ნაწილის ჩამოწერა;
4. წარმოდგენილი იქნას ფლობის სრული დოკუმენტაცია ან/და ჩამოწერის დოკუმენტი;
5. გაგრძელდეს მეორე კორპუსთან დაკავშირებული მექანიზმების პრაქტიკაში დანერგვა და მონიტორინგი.

3.5.1.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

ვიზიტის პერიოდში შენობის დათვალიერებისა და სკოლასთან გასაუბრების მიხედვით, დაწესებულება აცხადებს, რომ უზრუნველყოფილია ინკლუზიური განათლებისთვის საჭირო პირობები. აღნიშნულია ადაპტირებული ინფრასტრუქტურა: ლიფტი, პანდუსები და სპეციალურად მოწყობილი სველი წერტილები, ასევე ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის (ისგ) რეალიზაციისთვის საჭირო სერვისები და მხარდაჭერა სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის.

თუმცა, ექსპერტების ვიზიტისა და მიგნებების საფუძველზე იკვეთება გარკვეული შეუსაბამობა ინდიკატორის მოთხოვნასთან:

- **ადაპტირებული მხოლოდ პირველი შენობა**.
- მეორე შენობაში არ არის პანდუსი, შშმ პირებისთვის წვდომა **ფიზიკურად არ არის უზრუნველყოფილი** (არც ლიფტი, არც დამხმარე მექანიზმები არსებობს);
- შიგნიდან ადაპტირებული ტუალეტები საერთო სარგებლობისაა და განთავსებულია ეზოში
- სკოლის განმარტებით, ამ დროისთვის არ ჰყავთ დაწყებით საფეხურზე შშმ მოსწავლე, თუმცა აქვთ მზაობა საჭიროების შემთხვევაში გადმოიტანონ რესურსები და იგეგმება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით **პანდუსის დამონტაჟება**, თუმცა სველი წერტილების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა არ არის გათვალისწინებული.

ვიზიტის დასრულების შემდეგ სკოლამ ცენტრში წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, დამატებითი მტკიცებულებები და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელსაც გაეცნო ექსპერტთა ჯგუფი. წარმოდგენილი მასალებით დგინდება, რომ სკოლამ აღიარა შერწყმულ (სოფელ დარყის) სასწავლო კორპუსში ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურული შეზღუდვები და განსაზღვრა მათი აღმოფხვრის მიმართულებები.

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულია სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალის საჯარო სკოლასთან შერწყმული სოფელ დარყის დაწყებითი სკოლის სასწავლო კორპუსზე პანდუსის ან კიბეზე მიმაგრებული ლიფტის დამონტაჟება, ასევე ადაპტირებული საპირფარეშოს მოწყობა. აღნიშნული ღონისძიებები მიმართულია ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისა და ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს შექმნისკენ.

ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა მოიცავს კონკრეტულ აქტივობებს, პასუხისმგებელ პირებსა და შესრულების ვადებს. ამასთან, ღონისძიებების დასრულების საბოლოო ვადად განსაზღვრულია **2028 წლის 14 მაისი**, რაც ორწლიან პერიოდს მოიცავს.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია, რომ იდენტიფიცირებული ხარვეზები აღიარებულია დაწესებულების მიერ და დაგეგმილია მათი აღმოფხვრისკენ მიმართული ღონისძიებები, თუმცა მოცემულ ეტაპზე შერწყმული სკოლის ინფრასტრუქტურა სრულად ვერ უზრუნველყოფს ინკლუზიური გარემოს შექმნას.

3.5.1.(4) ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლამ ინდიკატორის მოთხოვნის საპასუხოდ წარმოადგინა როგორც წერილობითი თვითშეფასება, ასევე ვიზიტისას დამაჯერებელი პრაქტიკული მაგალითები და გარემოს ვიზუალური მტკიცებულებები.

სკოლა აცხადებს, რომ მუდმივად ზრუნავს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობაზე სკოლის ცხოვრებაში - ფორმალური და არაფორმალური განათლების გზით. სკოლის სივრცეები გამოყენებულია არა მხოლოდ გაკვეთილებისთვის, არამედ მრავალფეროვანი აქტივობებისთვის, რაც ავითარებს მოსწავლეთა ლიდერულ, მოქალაქეობრივ და შემოქმედებით უნარებს.

ექსპერტებმა დაათვალიერეს სკოლა ვიზიტისას და დააფიქსირეს, რომ:

- **სკოლის დერეფნები დეკორირებულია** სკოლის ისტორიის ამსახველი ბანერებით, მოსწავლეთა ნამუშევრებითა და მიღწევებით, პრინტებით, მარადმწვანე მცენარეებით;
- **საკლასო ოთახებში**, განსაკუთრებით რესურსოთახში, ესთეტიკური და სპორტული მიმართულების სივრცეებში, წარმოდგენილია ორიგინალური რესურსები, ნახატები, ინსტრუმენტები და ვიზუალური მასალა;
- **სკოლის ეზო და კაბინეტები** გამოიყენება არაფორმალური განათლების აქტივობებისთვის, კლუბების და ღონისძიებების ჩასატარებლად.

სკოლა თანამშრომლობს **ადგილობრივ თვითმმართველობასთან, სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან** ინფრასტრუქტურის განვითარებისა და დამატებითი რესურსების მოზიდვის მიზნით;

მოსწავლეების, მასწავლებლების და მშობლების ჩართულობით ხორციელდება სხვადასხვა **საზოგადოებრივი და კულტურული ღონისძიებები.**

მოსწავლეებთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ აქტივობების ნაწილი **ინიცირებულია უშუალოდ მოსწავლეების მიერ**, რაც მიუთითებს მოქალაქეობრივ თვითინიციატივაზე და გარემოს სოციალურ დანიშნულებაზე.

სკოლა ქმნის მრავალმხრივ, ინტეგრირებულ გარემოს, რომელიც ემსახურება როგორც საგანმანათლებლო, ასევე სოციალურ, კულტურულ და შემოქმედებით მიზნებს. ინფრასტრუქტურის გამოყენება ამ მიზნებისთვის არის სისტემური, მიზნობრივი და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული.

3.5.1 (6) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

• საჯარო რეესტრის ამონაწერი (სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალის საჯარო სკოლისა და სოფელ დარყის შერწყმული დაწყებითი სკოლის შენობებისა და მიწის ფართობის შესახებ);
• სკოლის ინფრასტრუქტურის აღწერის დოკუმენტაცია (სართულების მიხედვით სივრცეების განაწილება);
• სკოლის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია;
• ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდისა და ინვენტარიზაციის მასალები;
• ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
• სამოქმედო გეგმა;
• შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;
• შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
• შერწყმულ (სოფელ დარყის) სკოლასთან დაკავშირებული ოფიციალური კორესპონდენცია (პანდუსის მოწყობა, ვიდეოსათვალთვალო სისტემის დამონტაჟება და სხვა ინფრასტრუქტურული საჭიროებები);

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

   სკოლის თვითშეფასების და გასაუბრების მიხედვით, ის აქტიურად მუშაობს საინფორმაციო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. წარმოდგენილია ტექნიკური რესურსების ჩამონათვალი, რომელიც სრულად უზრუნველყოფს როგორც სასწავლო, ისე ადმინისტრაციულ პროცესებს. კონკრეტულად:

- სკოლას გააჩნია საკმარისი რაოდენობის **ლეპტოპები, პერსონალური კომპიუტერები, პრინტერები, პროექტორები**;
- კომპიუტერული ტექნიკა ხელმისაწვდომია **დირექციისთვის, ადმინისტრაციისთვის, პედაგოგებისთვის და მოსწავლეთათვის**;
- ბიბლიოთეკაში მოწყობილია **საჯარო სამუშაო სივრცე** შესაბამისი ტექნიკით, რაც განამტკიცებს ციფრულ ხელმისაწვდომობას;
- კომპიუტერული ლაბორატორია სრულად აღჭურვილია და ტექნიკურად გამართულია;
- სკოლა უზრუნველყოფილია **უწყვეტი ინტერნეტით, უმეტეს სივრცეშია ვაიფაი**.

გამოყენების მექანიზმები და ორგანიზაცია:

- კომპიუტერული რესურსების გამოყენება სრულად არის **ინტეგრირებული სასწავლო და ადმინისტრაციულ პროცესებში**;
- მოსწავლეებსა და მასწავლებლებს აქვთ საშუალება ტექნოლოგიური რესურსებით სარგებლობის;
- სკოლა ახორციელებს ტექნიკური რესურსების **ორგანიზებულ მართვას** - ინვენტარით აღჭურვილია ყველა სტრუქტურული რგოლი.

სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა **„ციფრული განვითარების გეგმა"**, რომელიც აღწერს:

- არსებული რესურსების სტატუსს;
- ტექნოლოგიური ინტეგრაციის მექანიზმებს;
- რესურსების გამოყენების განრიგსა და პასუხისმგებლობებს;
- სამომავლო განვითარებისა და გაფართოების ხედვას.

გეგმა აჩვენებს, რომ სკოლას გააზრებული აქვს ტექნოლოგიური მხარდაჭერის როლი და იცის, როგორ უნდა განავითაროს არსებული ინფრასტრუქტურა მიზანმიმართულად.

სკოლის ისტ-სამსახურის ტექნიკურ რესურსებზე პასუხისმგებელია **ისტ-ის მასწავლებელი**, რაც მიანიშნებს პროცესის კონკრეტულ მართვაზე და პასუხისმგებლობის აღებაზე.

ექსპერტების ვიზიტისას მოხდა ტექნიკური რესურსების დათვალიერება, და დადასტურდა, რომ:

- აღჭურვილობა რეალურად ფუნქციონირებს;
- რესურსები განთავსებულია შესაბამის სივრცეებში;
- მოსწავლეებს აქვთ წვდომა კომპიუტერულ ლაბორატორიაზე და საერთო სარგებლობის ტექნიკაზე.

სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ეფექტიანად უწყობს ხელს როგორც სასწავლო, ასევე ადმინისტრაციული პროცესების სრულფასოვან წარმართვას და იძლევა ციფრული განათლების განვითარებისთვის აუცილებელ საფუძველს.

ინდიკატორის 3.6.1.(1) მოთხოვნა *დაკმაყოფილებულია.*

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

   სკოლას აქვს წარმოდგენილი **„ციფრული განვითარების გეგმა" და კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი**, რომელიც მოიცავს ტექნოლოგიებზე წვდომის მექანიზმებსა და გამოყენების წესს. დოკუმენტებში გაწერილია:

- კომპიუტერული ლაბორატორიისა და ტექნიკური რესურსების გამოყენების **დეტალური განრიგი**;
- **სამუშაო სივრცეებისა და კომპიუტერული ტექნიკის საერთო სარგებლობის წესი**, რომელიც ითვალისწინებს ტექნოლოგიებზე წვდომას სასწავლო პროცესის მიღმაც (მაგალითად: პრეზენტაციები, საშინაო დავალებები, ონლაინ ჟურნალი);
- **ისტ-ს პედაგოგის პასუხისმგებლობა** კომპიუტერული ინფრასტრუქტურის გამართულობაზე.

თვითშეფასებისა და ექსპერტების მიერ ვიზუალური დათვალიერების შედეგად დასტურდება, რომ:

- კომპიუტერული ლაბორატორია ფუნქციონირებს სრული დატვირთვით;
- ბიბლიოთეკაში მოწყობილია საჯარო ტექნიკური სამუშაო სივრცე;
- **საგაკვეთილო ცხრილი** შედგენილია ისე, რომ უზრუნველყოფილია კომპიუტერული რესურსების თანაბარი წვდომა ყველა კლასისთვის;
- სკოლა იყენებს ტექნიკას როგორც გაკვეთილებზე, ასევე **საგანმანათლებლო კვირეულებსა და პროექტულ აქტივობებში**;
- **მოსწავლეებსა და მასწავლებლებს აქვთ წვდომა ტექნოლოგიებზე გაკვეთილების მიღმაც**, სკოლის შიდა წესით განსაზღვრული განრიგის შესაბამისად.

სკოლას გააზრებული აქვს ტექნოლოგიის გამოყენების ღირებულება სწავლა-სწავლების პროცესში:

- აღიარებულია ტექნოლოგიის როლი **მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდაში**;

- ტექნიკური რესურსები განიხილება როგორც **სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების საშუალება**;
- სკოლას მომავლისთვის დაგეგმილი აქვს ტექნოლოგიური ბაზის **განახლება და გაფართოება**.

სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა არა მხოლოდ ფიზიკურად ხელმისაწვდომია, არამედ **დაწესებულია შესაბამისი წესი**, რომელიც უზრუნველყოფს რესურსების სამართლიან განაწილებას და მიზნობრივ გამოყენებას. პრაქტიკა ამ წესს შეესაბამება, რაც ზრდის ტექნოლოგიების ინტეგრაციის ხარისხს სწავლა-სწავლების პროცესში.

3.6.1 (2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ციფრული განვითარების გეგმა
2. კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დოკუმენტაცია

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შედგენილი და დირექტორის მიერ დამტკიცებული აქვს **საქმისწარმოების ერთიანი წესი**, რომელიც ითვალისწინებს შემდეგ კომპონენტებს:

- **დოკუმენტების რეგისტრაციის პროცედურები** (შემოსული, გასული, შიდა დოკუმენტაცია);
- **დოკუმენტების ფორმები და ტიპების კლასიფიკაცია**;
- **პერსონალისა და მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოების წესი**;
- **დავალებების შესრულების კონტროლის მექანიზმები**;
- **ინფორმაციის გაცემისა და ხელშეკრულებების აღრიცხვის წესი**.

აღნიშნული წესი ითვალისწინებს **საქართველოს ზოგადი განათლების შესახებ კანონს** და მოქმედი ადმინისტრაციული რეგულაციების მოთხოვნებს.

სკოლა ახორციელებს **შერეულ ფორმატში** საქმისწარმოებას:

- ნაწილობრივ იყენებს **ელექტრონულ სისტემას** კორესპონდენციის დასარეგისტრირებლად;
- პარალელურად აწარმოებს **მატერიალურ ჟურნალებს**, მათ შორის:
    - **ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი**;
    - **შემოსული და გასული კორესპონდენციის ჟურნალები**;
    - **შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი**;
    - **პირადი საქმეების აღრიცხვის დოკუმენტაცია**.

დამუშავებული კორესპონდენციის **ელექტრონული რეესტრი** წარმოდგენილია და ექსპერტების მიერ დადასტურებულია.

დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები:

- **დანომრილია, აკინძულია, ბეჭედდასმულია** და უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილია;
- უზრუნველყოფილია დოკუმენტაციის სანდოობა და მთლიანობა;
- შეესაბამება საქმისწარმოების შესახებ დადგენილ ადმინისტრაციულ რეგულაციებს.

ექსპერტების ვიზიტისას:

- დადასტურდა, რომ **საქმისწარმოების წესი ფუნქციურად მოქმედია**;
- პერსონალი და ადმინისტრაცია მოქმედებენ წესით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად;
- **ვიზუალური დათვალიერებითა და დოკუმენტური ანალიზით** დადასტურდა წესის რეალური აღსრულება.

წესში დაფიქსირდა **უმნიშვნელო უზუსტობები** -ჩამოთვლილი სარეგისტრაციო ჟურნალებიდან არ არის მკაფიოდ გამიჯნული, რომელია მატერიალური და რომელი - ელექტრონული.
ექსპერტებმა სკოლას მისცეს **პრაქტიკული რჩევა**, რომ განახორციელოს შესწორება წესში და **წარმოაჩინოს ელექტრონული საქმისწარმოების განვითარება ან დაგეგმვა**.

საქმისწარმოების წესი რეალურად ფუნქციონირებს, პრაქტიკა სრულად შეესაბამება წესს და **დოკუმენტაცია სრულად რეგისტრირებულია შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად**.

სკოლა უზრუნველყოფს საქმისწარმოების სამართლებრივად გამართულ მართვას - გააჩნია მოქმედი წესი, რომელსაც ემყარება როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური ფორმის დოკუმენტების წარმოება და რეგისტრაცია.
3.6.2 (1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

სკოლა იყენებს **ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემას EFLOW**, რომელიც უზრუნველყოფს დოკუმენტაციის ეფექტურ რეგისტრაციას, კონტროლს, შენახვასა და სამართლებრივ დაცვას.
EFLOW-ის საშუალებით ხდება:

- შიდა და გარე კორესპონდენციის აღრიცხვა;
- გადაწყვეტილებებისა და ბრძანებების ელექტრონული დამუშავება;
- საქმისწარმოების ეფექტური ორგანიზება და **არქივირების შესაძლებლობა**.

აღნიშნული სისტემა ხელს უწყობს საქმისწარმოების პროცესის **დამუშავების გამჭვირვალობასა და ოპერატიულობას**, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ბიუროკრატიულ შეფერხებებს.
დოკუმენტბრუნვის გარდა, სკოლის მართვაში ინტეგრირებულია **სხვადასხვა თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგია**, მათ შორის:

- **Eschool** - სკოლების მართვის სახელმწიფო საინფორმაციო სისტემა, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა მონაცემების რეგისტრაციას, მათ შეფასებებსა და მოძრაობას;
- **ელექტრონული ჟურნალი** - უზრუნველყოფს მოსწავლეთა აკადემიური პროგრესის ციფრულად აღრიცხვას;
- **ელ. ფოსტა და ღრუბლოვანი პლატფორმები** (Google Drive, Office 365, Microsoft Teams) - აქტიურად გამოიყენება როგორც დირექციის, ისე მასწავლებლების მიერ პროფესიული საქაღალდეების, კურიკულუმების, მასალის გაცვლისა და საერთო თანამშრომლობისთვის.

ტექნოლოგიური საშუალებები სკოლის მიერ გამოყენებულია არა ფორმალურად, არამედ რეალურად, **მუშა პროცესის ორგანიზებისთვის**, რაც დასტურდება როგორც თვითშეფასების დოკუმენტით, ისე **ექსპერტების მიერ ვიზუალურად და**

სკოლა იყენებს ტექნოლოგიებს **სისტემურად და სტრატეგიულად** - დოკუმენტბრუნვა და საქმისწარმოება არ არის იზოლირებული პრაქტიკა, არამედ **ინტეგრირებულია ზოგად მენეჯმენტსა და სასწავლო პროცესში**.
გარდა ადმინისტრირების, ტექნოლოგიური რესურსები გამოიყენება:

- **სასწავლო პროცესის მართვაში**;
- **მასწავლებელთა შეფასებისა და განვითარების პროცესში**;
- **გაციფრულებული პროფესიული პორტფოლიოების მართვაში**.

სკოლაში დანერგილია ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა და სხვა თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები, რომლებიც ეფექტურად გამოიყენება როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური პროცესის წარმართვაში.
ინდიკატორი 3.6.2.2 მოთხოვნა *დაკმაყოფილებულია*

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლა სრულად იყენებს **ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას (EMIS)** და მასში **დროულად, სიზუსტით და წესების სრული დაცვით** ასახავს როგორც ადმინისტრაციულ, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

სკოლის პროფილში ასახულია:

- სკოლის ბარათის მონაცემები;
- მოსწავლეთა რაოდენობა კლასების მიხედვით;
- მასწავლებელთა სია, მათი კვალიფიკაცია და სტაჟი;
- შერჩეული **გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების სია**;
- საკონტაქტო და ინფრასტრუქტურული მონაცემები;
- სხვა შესაბამისი სამართლებრივი ან ტექნიკური ინფორმაცია, რაც EMIS-ს მოითხოვს.

ექსპერტების მიერ სისტემაში მონაცემების გადამოწმებისას დადასტურდა, რომ:

- ინფორმაცია მოცემულია სრულად და განახლებულია;
- ატვირთულია შესაბამისი **მტკიცებულებები**, მათ შორის სკოლის სამართლებრივი სტატუსის, პერსონალის კვალიფიკაციის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;
- სისტემაში არ გამოვლენილა ხარვეზები ან შეუსაბამობები.

სკოლა ასრულებს კანონმდებლობით დაკისრებულ ვალდებულებას - EMIS სისტემაში რეგისტრაცია და მუდმივი განახლება. სისტემის გამოყენება ხდება არა ფორმალურად, არამედ **აქტიურად ადმინისტრირების და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში**.

ზემოაღნიშნული პრაქტიკის საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლას აქვს **სრულყოფილი და სრულად ფუნქციონალური პროფილი EMIS-ში**, რაც უზრუნველყოფს მართვის პროცესების გამჭვირვალობას და ეფექტურობას.

3.6.2 (3) ინდიკატორის მოთხოვნა *დაკმაყოფილებულია*

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა საქმიანობს **საქმისწარმოების წესით განსაზღვრული პროცედურებისა და ვადების შესაბამისად**, რაც უზრუნველყოფს ანგარიშგების, დოკუმენტაციის წარდგენისა და ინფორმაციის მიწოდების ფორმალიზებასა და ეფექტურობას. არსებობს განსაზღვრული ვადები და ფორმატები შემოსული კორესპონდენციისა და უწყებებთან კომუნიკაციის რეაგირებისთვის.

დასტურდება, რომ სკოლა აქტიურად თანამშრომლობს:

- **საგანმანათლებლო რესურსცენტრთან;**
- **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან**, მათ შორის სხვადასხვა პროგრამისა და პროცესის ადმინისტრირებისას;
- სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ **საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან (სსიპ-ებთან)** - მაგალითად, „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან", მანდატურის სამსახურთან, ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან და სხვ.

სკოლა 10 დეკემბრამდე წარადგენს **საჯარო ინფორმაციის გაცემის ანგარიშს** საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულ უწყებებთან - პრეზიდენტთან, პრემიერ-მინისტრთან და პარლამენტთან.
ეს პროცესი ასახულია **საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლში** და სკოლა ასრულებს კანონით დაკისრებულ ვალდებულებას.

ექსპერტების მიერ ვიზიტისას:

- დადასტურდა ანგარიშებისა და კორესპონდენციის ელექტრონული ფორმატით წარმოება - გამოიყენება **EFLOW დოკუმენტბრუნვის სისტემა**;
- სკოლის მიერ წარმოებული დოკუმენტაცია ითავსებს ანგარიშგების, რეაგირების, მონაცემთა წარდგენის და შეტყობინების პროცესს.

შედეგად, ნათლად დასტურდება, რომ:

- სკოლა უზრუნველყოფს **დროით და შინაარსობრივად სრულყოფილ** ანგარიშგებასა და კომუნიკაციას განათლების სექტორის მარეგულირებელ ორგანოებთან;

- იყენებს შესაბამის ელექტრონულ სისტემებს ანგარიშგების სიზუსტისა და არქივაციისთვის;
- ასრულებს საჯარო ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას კანონით დადგენილი წესით.

3.6.2 (4) ინდიკატორის მოთხოვნა *დაკმაყოფილებულია*

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის EFLOW
2. საქმისწარმოების წესი
3. მატერიალური ჟურნალები

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

კოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი, სადაც განთავსებულია პირველადი ინფორმაცია. სკოლის ადმინისტრაცია საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელ Facebook-ს, სადაც რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაცია სასკოლო ცხოვრებაზე, სასწავლო და არაფორმალურ აქტივობებზე.
საზოგადოებასთან კომუნიკაცია ასევე მიმდინარეობს ღია კარის დღეებით, სკოლის მიერ განსაზღვრული ვიზიტის დღეებითა და უკუკავშირის ფორმების მეშვეობით.
სკოლამ წარმოადგინა საზოგადოებასთან ურთიერთობის პრაქტიკა, რაც აჩვენებს სისტემურ მიდგომას კომუნიკაციის მართვისადმი.

3.6.3 (1) ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლაში განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი ინფორმაციის სიზუსტესა და დროულ გამოქვეყნებაზე. წარმოდგენილი საზოგადოებასთან ურთიერთობის წესით რეგულირდება სკოლის მხრიდან ინფორმაციის გავრცელების პროცედურები. ფეისბუქ გვერდზე გავრცელებული ინფორმაცია თანხვედრაშია სკოლის ოფიციალურ მიზნებსა და ღირებულებებთან. არ გამოვლენილა მცდარი ან დაუდასტურებელი ინფორმაციის გამოქვეყნების ფაქტი.
რჩევა: სასურველია, ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელი პირი განისაზღვროს სკოლის დირექტორის ბრძანებით.

3.6.3 (2) ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა მუშაობს ხარისხის მართვის დოკუმენტის საფუძველზე, რომელშიც გაწერილია უკუკავშირის მოპოვებისა და გამოყენების პროცედურები.
ექსპერტებმა ვიზიტისას დაათვალიერეს უკუკავშირის მიღების და დამუშავების ინსტრუმენტები (კითხვარების ნიმუშები). შედეგების ანალიზი და საფუძვლიანი გამოყენება სკოლის მიერ აღიარებულია როგორც მომდევნო ეტაპი - პროცესს საფუძველი უკვე აქვს.

3.6.3 (3) ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლა ახორციელებს სწავლა-სწავლების პროცესს მხოლოდ ქართულ ენაზე. EMIS-ის პლატფორმაზე სკოლის ვებგვერდი ფუნქციონირებს და ინფორმაცია წარმოდგენილია სრულად ქართულ ენაზე. ვებგვერდი მოქმედია და ღია საზოგადოებისთვის.

3.6.3 (4) ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია**

(განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია:

- მისია, ხედვა, ღირებულებები
- სტრუქტურა და ორგანიზაციული ერთეულები
- საგანმანათლებლო პროგრამები და ჩარიცხვის პროცედურები
- სასწავლო პროცესის დეტალები
- მხარდაჭერის სერვისები
- გასაჩივრების მექანიზმები
- ფინანსური მდგრადობის ანგარიში
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შედეგები
- საკონტაქტო ინფორმაცია

ინფორმაცია პერიოდულად განახლდება და წარმოადგენს სკოლის ღია კომუნიკაციის პოლიტიკის რეალიზაციას.

3.6.3 (5) ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის ვებ-გვერდი
2. სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში
3. სკოლის დირექტორის ინდივიდუალურ- სამართლებლივი აქტები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლამ წარმოადგინა 2025 წლის და 2026 წლის მოქმედი ბიუჯეტები და მათთან შესაბამისობაში მყოფი სამოქმედო გეგმა ფინანსური ხარჯების შესაბამისობის დადგენის ანალიზისთვის. წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტაცია ასახავს, რომ სკოლა ფლობს საჭირო ფინანსურ რესურსებს დაგეგმილი საგანმანათლებლო და ინფრასტრუქტურული აქტივობების შესასრულებლად.

ფინანსური რესურსის ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება. დამატებითი შემოსავალი სკოლას არ აქვს.

3.7.1 (1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

ფინანსური რესურსების დაგეგმვის პროცესი სკოლის მიერ ხორციელდება მომავალი წლის სავარაუდო შემოსავლებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით.

შემოსავლების და ხარჯების შესახებ ინფორმაცია ასახულია სკოლის ბიუჯეტში, რომელიც განიხილება და დამტკიცდება სამეურვეო საბჭოს მიერ.

ფინანსური პროცესების გამჭვირვალობას უწყობს ხელს შესყიდვების წლიური გეგმა, რომელიც დაყრდნობილია სკოლაში კათედრებისა და ადმინისტრაციის მოთხოვნებზე.

მიმდინარეობს პერიოდული მონიტორინგი და ფინანსური ანგარიშგება. ანგარიშები ხელმისაწვდომია სკოლის სათემო მართვის სტრუქტურებისთვის, რაც ზრდის ფინანსური მართვის პასუხისმგებლიანობასა და ღიაობას.

3.7.1 (1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის 2025 წლის ბიუჯეტი
2. სკოლის 2026 წლის ბიუჯეტი
3. შესყიდვების დოკუმენტაცია
4. ხელშეკრულებები
5. სამეურვეო საბჭოს ოქმები
6. საინვენტარიზაციო დოკუმენტაცია
7. სკოლის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებლივი აქტები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლას შემუშავებული აქვს და სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულია 2025 წლის 8 სექტემბერს შინაგანაწესი, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი მოსწავლის კანონიერი უფლებები და დისწიპლინალური გადაცდომის შემთხვევაში მათი უფლებები. შინაგანაწესით რეგულირდება როგორც მოსწავლის უფლებები,ასევე მისი მოვალეობები დისწიპლინარული გადაცდომის შემთხვევაში გასატარებელი შესაძლო დისწიპლინალური ღონისძიებები. შინაგანაწესით რეგულირდება ასევე მოსწავლეთა წახალისებისა და დისწიპლინალური გადაცდომის პრევენციის ღონისძიებები.

სწავლის დაწყებიდან პირველივე მშობელთა კრებაზე დამრიგებლები აცნობენ მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მოსწავლის ქცევის კოდექსს, სკოლის შინაგანაწესს, რასაც მშობლები/ კანონიერი წარმომადგენლები ხელმოწერით ადასტურებენ.

სკოლაში, დერეფნებში, თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული სკოლის შინაგანაწესი და მოსწავლეთა ქცევის კოდექსი

სკოლაში დაცულია ასევე პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მექანიზმები, რომლის მიხედვითაც სკოლა იცავს მის ხელთ არსებულ ყველა პერსონალურ მონაცემს, რაც დასტურდება სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულებით, რომლის მიხედვითაც მშობელი თანხმობას აცხადებს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე

. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლაში ადგილზე ვიზიტისას გაიმართა შეხვედრა მოსწავლეებთან, მშობლებთან , დამრიგებლებთან, სადაც დადასტურდა , რომ სკოლის შინაგააწესი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით. მის განხილვასა და შექმნაში მონაწილეობდნენ მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლები,პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოს წევრები. თითოეული მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულება ორ ეგზემპლიარად,ერთი რჩება სკოლაში, ხოლო მეორე გადაეცემა მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს.

დაწყებითი საფეხულის მეოთხე კლასის დასრულების შემდეგ მშობელთა კრებაზე განიხილავენ მეორე უცხო ენის სწავლების საკითხს და შეთანხმებით ირჩევენ მეორე უცხო ენას. ხოლო საშუალო საფეხურის მოსწავლეები ეცნობიან ესგ-ით გათვალისწინებულ არჩევით საგნებს და საკუთარი სურვილით ირჩევენ საგანს

ინდიკატორის მოთხოვნა დადასტურებულია

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლას მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, რომელშიც გაწერილია შინაგანაწესის შესაბამისი მუხლები, რომელიც 2 ეგზემპლიარად კეთდება, ერთი მიაქვს მშობელს და ერთი რჩება სკოლაში, სკოლას ასევე ნებართვა აქვს მშობლებისგან, რათა სოციალურ ქსელებში განათავსოს მოსწავლეთა საჯარო ექსკურსიებსა თუ ღონისძიებებზე გადაღებული ფოტოები და ვიდეომასალა

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შინაგანაწესი

მშებელთან გაფორმებული ხელშეკრულება

მშობელთა კრების ოქმი

მოსწავლეთა თვითმმართველობის ქცევის კოდექსი

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეწყვეტისა და შეჩერების წესი სკოლას დამტკიცებული აქვს 2025 წლის 5 დეკემბრის N2-123 ბრძანებით. სკოლაში ეს გადაწყვეტილებები მიიღება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა შესაბამისი დოკუმენტაცია და eschool-ის ბაზა. სკოლის პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რეგისტრაცია ხორციელდება წესისამებრ ელექტრონულად,

საჯარო სკოლის ინდივიდუალური ადმინისტრაციული -სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლეთა რიცხოვნობის ფარგლებში, მართვის სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლაში დამტკიცებულია მოსწავლის ჩარიცხვის,საფეხურის დაძლევის,მობილობის, სტატუსის შეწყვეტისა და შეჩერების წესი 2025 წლის 5 დეკემბრის N2-123 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით რეგულირდება ჩასარიცხ მოსწავლეთა რეგისტრაციის წესი, პირობები, განსაზღვრულია მოსწავლეთა რიცხოვნება კლასში , მოცემულია წარმოსადგენ დოკუმენტთა ჩამონათვალი, უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების წესი , სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვთა ფორმალურ განათლებაში ჩართვის წესი

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

მშობლებთან კომუნიკაციისა და მათი ინფორმირებისათვის სკოლა მრავალფეროვან მეთოდებს იყენებს, როგორიცაა : მშობლებთან პირისპირ შეხვედრები, სატელეფონო საუბრები, სოციალური ქსელების ჯგუფები, თიმსის პლათფორმა თუ ელექტრონული ჟურნალი. სკოლა ნებიმიერ დაინტერესებულ პირს ღიად აწოდებს ინფორმაციას სკოლაში ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, ,სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურების შესახებ. სკოლაში შემოსული სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ დაგეგმილი აქტივობების, კონკურსებისა თუ ინიციატივების შესახებ ინფორმაციებს საქმისმწარმოებელი აწვდის დამრიგებლებს , ხოლო ეს უკანასკნელი ინფორმაციის სხვადასხვა რესურსის გამოყენებით უზრუნველყოფენ მშობელთა და მოსწავლეთა ინფორმირებულობას. სკოლის ვებგვერდზეც არაერთი ინფორმაციაა განთავსებული და გეგმავენ , რომ უფრო მეტი ინფორმაცია განათავსნ ეტაპობრივად

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობებისა თუ რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე , განახლებული და არადისკრიმინაციული. ინფორმაცია ყოველივე ამის შესახებ კანონმდებლობის მიხედვით იკვრება საინფორმაციო სტენდზე, ზიარდება სოციალურ ჯგუფებში მოსწავლეებისთვის, მშობლებისა და მასწავლებლებისთვის. სასკოლო თემში ყველას მიუწვდება ხელი სკოლაში არსებულ რესურსებზე

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მშობელთა კრებების ოქმები

სკოლის შინაგანაწესი

დირექტორის ბრძანება მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის , სტატუსის შეჩერების შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ

მოსწავლეთა პირველ კლასში ჩარიცხვის ბრძანება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლის დირექტორის 2025 წლის 4 დეკემბრის N 2- 116 ბრძანებით, გაწერილი და შემუშავებული /დამტკიცებულია სასწავლო გარემოსთან მოსწავლის ადაპტაციის წესი, მათ შორის სსსმ მოსწავლეების სკოლაში ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორები . სკოლა ახალი მოსწავლის ჩარიცხვის შემდგომ ახორციელებს არაერთ აქტივობას,რათა ისინი ადვილად შეეგუონ სასკოლო გარემოს. პირველკლასელთა მიღებამდე სკოლა აქტიურად თანამშრომლობს სოფელში არსებულ საბავშვო ბაღთან და სწავლის დაწყებამდე ბაღის გამოსაშვები ჯგუფის ბავშვები ხვდებიან პირველი კლასის მასწავლებლებს მშობლებთან ერთად, ხოლო სკოლაში მისვლისთანავე მასწავლებელი ბავშვებს ათვალიერებინებს და აცნობს სასკოლო გარემოს. მობილობით გადმოსული ბავშვების შემთხვევაში კლასის ხელმძღვანელი ინდივიდუალურად ეცნობა მოსწავლის ძლიერ და სუსტ მხარეებს და ეხმარება მას კლასთან ინტეგრირების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლის დირექტორის 2025 წლის 4 დეკემბრის N 2- 116 ბრძანებით, გაწერილი და შემუშავებული /დამტკიცებულია სასწავლო გარემოსთან მოსწავლის ადაპტაციის წესი, მათ შორის სსსმ მოსწავლეების სკოლაში ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორები. სკოლის დირექციის ხელშეწყობით კლასის ხელმძღვანელები ცდილობენ პირველკლასელი მოსწავლეების მიღებისთანავე დაეხმარონ მათ სასკოლო გარემოს გაცნობაში, ისევე როგორც მობილობის წესით გადმოსულ მოსწავლეთა დამრიგებლები. ათვალიერებენ სკოლის შენობას და აცნობენ ყველა ფუნქციურ ადგილს, ბიბლიოთეკას კლას-კაბინეტებსა თუ სკოლის ეზოს, აცნობენ ასევე შინაგანაწესს და სკოლაში მოსწავლეთა ქცევის წესებს.რათა მოსწავლეებმა მარტივად შეძლონ სოციალიზაცია.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

მოსწავლეებთან და მშობლებთან შეხვედრისას გამოიკვეთა რომ სკოლა მუდმივად უზრუნველყოფს მოსწავლეთა და მშობელთა ინფორმირებას მიმდინარე, სემესტრული თუ წლიური შეფასებებით როგორც ელექტრონული ჟურნალის გამოყენებით, ასევე სხვადასხვაგვარი კომუნიკაციით . მშობლები უკავშირდებიან დამრიგებლებს ონლაინ საშუალებების გამოყენებით, ან პირისპირ ნახულობენ საჭიროებიდან გამომდინარე მათგან ღებულობენ ასევე ეფექტურ განმავითარებელ უკუკავშირს, რაც დადებითად აისახება მოსწავლეთა სწავლის შედეგების გაუმჯობესებაზე

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

მოსწავლეები და მშობლები ადგილზე ვიზიტისას შეხვედრის დროს აღნიშნავდნენ , რომ სკოლა მოსწავლეებს უცხადებს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზაციასთან დაკავშირებით. ისინი აღნიშნავენ ,რომ ინფორმირებულნი არიან სემესტრული/წლიური ნიშნის ამაღლების შესაძლებლობის თაობაზე.ასევე 30 პროცენტი გაცდენის თავიდან აცილების მიზნით დამრიგებლები მუდმივად აღრიცხავენ მოსწავლეთა დასწრებას და საჭიროების შემთხვევაში უკავშირდებიან მშბელს/კანონიერ წარმომადგენელს აფრთხილებენ შესაძლო ექსტერნის შესახებ და მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ წერილობითი განაცხადის შემთხვევაში სკოლა მზადაა უზრუნველყოს შესაბამისი ტიპის გამოცდის ჩატარება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლის დირექტორს 2025 წლის 5 დეკემბერს N 2-120 ბრძანებით დამტკიცებული აქვს მოსწავლეთა ინტერესის მხარდამჭერი წესი, რომლის მიხედვით დირექცია განსაკუთრებულ მხარდაჭერას უცხადებს თვითმმართველობის მიერ წარმოდგენილ ინიციატივებს, რაც დადასტურდა სკოლაში ვიზიტისას მშობლებთან და მოსწავლეებთან საუბრისას .. აღინიშნა , რომ,წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები და მათ მიერ დაგეგმილი აქტივობების განხორციელებისას აქტიურად უჭერენ მხარს და ჩართულებიც არიან. სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სტემის საგნების გაძლიერებას და ამ მხრივ ფუნქციონირებს კლუბებიც, რომელთაც შემუშავებული აქვთ კლუბის დებულება და სამუშაო გეგმა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, მოქმედებს თვითმმართველობა, მოსწავლეები ახორციელებენ ინიციატივებს. უკუკავშირის მიღების მექანიზმი რეალურად ფუნქციონირებს (სოციალური სივრცე, შეხვედრები, ინტერვიუები, ელექტრონული ფორმები). ზოგიერთ იდეას სკოლა უზრუნველყოფს საჭირო რესურსებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა
2. სადამრიგებლო პროგრამები

ფოტომასალა

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლაში ვიზიტისას გაიმართა შეხვედრა დამრიგებლებთან და მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლებთან და მათთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ დამრიგებლები ხშირად ესაუბრებიან მოსწავლეებს სხვადასხვა პროფესიების საჭიროებებზე და იმართება დისკუსიებიც. საუბრები იმართება ასევე უფროსკლასელთა მშობლებთან და დამრიგებლები მათაც აწვდიან ინფორმაციას კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის რა შესაძლებლობები არსებოსბს მათ რეგიონში, დამრიგებლებს წარმოდგენილ სადამრიგებლო პროგრამაში გაწერილი ჰქონდათ ამ მიმართულებით განხორციელებული და განსახორციელებელი აქტივობები. მოსწავლეებმა აღნიშნეს , რომ ისინი იმყოფებოდნენ მათსავე რეგიონში არსებულ პროფესიულ კოლეჯებში, სადაც ადგილზე გაეცვნენ როგორ ხორციელდება ამათუ იმ პროფესიისთვის მოსწავლეთა მომზადება **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

სკოლაში ვიზიტისას გაიმართა შეხვედრა მშობლებთან, სადაც მათ აღნიშნეს, რომ სკოლა მუდმივად აწვდის განახლებულ და სანდო ინფორმაციას მოსწავლეების მიერ ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, როგორც პირისპირ შეხვედრებისას, ასევე სოციალური ქსელის საშუალებით, უფრო კონკრეტულად კი მათ იციან სად მოძებნონ პროფესიული სასწავლებლებისა თუ პროგრამების ჩამონათვალი , როგორ მონახონ რეგისტრაციის ვადები და შეარჩიონ სასურველი პროგრამები.

შეხვედრაზევე აღინიშნა , რომ ჩატარდა გამოკითხვა მოსწავლეებში პროფორიენტაციის მიზნით https://forms.gle/XHEyqj3BSWEy2CW48

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

სკოლა აცხადებს, რომ გეგმავს რეგულარულად შეისწავლოს მოსწავლეთა ინტერესები და უკუკავშირი. ვიზიტისას დასტურდება, რომ პროფესიული ორიენტაციის თემატური აქტივობების დაგეგმვისას სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებს. მიუხედავად იმისა, რომ **კონკრეტული შეფასების ინსტრუმენტები** ჯერ სრულად ჩამოყალიბებული არ არის, დაფიქსირებულია განზრახვა მათი შემუშავებისა და პრაქტიკაში დანერგვის.

4.2.2.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სადამრიგებლო პროგრამა
ფოტომასალა

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**
   სკოლაში შემუშავებული აქვთ სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი. 2025 წლის 15 სექტემბერს სკოლის დირექტორის N 2-68 ბრძანებით ისგ-ს შემუშავების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. ბრძანება N 2-59-ით დამტკიცდა ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შემადგენლობა, ხოლო ბრძანება N 2-60-ით ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის წესი, მასწავლებლებმა იციან ინდივიდუალური გეგმის როგორც შედგენა, ისე

განხორციელება, . სკოლაში ფუნქციონირებს რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო რესურსით. სკოლა გამოხატავს სრულ მზაობას და მხარდაჭერას სსსმ მოსწავლეების სოციუმში ინტეგრირებისათვის

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

სკოლაში ცალკე სივრცე აქვს დათმობილი რესურსოთახს, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. სკოლას ყავს, როგორც სპეცმასწავლებლები,ასევე პირადი კონსულტანტები, რომლებიც შრომობენ და საინტერესო აქტივობებს სთავაზობენ სსსმ მოსწავლეებს. რესურსოთახში ინახება მოსწავლეთა ნამუშევრები და გამოფენილია მათი ხელით შექმნილი რესურსებიც. მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებისას კი გამოიკვეთა მათი მზაობა და პასუხისმგებლობა სსსმ მოსწავლეების მხარდასაჭერად

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებები N 2-59 , N2-60 , N2-68

რესურსოთახში არსებული მასალები

ისგ-ს ჯგუფის გეგმები

სასკოლო-სასწავლო გეგმა

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი**

მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სკოლა ვერ სთავაზობს მოსწავლეებს დამატებით არასავალდებულო მომსახურებას და არც სკოლის ფართია იჯარით გაცემული. სკოლის მოსწავლეებს, რომლებიც სკოლიდან 2 კილომეტრის რადიუსში ცხოვრობენ , გადასაადგილებლად ემსახურება ტრანსპორტი სამი მიმართულებით, ჭალა- კუხალაური , ჭალა-ორღული, ზვარე - დარყის დაწყებითი სკოლა. მძღოლებს აქვთ შესაბამისი მართვის მოწმობა და კვალიფიკაცია, რასაც მონიტორინგს უწევს რესურსცენტრი. სკოლამ წარმოადგინა ტაბელის ფორმა, რომელშიც ყოველდღიურად აღირიცხება მოსწავლეთა მომსახურება, რასაც ხელმოწერით ადასტურებს პასუხისმგებელი პირი და მძღოლი

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას

სკოლაში განხორციელებული ყველა აქტივობა ემსახურება მოსწავლეთა ინტერესებსა და განვითარებას კანონმდებლობის სრული დაცვით. სკოლის იმ მოსწავლეებს, რომლებიც ცხოვრობენ 2 კილომეტრის დაშორებით, ემსახურება ტრანსპორტი, რომელთა მუშაობასაც აკონტროლებს შესაბამისი რაიონის რესურცენტრი

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს

სკოლაში განხორცილებული ყველა ტიპის მომსახურება მიმდინარეობს კანონმდებლობის სრული დაცვით და ემსახურება მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მძღოლის ტაბელები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალის საჯარო სკოლაში არსებობს შესაბამისი წესით დამტკიცებული კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომლის შესაბამისად მასწავლებლები ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, აჯამებენ სწავლა-სწავლების პროცესს, გამოკვეთენ დადებით მხარეებს და განსაზღვრავენ საჭიროებებს და ასახავენ მომდევნო წლის კურიკულუმში. კურიკულუმების შემუშავება ხდება, მასწავლებელთა ჩართულობით, რადგან ისინი ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, რასაც ძირითადად ადგენენ დაკვირვებისა და ვერბალური კომუნიკაციის შედეგად, ასევე მშობელთა უკუკავშირით, რაც თითქმის ყოველდღიურად ხორციელდება. სკოლაში ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასკოლო კურიკულუმების შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად და მატერიალური ბაზის გათვალისწინებთ. მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა, რომ სამომომავლოდ კურიკულუმის შემუშავების პროცესებში გააგრძელებენ სასკოლო საზოგადოების აქტიურ ჩართულობას. კათედრების მიერ საფეხურის ფარგლებში შემუშავებულია კურიკულუმები, სადაც წარმოდგენილი მეთოდოლოგიური ნაწილი ხელს შეუწყობს საგნობრივი სტანდარტის ფარგლებში საფეხურის შედეგებზე გასვლას. კურიკულუმის მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების შესაძლებლობების გათვალისწინებას.

2.1.1 (1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ,რომლის შემუშავება დაეფუძნა კათედრის წევრთა რეკომენდაციებს. მასში წარმოდგენილია მოსწავლისთვის საინტერესო თემები და გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი და პიროვნული თავისებურებები, შედეგად, გათვალისწინებულია დიფერენცირებული სწავლების მიდგომებიც; კურიკულუმში ჩანს სასკოლო თემის ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. სკოლაში ვიზიტისას გასაუბრებებზე აღინიშნა, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში სკოლა ითვალისწინებს წინარე წლების გამოცდილებას. წამოდგენილია კათედრის სხდომისა და მშობელთა კრებების ოქმები, რომლებიც ადასტურებს მშობელთა ინფორმირებას და ჩართულობას.

2.1.1 (2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს და ინტერვიუს მსვლელობის დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია მთელი კათედრა, გარდა ამისა კათედრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან და ერთობლივად გეგმავენ და არჩევენ სკოლაზე, მატერიალურ ბაზასა და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო აქტივობებს, სასწავლო პოცესისათვის საჭირო რესურსებს. ადგენენ შესასწავლ თემებსა და საკითხებს სამიზნე ცნებებთან მიმართებაში, იგეგმება კომპლექსური დავალებების იდეები და მათი განხორციელება, ასევე ერთობლივად მუშავდება შეფასებების ინსტრუმენტები. აღიშნულ პროცესში სკოლას აქტიურად ჰყავს ჩართული მშობლები და მოსწავლეები

. **2.2.1 (3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**.

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლაში ვიზიტისას პედაგოგები აღნიშნავდნენ, რომ კურიკულუმები , პირველ ეტაპზე ზიარდება და განიხილება საგნობრივ კათედრებზე. შემუშავებულ კურიკულუმის საბოლოო ვერსიის შეთახმება სასკოლო სასწავლო გეგმასთან ერთად ხდება სამეურვეო საბჭოსთან და წარედგინება პედაგოგიურ საბჭოს დასამტკიცებლად. შეხვედრაზე ასევე აღწერდნენ, თუ როგორ ხდება მშობლის ინფორმირება და მათი ჩართულობა სასწავლო პროცესში. კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების შესახებ ინფორმირებული არიან მოსწავლეები და მათი მშობლები. სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებს ინფორმაცია კურიკულუმით დაგეგმილი აქტივობების შესახებ, ძირითადად, მიეწოდებათ სკოლის სოციალური მედიის გვერდის მეშვეობით ან ინდივიდუალურ შეხვედრებზე.

2.2.1 (4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
2. საგნობრივი კურიკულუმები;
3. საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები;
4. კათედრის თავმჯდომარეების ანგარიშები.

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები; სწავლის პროცესი განიხილება როგორც აქტიური ცოდნის კონსტრუირების პროცესი და ორიენტრიებულია მოსწავლის მიერ საკუთარი სწავლა/სწავლების პროცესის დაგემვაზე; საგნორივი კურიკულუმები შედგება აუცილებელი სტრუქტურული ერთეულებისაგან. კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალებები იდეების სახით ასახულია სავალდებულო თემებში. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები,
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივი კურიკულუმები, სამივე საფეხურზე ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს, რაც დასტურდება სასწავლო პროცესის გრძელვადიან მიზნებზე ორიენტაციით. კურიკულუმში გაწერილი საკითხების დამუშავება ხდება კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალებებით და პროექტებით,სადაც იკვეთება ცოდნის აგებაზე ორიენტირებული აქტივობების შეთავაზება და მრავალფეროვნი ელექტრონული რესურსის გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას , დამოუკიდებელ აზროვნებას და ცოდნის კონსტრუირებას .კათედრამ წარმოადგინა სამოქმედო გეგმა, კათედრის ოქმი , რის საფუძვე–ზეც შეიძლება ითქვას, რომ კათედრის წევრე–ბი ერთობლივად მუშაობენ.ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ

	კომპლექსური ბუნების დავალებებზე დაფუძნებული სწავლების გამოცდილება, რაც საბოლოოდ ადასტურებს რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ შემუშავებული დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები, მასში გაწერილი თემები და რესურსები შეესაბამება ესგ-ს და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დოკუმენტს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. **რჩევა:** სასურველია კურიკულუმში გაწერილი იყოს ყველა შემოქმედებითი პროდუქტი, რომელსაც მოსწავლეები სასწავლო წლის განმავლობაში ქმნიან, ასევე სასურველია, შემოქმედებითი დავალების პირობა იყოს მოკლე და კონკრეტული. ასევე სასურველია კურიკულუმის ქუდში მითითებული იყოს სახელმძღვანელო და საათობრივი ბადე. ასევე თითოეული თემის გრაფაში მიეთითოს ამ თემისთვის განკუთვნილი საათების რაოდენობა.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ ესთეტიკის კათედრის მიერ- მუსიკის საგანში და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში - **დაწყებით, საბაზო** და **საშუალო** საფეხურზე წარმოდგენილი სავალდებულო თემატური ბლოკები, თემები და შემოქმედებითი ტიპის დავალებები წარმოადგენს პედაგოგთა და მოსწავლეთა გამოცდილებას და პრაქტიკას, განისაზღვრება როგორც საფეხურის მისაღწევი შედეგების ორიენტირი. შესაბამისად, წარმოდგენილი კურიუკულუმები შემუშავებულია და ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე. **რჩევა**: საბაზო საფეხურზე, მე-8 და მე-9 კლ მუსიკის საგნის კურიკულმში გათვალისწინებულ იქნას დროში მოსწრებადი, განხორციელებადი შემოქმედებითი დავალების რაოდენობა (თემაში ერთი), საათობრივი ბადით განსაზღვრულ საათების რაოდენობასთან მიმართებით, ასევე გათვალისწინებული იქნას იმ საკითხების დამუშავება, რომელიც შემოქმედებით დავალებამდე მისვლაში დაგეხმარებათ. მუსიკის საგანში - როგორც საბაზო საფეხურის კურიკულუმებში სრულყოფილად გაიწეროს პირველი ცნება - „ბგერა”

	ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასწავლებელთა მიერ შერჩეული თემები, შემოქმედებითი დავალებები ითვალისწინებს მოსწავლეთა შესაძლებლობებს, ინტერესებს, მოთხოვნებს. კურიკულუმის ფარგლებში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა მოსწავლეებს აკადემიური და პიროვნული განვითარებისთვის ხელშემწყობ აქტივობებსა და დავალებებს სთავაზობს. ინდიკატორი 2.1.2.1.აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
მათემატიკა	სამივე საფეხურზე წარმოდგენილი ყველა კლასის კურიკულუმის განხილვისა და ინტერვიუს შედეგიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; ყველა კლასის კურიკულუმის ცხრილში მოცემულია სავალდებულო თემები, გრძელვადიანი მიზნები (ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად). შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილია დავალებები (დავალების იდეა), რომელთა შერჩევა განხორციელებულია კათედრაზე მოსწავლეთა ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით. შერჩეული დავალებები იძლევა სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურად ჩართვის, ფუნქციური უნარების განვითარების საშუალებას, რაც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ ზრდას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
სპორტი	სკოლის მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმი სამივე საფეხურზე წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და

	განვითარების გზას. კურიკულუმში გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში გუნდური სათამაშო სახეობებიდან გაწერილია ერთი თემა („ფეხბურთი“), რადგან სკოლიში მიმდინარეობს დარბაზის რეაბილიტაცია და კალათბურთის და ფრენბურთის ჩატარება შეუძლებელია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** *სასურველია, სამივე საფეხურის კურიკულუმებში გაიწეროს საათების რაოდენობა თითოეული თემის მიხედვით. ასევე, 1, 2, 3, და 4 კლასების კურიკულუმებში მითითებული თემა „გასართობი თამაშები ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის ელემენტებით“ სასურველია გაიწეროს ცალ-ცალკე.*
ტექნოლოგიები	მტკიცებულებით წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის კომპიუტერული ტექნოლოგიების II-VI კლასების კურიკულუმში მიზნები მუშავდება სამგანზომილებიანი კურიკულუმის მიდგომით, სადაც ცნებების საშუალებით გამთლიანებულ მიზნობრივ ორიენტირად არის წარმოდგენილი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. შუალედურ მიზნად განიხილება და უპირატესობა ენიჭება შემოქმედებითი ტიპის დავალებებს, რომელთა შესრულებაც მოსწავლეს უღვივებს ცნობისმოყვარეობას, ხელს უწყობს შემოქმედებითობას და ფანტაზიის უნარს, იწვევს ემოციურ კმაყოფილებას. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასწავლებელთან ინტერვიუს დროსაც გამოჩნდა, რომ მას გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, მკვიდრი წარმოდგენების, საგნობრივი საკითხების, შემოქმედებითი დავალებების ერთმანეთთან ურთიერთმიმართება და კოლერაცია, საგნის სწავლა-სწავლების ძირითადი მიზნები. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რომელიც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და სკოლის მისიას. გათვალისწინებულია დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, მათი საჭიროებები და ინტერესები. *ა მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მიმართულების კურიკულუმები ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალიწინებულ გრძელვადიან მიზნებს, რომელიც წარმოდგენილია ცნებების იერარქიის სახით. კურიკულუმში გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივი კურიკულუმები, სამივე საფეხურზე ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს, რაც დასტურდება სასწავლო პროცესის გრძელვადიან მიზნებზე ორიენტაციით. კურიკულუმში გაწერილი საკითხების დამუშავება ხდება კომპლექსური/შემოქმედებითი

	ტიპის დავალებებით და პროექტებით,სადაც იკვეთება ცოდნის აგებაზე ორიენტირებული აქტივობების შეთავაზება და მრავალფეროვნი ელექტრონული რესურსის გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას , დამოუკიდებელ აზროვნებას და ცოდნის კონსტრუირებას .კათედრამ წარმოადგინა სამოქმედო გეგმა, კათედრის ოქმი , რის საფუძვე–ზეც შეიძლება ითქვას, რომ კათედრის წევრე–ბი ერთობლივად მუშაობენ.ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ კომპლექსური ბუნების დავალებებზე დაფუძნებული სწავლების გამოცდილება, რაც საბოლოოდ ადასტურებს რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში მოცემული თემატური ერთეულები, სამიზნე ცნებები, რესურსები, შემოქმედებითი პროდუქტის იდეები და კონტექსტ-მაგალითები იძლევა ესგ-ს მიერ განსაზღვრული მიზნებისა და შედეგების მიღწევის საშუალებას. **რჩევა:** სასურველია, დამატებითი რესურსების მეტი რაოდენობა. როგორც კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან დამატებით რესურსებს, რაც არ არის მითითებული კურიკულუმებში. სასურველია მათი ასახვა შესაბამის გრაფაში. იმ რესურსების ბმულები, რომლებიც კურიკულუმშია მითითებული, მოქმედია. სასურველია ყველა შემოქმედებითი პროდუქტის გაწერა, რომელსაც მოსწავლეები წლის განმავლობაში ქმნიან.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის **დაწყებითი**, **საბაზო და საშუალო** საფეხურის კურიკულუმი საგან მუსიკაში და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, სადაც წარმოდგენილია გრძელვადიანი მიზნების ფარგლებში შერჩეული შემოქმედებითი დავალების იდეები, სამიზნე ცნებები და შედეგები, ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და იძლევა შესაძლებლობას განისაზღვროს მოსწავლის აქტიური ჩართვა პროცესში.

	ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. შუალედური მიზნების მისაღწევად კურიკულუმებში ჩაშენებულია შემოქმედებითი ბუნების დავალებები. სამივე საფეხურის კურიკულუმებში იკითხება, რომ დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. შერჩეული კომპლექსური ბუნების დავალებები შეძლებისდაგვარად გათვლილია ისეთი გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებაზე, როგორებიცაა: მოქალაქეობა, კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, კომუნიკაცია და სხვა. ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს
მათემატიკა	სწავლების სამივე საფეხურზე, ყველა კლასის კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რომლებიც კურიკულუმის ცხრილში მოცემულია სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების სახით. მიზნის მიღწევის საშუალებად წარმოდგენილია შემოქმედებითი ან შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომელზეც მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვა, უვითარდება კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება (პრობლემის გადაჭრისა და პროდუქტის შექმნის პროცესში). დოკუმენტების განხილვისა და ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით

	განსაზღვრულ შედეგებს, გრძელვადიან მიზნებს. ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
სპორტი	სამივე საფეხურის კურიკულემების ჩარჩოებში ჩანს კავშირი თემებს, საკითხებსა და სამიზნე ცნებებს შორის. კურიკულუმები დაგეგმილია ისეთი აქტივობები, რომლებიც მიმართულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიანი მიზნებისაკენ. სავალდებულო თემების ფარგლებში ხდება სამიზნე ცნებების დამუშავება, კურიკულუმები იძლევა საშუალებას სამიზნე ცნებების გააზრებისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	მტკიცებულებით წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის კომპიუტერული ტექნოლოგიების II-VI კლასების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სტანდარტების მოთხოვნებს. სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გააზრებულია გრძელვადიან მიზნებად. გლობალური ფუნქციური უნარები აღქმულია უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად. შუალედური სასწავლო მიზნები წარმოდგენილია შემოქმედებითი ბუნების დავალებების სახით, სადაც მოსწავლე საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად და მიზნობრივად იყენებს ახალ ცოდნას, უნარებს და ღირებულებებს. მსგავსი ტიპის დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრისას შემოქმედებითობა სჭირდება, გუნდურობა და ჯგუფური სამუშაო მისგან თანამშრომლობის უნარებსაც მოითხოვს, ხოლო დამოუკიდებელი მოსწავლის როლი, რეფლექსია და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, მის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ , რომ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კომპიუტერული ტექნოლოგიები II-VI

	კლასების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმები შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. მიემართება გრძელვადიან მიზნებს; სტანდარტით გათვალისწინებული თემების ფარგლებში მუშავდება შუალედური მიზნები. კათედრას კურიკულუმისთვის შემუშავებული აქვს ერთიანი ჩარჩო, რომელშიც მკაფიოდ არის წარმოჩენილი თითოეული სვეტის დანიშნულება

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საგანმანათლებლო რესურსების უზრუნველყოფის მიმართულებით საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში ჩაშენებულ რესურსებში ჩანს როგორც ძირითადი გრიფირებული სახელმძღვანელო, ასევე ელექტრონული რესურსები; მასწავლებლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად; რესურსების შერჩევისას ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა მიერ შექმნილ სხვადასხვა თვალსაჩინო მასალას საგნობრივი საკითხების გავლისას იყენებენ როგორც სასწავლო რესურსს; სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია , მაგრამ პედაგოგებთან გასუბრებისას გაირკვა, რომ აქვთ ქიმიური რეაქტივების ნაკლებობა.ლაბორატორიაში არსებული მწირ რესურსებს აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში.

	რჩევა: სასურველია, სკოლამ მოკლევადიან პერსპექტივაში უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია სასკოლო ქიმიური რეაქტივებით ,რათა მოსწავლეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა პრაქტიკული და კვლევითი უნარების სრულყოფილი განვითარებისათვის.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	არსებული დოკუმენტაციით საგნობრივი კურიკულუმები ემსახურება ე.ს.გ-ში განსაზღვრულ გრძელვადიან და შუალედურ მიზნებს,თემის ფარგლებში სამივე საფეხურზე მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. შუალედური მიზანი ხორციელდება კომპლექსური დავალების საფუძველზე. ჩანს, რომ პედაგოგები გრიფირებული სახელმძრვანელოს გარდა იყენებენ დამატებით ინტერნეტ რესურსებს. ხველა საფეხურზე მუშავდება ყველა სამიზნე ცნება.
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი მეტნაკლებად უზრუნველყოფილია შესაბამისი საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსით. **რჩევა:** სასურველია მეტი დამატებითი რესურსის, კერძოდ საგანმანათლებლო აპლიკაციების, გვერდების, აუდიო და ვიდეომასალის მოქმედი ბმულების რესურსის გრაფაში მითითება. ასევე კარგი იქნება კონტექსტ-მაგალითების მითითება ყველა თემისთვის.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახულია, როგორც ძირითადი სასწავლო რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელოები), ისე დამატებითი რესურსები, ვიდეო-ფილმები, ფოტო მასალა, ბმულები. ინტერნეტ-პლატფორმები, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს და შეუძლია მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი. **რჩევა: სასურველია მასწავლებლებმა სამივე საფეხურის კურიკულუმების შესაბამის ველში სრულად შეიტანონ ის ელექტრონული (ბმულები) თუ ფიზიკური რესურსები, რომლებსაც იყენებენ**

	გაკვეთილებზე.რჩევა: სასურველია მეტი დამატებითი რესურსის, კერძოდ საგანმანათლებლო აპლიკაციების, გვერდების, აუდიო და ვიდეომასალის მოქმედი ბმულების რესურსის გრაფაში მითითება. ასევე კარგი იქნება კონტექსტ-მაგალითების მითითება ყველა თემისთვის.
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე სახელმწიფო ენის კურიკულუმებში ძირითად რესურსად მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, უმრავლეს მათგანში დამატებითი რესურსებიცაა ჩანიშნული, თუ არ ჩავთვლით მე-4 კლასის კურიკულუმს, რომელშიც მხოლოდ ძირითადი სახელმძღვანელოს გვერდებია მინიშნებული. ცალკე გამოგზავნილ ფაილში ნაჩვენებია, ძირითადად რა რესურსებს იყენებს კათედრა. სასწავლო წლის დასაწყისში ჩატარებული კათედრის სხდომის ოქმიდანაც ირკვევა, როგორ არჩევს და ამტკიცებს ყოველი მასწავლებელი მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და ინტერესებზე, მათ განვითარებაზე მორგებულ რესურსებს. ინტერვიუს პროცესში ისაუბრეს მასწავლებლებმა, გამოყენებული ელექტრონული რესურსებისა და სხვა დამატებითი სასწავლო მასალების შესახებ. სახელმწიფო ენის კათედრას აქვს გამოცდილება, თავადაც შექმნან სასწავლო რესურსები. **რჩევა:** სასურველია, შეივსოს სასწავლო კურიკულუმები და ყოველ მათგანში რესურსებად მიეთითოს ის გრიფირებული სახელმძღვანელოები, რომლებიც კათედრამ შეარჩია წლის დასაწყისში, ამასთანავე, დამატებითი რესურსები და ის მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები, რომლებიც თავად მასწავლებლების მიერაა შექმნილი. ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

მათემატიკა	სამივე საფეხურზე კურიკულუმებში გათვალისწინებულია რესურსი, გრიფირებული თუ დამატებითი(სახელმძღვანელო და ელექტრონული რესურსი), რომლებიც სრულად ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას.
სპორტი	სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი რესურსები შეესაბამება მოსწავლეთა შესაძლებლობებს, რაც იძლევა საშუალებას სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმებით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, სახელმძღვანელოები, თვალსაჩინოებები გამოიყენება სასწავლო პროცესში. ასევე, კურიკულუმებში წარმოდგენილია ონლაინ რესურსები და ვიდეობმულები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** ***რჩევა:*** სასურველია დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში დამატებითი რესურსი მოძრავი თამაშობანი (1968 წ.), ჩანაცვლდეს უფრო თანამედროვე რესურსებით, მაგ., „მოძრავი თამაშების კრებული დაწყებითი კლასის მოსწავლეთათვის (2024 წ.), ან/და „სპორტის გზამკვლევი (1-6 კლასები) (2011).
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების II-VI კლასების კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები: ძირითადი საგანმანათლებლო რესურსია- school.emis.ge და სხვა საგანმანათლებლო რესურსები (https://scratch.mit.edu , 3DPaint, https://www.autodraw.com ,,ვსწავლოთ თამაშით", https://studio.code.org , Sway, Powerpoint, Word, Excel, https://phet.colorado.edu და სხვა დამატებითი ინტერნეტ რესურსები. საგანმანათლებლო რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. რესურსები ძირითადად მორგებულია მოსწავლეთა ინდივიდულურ საჭიროებებსა და ინტერესებს. სკოლას აქვს კომპიუტერული ტექნოლოგიების ლაბორატორია, რომელიც აკმაყოფილებს კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილების ხარისხიანად ჩატარების მოთხოვნებს, ამ ლაბორატორიით სარგებლობა შეუძლიათ სხვა საგნის მასწავლებლებსაც გაკვეთილზე ელექტრონული რესურსების გამოსაყენებლად, სკოლის შენობა დაქსელილია

	ინტერნეტით . კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.ინდიკატორი შესაბამისობაშია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი (გრიფირებული სახელმძღვანელო), ასევე-დამატებითი რესურსები, ინტერნეტ-პლატფორმები, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს და შეუძლია მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი. რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **რჩევა:** სასურველია, სამომავლოდ, უფრო მეტი მატერიალური და ელექტრონული რესურსით გამდიდრდეს კურიკულუმები.

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. დოკუმენტებში წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სსსმ მოსწავლისათვის. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა იწყება მოსწავლის საჭიროებების დადგენით და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. სკოლის მცირე კონტიგენტი უზრუნველყოფს ინკლუზიის ხარისხს და დიფერენცირებულ მიდგომებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფს დიფერენცირებული და ინკლუზიური სწავლების პრაქტიკას. დოკუმენტაციისა და ინტერვიუების ანალიზი დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეფუძნება მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე.
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრას სხვა კათედრებთან ერთად შემუშავებული აქვს ინდივიდუალური საჭიროებების მქონე მოსწავლეების რემედიაციის გეგმა, სადაც დეტალურად, ნაბიჯ-ნაბიჯ არის გაწერილი ის პროგრამა, რომელიც ამ მოსწავლეებთან განახორციელა მასწავლებელმა. **რჩევა:** სასურველია, დიფერენცირებული მიდგომები ზოგადად ჩანდეს სწავლა-სწავლების პროცესში, მაგალითად, მოსწავლეებს მიეცეს არჩევანის საშუალება, თავისი სურვილისამებრ წარმოადგინონ შემოქმედებითი პროდუქტი, მაგალითად, პაუერ პოინტის პრეზენტაციის, ვიდეორგოლის ან პლაკატის სახით, რათა შეძლოთ თავიანთი უნარების მაქსიმნალურად გამოყენება და წარმოჩენა.
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით, სკოლა გამოხატავს მზაობას სსსმ მოსწავლეების სწავლების მიმართ და მათთვის ინდივიდუალური გეგმების შემუშავებისთვის, ჩანს რომ მოსწავლეთა ინტერესების, უნარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით ხდება სასწავლო აქტივობების დაგეგმვა, სასწავლო რესურსების შერჩევა და გარემოს ადაპტირება. ინდივიდუალური სასწავლო გეგმაში სხვა საგნებთან ერთად გაწერილია აქტივობები სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში. ***რჩევა:*** სასურველია ისგ-ში საგნის ცნებაზე/ცნებებზე დაფუძნებული აქტივობები იყოს შემოთავაზებული. მუსიკის საგანში სსსმ მოსწავლის დოკუმენტაციაში სრულყოფილად გაიწეროს პირველი ცნება - „ბგერა'' სახვით და გამოყენებითი ხელოვნების საგნის სსსმ მოსწავლის დოკუმენტაციაში დაკორექტირდეს ცნებები

	ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ სწავლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე წარმოდგენილ შემოქმედებითი ტიპის დავალებებში გათვალისწინებულია ინკლუზიური განათლების ხედვა, ინდივიდუალური მიდგომები, ყოველი მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები და მოტივაციის გზები. დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპები მოქნილია და მორგებულია სასწავლო პროცესს, ითვალისწინებს მოსწავლის წინარე ცოდნას და მასზე აფუძნებს ახალს. ყოველი კლასის კურიკულუმს თან ახლავს ამ კლასში განსახორციელებელი შემოქმედებითი ტიპის დავალებების მოსწავლის ბარათები. რომლებიც ცხადყოფს მასწავლებლის მხრიდან თითოეულ მოსწავლეზე ინდივიდუალურ მიდგომას. სკოლაში შექმნილია ,,წიგნის კლუბი", რომლის მიზანია მოსწავლეებში გაზარდოს ლიტერატურისადმი ინტერესი და სიყვარული, ხელი შეუწყოს მოზარდთა წიგნიერებას. ეს ყველაფერი უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. ინდიკატორი 2.1.2.4 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს
მათემატიკა	სწავლების სამივე საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულიმების გაანალიზების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. მასწავლებელებს აქვთ გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში მოსწავლეებს შესთავაზონ რესურსები და სასწავლო მასალა მათი შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით, რათა გაზარდონ მათი ჩართულობა და ხელი შეუწყონ ცოდნის კონსტრუირებას. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის გამოცდილება, წარმოდგენილი აქვთ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმები, სადაც

	გათვალისწინებულია მოსწავლის შესაძლებლობები და საჭიროებები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
სპორტი	პედაგოგებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ინდივიდუალური ტემპით განვითარებას. მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ფიზიკურ განვითარებას, სთავაზობენ მათ განსხვავებული ინტენსივობის და მოცულობის დატვირთვებს. ასევე, სკოლამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სადაც გაწერილია მოსწავლის ფიზიკური განვითარების დონე, მისაღწევი შედეგები და კონკრეტული აქტივობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	მტკიცებულებით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (კომპიუტერული ტექნოლოგიები II-VI კლასები) კურიკულუმების განხილვისას ჩანს, რომ საგნობრივი კურიკულუმების სტრუქტურა და კონცეფცია თავისი ბუნებით ხელს უწყობს ინკლუზიური განათლების პრინციპების რეალიზებას. შედეგები და სამიზნე ცნებები განსაზღვრულია საფეხურის და არა კონკრეტული წლის ფარგლებში. შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის აუცილებელ ინსტრუმენტია კომპლექსური(შემოქმედებითი) დავალება, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები და შესაბამისი დავალება შესთავაზოს მათ, ცალკეული მოსწავლეებისთვის კი ამ დავალების ადაპტირებული ვერსია მოამზადოს. მასწავლებელს კომპლექსური (შემოქმედებითი) დავალებები ისეთნაირად აქვს შერჩეული, რომ მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გააკეთონ სხვადასხვა არჩევანი ერთი და იგივე საკითხის

	დამუშავებისა, ერთსა და იმავე სამიზნე ცნებაზე მუშაობისას, რათა მოსწავლის საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანი იყოს. თვითშეფასების ფორმაშიცაა აღნიშნული და ინტერვიუს დროს პედაგოგმაც აღნიშნა, რომ ისინი მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, იყენებს დიფერენცირებულ მიდგომებს და საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში. სკოლას აქვს მზაობა გამოიყენოს დიფერენცირებაზე დაფუძნებული სწავლების სტრატეგიები, გაკვეთილზე გამოსაყენებელი დამხმარე მასალები და აქტივობები კათედრულ დონეზე, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით.ინდიკატორი შესაბამისობაშია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	პედაგოგები იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, ინკლუზიურ მიდგომებს, აქვთ მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად შექმნილი ადაპტირებული დავალებები.

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო კათედრას შუმუშავებული აქვს როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასებისთვის შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს.

	მტკიცებულებად წარმოდგენილია რამდენიმე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, რომელიც ზოგად წარმოდგენას ქმნის საფეხურის ფარგლებში შეფასების აღნიშნული ტიპის წარმოების წესზე. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს განმავითარბელი შეფასების ეფექტიანობაზე სწავლების როგორც დაწყებით, ასევე საბაზო და საშუალო საფეხურზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლამ სამივე საფეხურისათვის წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. კარგი იქნებოდა, რომ განმსაზრვრელ შეფასებაში საბზო და საშუალო საფეხურზე კრიტერიუმები უკეთ ჩაეშლათ. მეტი სიზუსტით აღიწეროს შეფასების კრიტერიუმები _ გამოიკვეთოს მისაღწევი შედეგები და დავალების პირობასთან მიმართება.
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ძირითადად შეესაბამება ესგ-ს გრძელვადიან მიზნებს და საშუალებას იძლევა, ობიექტურად შეფასდეს მოსწავლეთა შედეგები. **რჩევა:** სასურველია, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იყოს უფრო კონკრეტული და იძლეოდეს გრადაციის საშუალებას: წარმატებული/კარგი/საშუალო/საჭიროებს განვითარებას, რაც საშუალებას მისცემს პედაგოგს, უკეთ განსაზღვროს მოსწავლის საჭიროებები. ასევე სასურველია, შემუშავდეს შეფასების რუბრიკების სახელმძღვანელოს თითოეული თემისთვის, სადაც გაწერილი იქნება ის ცოდნა და უნარები, რაც უნდა შეიძინოს მოსწავლემ თითოეული თემის დასრულების შემდეგ.

ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ წარმოდენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სახვითი და გამოყენებით ხელოვნებაში, ასევე განმსაზღვრელი შეფასება მუსიკაში. შეფასების რუბრიკები პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. **რჩევა:** მუსიკის საგანში დაწყებითი და საბაზო საფეხურიზე შეიქმნას: განმსაზღვრელი რუბრიკები, კურიკულუმში გაწერილი თემების ფარგლებში- სამიზნე ცნების, მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით, შედეგების მიღწევის ინდიკატორებზე დაყრდნობით. შემოქმედებითი ტიპის დავალება შეაფასეთ შესაბამისი განმავითარებელი შეფასების რუბრიკით. შეფასების კრიტერიუმები მიემართებოდეს გრძელვადიან მიზნებს, საფეხურის შედეგებს. სასურველია პროექტული სწავლების (X-XI კლ.) ფასილიტაციის და აქტიური მონიტორინგის შედეგები კონკრეტულად აისახოს შეფასების რუბრიკებში. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილ შემოქმედებითი ბუნების დავალებებს, გაკვეთილის გეგმებს, შემაჯამებელ სამუშაოებს თან ახლავს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, მიუხედავად ზოგიერთი შეფასების რუბრიკის შაბლონურობისა, მაინც იკვეთება მასწავლებელთა ძალისხმევა, შეადგინონ კონკრეტული მიზნების მისაღწევად განმავითარებელი და მიღებული შედეგების განმსაზღვრელი შეფასების ფორმები. წარმოდგენილია თვითშეფასების ფორმებიც. აღნიშნული შეფასებები შესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს და სრულად ემსახურება მოსწავლეთა განვითარებას.

	ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
მათემატიკა	შეფასების კრიტერიუმები იძლევა საშუალებას შეფასდეს ცოდნის კონსტრუირების პროცესი, გამოვლინდეს მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები. სტანდარტის შესაბამისად ახდენენ დაკვირვებას მოსწავლეთა განვითარების დინამიკაზე. ორიენტირებული არიან სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. შეფასების სისტემა არის ვალიდური. შეფასების კრიტერიუმები მიემართება სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
სპორტი	კათედრის მიერ კურიკულუმში წარმოდგენილი მოსწავლის შეფასების სისტემა შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებთან , მიზნებთან და ამოცანებთან. კათედრამ წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მაგალითები. ფასდება როგროც ზოგადი მოტორული უნარებისა და ფიზიკური თვისებების განვითარების დონე, ასევე, მოსწავლეების ჩართულობა სასწავლო პროცესში. შეფასება ორიენტირებულია მოსწავლის განვითარების ხელშეწყობაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე მტკიცებულების სახით წარმოდგენილია განმავითარებელი, განმსაზღვრელი, შემაჯამებელი დავალების, შეფასების რუბრიკები. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილ სასწავლო გეგმაში და თვითშეფასებაში ჩანს, რომ სკოლა იყენებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს. სკოლამ დამატებით წარმოადგინა VI კლასის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კომპიუტერულ ტექნოლოგიებში. ასევე შემაჯამებელი სამუშაოს ამსახველი მასალა შეფასების რუბრიკასთან ერთად. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ხელს უწყობს

	მოსწავლეებს გაიაზრონ მიღწეული და მისაღწევი შედეგები. განმავითარებელი შეფასება არის მოსწავლის განვითარების დინამიკის ხელმშემწყობი მექანიზმი.ინდიკატორი შესაბამისობაშია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, როგორიცაა დავალების, პრეზენტაციის, დისკუსიის და ა.შ. სხვადასხვა აქტივობის შეფასება. **რჩევა:** სასურველია, ყველა საგანში შემუშავდეს კურიკულუმებში გაწერილ კონკრეტულ დავალებებზე მორგებული რუბრიკები; მკაფიოდ გამოიკვეთოს კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და სტანდარტით მისაღწევი შედეგები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის განვითარების/შემუშავების მეთოდოლოგია;
2. სასკოლო სასწავლო გეგმა (2025–2026);
3. საგნობრივი კურიკულუმები (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების);
4. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების);
5. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების);
6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (სსსმ მოსწავლეებისთვისაც ჩათვლით);
7. კათედრის სხდომის/სამუშაო ოქმები;
8. განხორციელებული კომპლექსური დავალებები და სასწავლო პროექტები;
9. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები (I-VI კლასები) (კომპიუტერული ტექნოლოგიები);

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს კურიკულუმით დაგეგმილ აქტივობებს. მოსწავლის შესრულებული ნამუშევრების ნიმუშები ასახავს კურიკულუმით დაგეგმილი შუალედური მიზნის მიღწევის საშუალებას. პედაგოგებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმში გაწერილია საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	მასწავლებელბთა გასაუბრებისა და დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე შიგვიძლია ვთქვათ, რომ საათობრივი დატვირთვა სამივე საფეხურზე , მათ შორის საბაზო და საშუალო საფეხურზე სამივე საგანში (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) და სემესტრული განაწილება შეესაბამება კურიკულუმში გაწერილი თემებისა თუ ძირითადი საკითხებისთვის დათმობილი საათების რაოდენობას. წარმოდგენილი სასწავლო თემები და საკითხები დაგეგმილ აქტივობებთან შესაბამისობაშია.
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის სასწავლო პროცესი დაგეგმილია და წარიმართება კურიკულუმების მიხედვით. კურიკულუმებში მოცემულია გრძელვადიანი მიზნები და მისაღწევი შედეგები, სამიზნე ცნებები, თითოეული თემის ფარგლებში გასავლელი საკითხები, რაც ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის უკეთ წარმართვას.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზდრის კათედრაზე, **დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე,** წარმოდგენილი მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში მკაფიოდაა განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები. თემატური ბლოკებსა და თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, რომელთა დაძლევას/გააზრებას ემსახურება თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები, განსაზღვრულია ქვეცნებები. კურიკულუმებში წარმოდგენილია შემოქმედებითი დავალების იდეები, რაც ამთლიანებს და დინამიკაში წარმართავს პროცესს.

	რჩევა-კათედრამ სამუშაო პროცესის გაანალიზების და შედეგების შეჯამების შემდეგ, პროცესში აღმოჩენილი მიგნებებისა და წარმოშობილი წინააღმდეგობების შესაბამისად, ცვლილებები შეიტანოს კურიკულუმში. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ სამივე საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებზე, შემოქმედებითი დავალებების ბარათებზე, გაკვეთილის გეგმებსა და სხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, აგრეთვე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სამივე საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია და კათედრის წევრებთან გასაუბრება იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. სავალდებულო თემების ფარგლებში განიხილება საკითხები, რომელთა დასამუშავებლად ცხრილში გაწერილია შემოქმედებითი ტიპის დავალებები და რესურსები. კომპლექსურ დავალებები, შესაბამისი აქტივობები და რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სპორტი	კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძელზე, შეგვიძლია ვთქვათ რომ სასწავლო პროცესის წარმართვა ხდება სასკოლო კურიკულუმების შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლას შემუშავებული აქვს საგნობრივი კურიკულუმების შექმნისთვის გეგმა და მეთოდიკა, რომელიც ეყრდნობა კათედრების/დამრიგებლების/ინკლუზიური განათლების სპეციალისტების მიერ შემუშავებულ სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს.

	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრამ განიხილა სკოლის გამოწვევები, მუშაობისას აქცენტი გააკეთა წინა სასწავლო წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით, განაახლა სასკოლო კურიკულუმი და დასამტკიცებლად მოამზადა. ამასთან, მუშაობის პროცესში რეკომენდაციების გათვალისწინებით, სკოლის დირექციამ უზრუნველყო სასკოლო კურიკულუმის განვითარების შესახებ სასკოლო საზოგადოების წევრების ინფორმირებულობა. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს და საკვანძო შეკითხებს შორის. ეს უზრუნველყოფილია ერთის მხრივ კარგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუებით, მეორე მხრივ რეალიზებული კომპლექსური (შემოქმედებითი) დავალებებით. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ძირითადად ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად (საჭიროების შემთხვევაში ხდება მოდიფიცირება). გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით, სავალდებულო თემების ფარგლებში, შუალედური მიზნების დახმარებით მუშავდება კურიკულუმში გაწერილი საკითხები. **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმში გაიწეროს იმდენი დავალება, რამდენსაც რეალურად განახორციელებენ.

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

.....

.....

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილია სასწავლო პროცესის შეფასების ინსტრუმენტები,რომელიც იძლევა საფუძველს, შეფასების სისტემა ჩაითვალოს შეფასების პრინციპების გათვალისწინებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ბუნებისმეტყველების კათედრა იყენებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს, რომლებიც შექმნილია კონკრეტული თემისა და დავალებისათვის. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნიმუშების მიხედვით, შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. რჩევა: სასურველია, შეფასების ინსტრუმეტების დახვეწვა საბაზო და საშუალო საფეხურზე. მეტი სიცხადის შეტანა მოხდეს.მათი კომპლექსურ დავალებებთან შესაბამისობაში მოყვანა.
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ძირითადად შეესაბამება ესგ-ს მიერ განსაზღვრულ მისაღწევ შედეგებსა და სამიზნე ცნებებს, შემუშავებულია გასავლელი თემების შესაბამისად, ასევე ნაცნობია მოსწავლეებისთვის, ეს ყველაფერი უზრუნველყოფს მის ვალიდურობას, გამჭვირვალობას და ობიქტურობას. **რჩევა:** სასურველია, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იყოს უფრო კონკრეტული და იძლეოდეს გრადაციის საშუალებას: წარმატებული/კარგი/საშუალო/საჭიროებს განვითარებას, რაც საშუალებას მისცემს პედაგოგს, უკეთ განსაზღვროს მოსწავლის საჭიროებები. ასევე სასურველია, შემუშავდეს შეფასების რუბრიკების სახელმძღვანელოს

	თითოეული თემისთვის, სადაც გაწერილი იქნება ის ცოდნა და უნარები, რასაც უნდა მიაღწიოს მოსწავლემ თითოეული თემის დასრულების შემდეგ. ასევე სასურველია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების კონკრეტულ პროდუქტებზე მორგება, კერძოდ, ესსეს, ბლოგის, პრეზენტაციის, პლაკატის და ა.შ. მოცემულ თემებზე მორგებული შეფასების რუბრიკების შექმნა, რაც გაუადვილებს მასწავლებელს თითოეული მოსწავლის ობიექტურად შეფასებას.
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკის საგნის და სახვით და გამოყენებით ხელოვნების მიერ წარმოდგენილი სამუშაო პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია იძლევა საშუალებას დადგინდეს რომ კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია განსმაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები. რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს, მორგებულია სასწავლო თემებზე და სამიზნე ცნებებზე. მოსწავლეთათვის შეფასების რუბრიკები ნაცნობია, შესაბამისად შეფასება არის ვალიდური, გამჭირვალე, ობიექტური. **რჩევა:** მუსიკის საგანში შეიქმნას: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, კურიკულუმში გაწერილი თემების ფარგლებში სამიზნე ცნების, მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით. სასურველია პროექტული სწავლების (X-XI კლ) ფასილიტაციის, პროცესის ამსახველი და აქტიური მონიტორინგის შედეგები კონკრეტულად აისახოს შეფასების რუბრიკებში. დაკონკრეტდეს შეფასების კომპონენტები - ჩანდეს სამიზნე ცნებები, საგნის სტანდარტის მისაღწევი შედეგები. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;**
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მიერ სამივე საფეხურზე წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, თვითშეფასების ფორმები, შემაჯამებელი დავალების ანალიზის ნიმუშები ასევე

	სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმი ადასტურებს რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, ობიექტური და სანდო. შეფასების მრავალფეროვანი ფორმები ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეთათვის, ისე მშობლებისთვის, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და წინასწარ ინფორმირებულობას. **რჩევა:** სკოლაში არსებობს კონკრეტული შემოქმედებითი დავალებებისთვის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ფორმების შექმნის საუკეთესო პრაქტიკა, სასურველია, ამ პრაქტიკის გათვალისწინებით, ყველა სამუშაო ფასდებოდეს არა ზოგადი, არამედ კონკრეტულ დავალებაზე მორგებული შეფასების რუბრიკებით. ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
მათემატიკა	სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუენტები. შეფასების რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს, ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ სცდება სასწავლო პროგრამას. წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასება არის ვალიდური, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინტერვიუ ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა ემყარება ვალიდურ, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ და სამართლიან პრინციპებს. განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები ეფუძნება სამიზნე ცნებებს და კონკრეტულ თემებს. მასწავლებლები წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელს გააზრებული აქვთ, რომ მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა. მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. კათედრაზე არსებობს დიაგნოსტირების,

	ურთიერთდასწრების, ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების პრაქტიკა, რასაც მოწმობს სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაცია, სკოლას აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი. ეს ყველაფერი იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლები იყენებენ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს. წარმოდგენილია მოსწავლეთა წარმატების ამსახველი განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. **რჩევა:** სასურველია, ყველა საგანში აწარმოონ კონკრეტულ დავალებაზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები.

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლაში შემუშავებულია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი, რომელიც სამი მიმართულებით ხორციელდება: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, სასწავლო პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულების ვერიფიკაცია. სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევის საჯარო სკოლამ ვერიფიკაციის წესის შესაბამისად შექმნა ვერიფიკაციის ჯგუფი (ბრძანება N 2-73, 15 სექტემბერი, 2025 წ.). სკოლა აქტიურად გეგმავს აღნიშნული წესისა და სამუშაო ჯგუფის მიერ შექმნილი გეგმის მიხედვით იმუშაოს ვერიფიკაციის პროცესში ჩართულ სხვადასხვა მონაწილესთან, მათ შორის, მოსწავლეებთან ერთად.

2.2.1 (4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალის საჯარო სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო შენახვის მექანიზმი, კერძოდ, არქივზე პასუხისმგებელი პირისთვის

გადაცემა. დოკუმენტაციის შესაბამისი ინახება სკოლის პირად საქმეებსა და შეფასების ელექტრონულ სისტემაში, მატერიალური ნაწილი კი (პროდუქტები თუ სხვ.) დირექტორის კაბინეტში საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მათი მოძიება. 2020 სასწავლო წლამდე სკოლაში მოსწავლეთა შეფასება ხორციელდებოდა მატერიალური სახით, რომელიც დღემდე დაცულია და ინახება სკოლაში. 2021 წლიდან კი სრულად ჩანაცვლდა ელექტრონული ჟურნალით. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მათი მოძიება.

2.2.1 (5) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის განვითარების/შემუშავების მეთოდოლოგია;
2. სასკოლო სასწავლო გეგმა (2025–2026);
3. საგნობრივი კურიკულუმები (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების);
4. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების);
5. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების);
6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (სსსმ მოსწავლეებისთვის ჩათვლით);
7. კათედრის სხდომის/სამუშაო ოქმები;
8. სკოლის თვითშეფასების ფორმა;
9. შემაჯამებელი დავალებები (ნიმუში, შეფასების რუბრიკა, მოსწავლეთა ნამუშევარი, ანალიზი);
10. შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი;
11. შესაბამისი ბრძანებები (ბრძანება N2-38 და N2-39);
12. დიაგნოსტიკური წერები
13. საგნობრივი კურიკულუმები საფეხურების მიხედვით ;
14. გაკვეთილებზე ურთიერთდაკვირვების მასალები და რეფლექსიები
15. სასწავლო პროცესში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნებში კურიკულუმები შემუშავებულია გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით. აგრეთვე კათედრაზე აქტიურად იყენებენ სხვადასხვა ტიპის ელექტრონულ რესურსებს (ბმულები მოცემულია კურიკულუმებში).ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს როგორც მათ მიერ, ასევე, მოსწავლეების მიერ დამზადებულ სასწავლო რესურსზე, რომელსაც აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	არსებულ კურიკუმზე დაყრდნობით შეგვიძლია ვტქვათ, რომ საკმაოდ მრავალფეროვანი რესურსებია აქვთ წარმოდგენილი, რომლებიც შესაბამისობაში მოდის არსებულ თემებსა და საკითხებთან.
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრაზე ინგლისური და რუსული სწავლებისთვის შერჩეულია გრიფირებული სახელმძღვანელოები. დამხმარე რესურსად მასწავლებლები იყენებენ ინტერნეტ ბმულებს, სასწავლო აპლიკაციებს, აუდიო და ვიდეო მასალებს, პრეზენტაციებს.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის საგნების სწავლებისთვის შერჩეულია გრიფირებული სახელმძღვანელოები. დამხმარე რესურსად მუსიკის საგანი იყენებს სამინისტროს მიერ შეთავაზებულ ონლაინ რესურსებს, როგორც თემებისა და საკითხების სახით, აგრეთვე ვიდეო-აუდიო რესურსის ფორმატით. ფუნქციონირებს ხელოვნების კაბინეტი, რესურს ოთახი, მუსიკის კაბინეტი-პიანინო, სახელმძღვანელოები , ნოტები და ა.შ. მასწავლებლები გაკვეთილზე იყენებენ პერსონალურ კომპიუტერს, ხმის გამაძლიერებელს, პროექტორს მოსწავლეთა პრეზენტაციების წარსადგენად. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისთვის კი სხვადსხვა თვალსაჩინოებას, ინტერენეტ რესურსებს, ბმულებს, პრეზენტაციებს და სხვა. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;**

სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ სამივე საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია, თუ რომელ ძირითად სახელომძღვანელოებს იყენებს სკოლა, დანართის სახით გადმოგზავნილია,რომელი დამატებითი რესურსები აქვთ შერჩეული ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას, კურიკულუმებში ჩაშენებულია ელექტრონული რესურსებიც. წარმოდგენილია რამდენიმე გაკვეთილის გეგმა, კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებშიც ჩანს დასახელებული რესურსების ეფექტური გამოყენება. წლის დასაწყისში ძირითადი და დამატებითი რესურსები დამტკიცებულია კათედრის სხდომაზე.
მათემატიკა	კურიკულუმში გაწერილია სავალდებულო, ძირითადი რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო) და დამხმარე რესურსები - ვიდეო გაკვეთილები, რაც სასწავლო შედეგის მიღწევის საშუალებას იძლევა, ზრდის მოსწავლის მოტივაციას. გასაუბრებისას გამოიკვეთა წარმოდგენილი მატერიალური რესურსების გამოყენება.
სპორტი	ფიზიკური აღზრიდსა და სპორტის კურიკულუმებში წარმოდგენილი ძირითადი და დამხმარე რესურსები (როგორც მატერიალური, ისე ელექტრონულ) გამოიყენება სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლას შემუშავებული აქვს საგნობრივი კურიკულუმების ფორმა, რომლებიც მოიცავს ძირითადი და დამხმარე რესურსების ველებს. დაწყებითი საფეხურის კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმების ძირითადი ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსია https://school.emis.ge და ასევე სხვა ელექტრონული

	პლატფორმები: (https://scratch.mit.edu , 3DPaint, https://www.autodraw.com ,,ვსწავლოთ თამაშით", https://studio.code.org , Sway, Powerpoint, Word, Excel, https://phet.colorado.edu. სკოლაში ხელმისაწვდომია ინტერნეტი, რაც უზრუნველყოფს ელექტრონული რესურსების შეუფერხებელ გამოყენებას. სკოლას აქვს კომპიუტერული ტექნოლოგიების ლაბორატორია , რომელიც აკმაყოფილებს კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილების ხარისხიანად ჩატარების მოთხოვნებს. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში გამოიყენება გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, დამატებითი მატერიალური, აუდიო და ვიდეო რესურსები. **რჩევა:** სასურველია, საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი თემების დამუშავების დროს მასწავლებლებმა გამოიყენონ მრავალფეროვანი, დამხმარე, მატერიალური და ელექტრონული რესურსები.

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას, სამივე საფეხურზე რესურსების შერჩევა ხდება საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ,პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში ძირითადად სარგებლობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, ასევე აქტიურად იყენებენ სხვადასხვა დამხმარე რესურსს, რომლის ვალიდაციას ახორციელებენ კათედრაზე, სადაც მოწმდება ესა თუ ის რესურსი რამდენად შეესაბამება საგნობრივი სტანდარტით განსაზღრულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის პროცესს, რომელიც მოიცავს მასწავლებელთა ჩართულობას რესურსების შერჩევასა და შეფასებაში, რესურსების პრაქტიკულ ტესტირებას სასწავლო პროცესში, რეგულარულ მონიტორინგსა და განახლებას.
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი რესურსები ვალიდურია.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე წარმოდგენილი რესურსები ვალიდურია. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმდგენილი სხდომის ოქმით დამტკიცებულია ის ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები, რომლებსაც კათედრა ირჩევს წლის დასაწყისში. წლის განმავლობაში, საჭიროებიდან გამომდინარე, იქმნება სახელმწიფო ენის შესწავლისთვის აუცილებელი სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსიც. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების მიერ ვალიდური ელექრონული რესურსების შექმნის პრაქტიკა სახელმწიფო ენის კათედრის ძლიერი მხარეა. ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
მათემატიკა	გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება კათედრაზე. სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევენ, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე მათთვის მისაღებ სასწავლო დამატებით რესურსებს. ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
სპორტი	კურიკულუმებით გათვალისწინებული დამატებითი რესურსები განსაზღვრულია საგნოვრივ კათედრაზე განხილვის შედეგად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები	საგნობრივ კათედრაზე შერჩეულ დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას სკოლა თავად უზრუნველყოფს. რესურსები წარმოდგენილია მატერიალური ან და ელექტრონულ ფორმატში და თავმოყრილია საგნობრივ კურიკულუმებში. სასწავლო წლის დასასრულს კურიკულუმების რევიზია /გადახედვისას მასწავლებლები კათედრებზე განიხილავენ დამხმარე რესურსების ვალიდაციის საკითხსაც და მათი მოსაზრებების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში ხდება დაწყებითი კლასების კურიკულუმის მოდიფიცირება დამხმარე რესურსების ჩამონათვალში ცვლილებების შეტანის გზით. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ვალიდაციის პროცესში, დამხმარე სასწავლო რესურსები შეირჩევა შეთანხმებულად, დაწყებითი კლასების კათედრაზე, მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით ხდება რესურსების განახლება, ადაპტირება.

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას გააჩნია შესაბამისი ფართი, სასკოლო ინვენტარი სწავლის შედეგების უზრუნველსაყოფად, თუმცა საბუნებისმეტყველო დისციპლინების სასწავლო შედეგების მისაღწევად სწავლების საბაზო და საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნებში მოსწავლეთა კვლევითი და პრაქტიკული უნარების გასავითარებლად აუცილებელია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სრულფასოვანი ფუნქციონირება. სკოლას საბუნებისმეტყველო ლაბორატორია გააჩნია, მაგრამ ქიმიური რეაქტივების მწირი

	რაოდენობა აქვთ. საჭიროა სკოლამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია სასკოლო ქიმიური რეაქტივებით , რადგან ეფექტიანი სწავლების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა სკოლაში კვლევითი კომპონენტის გაძლიერებაა. **ინდიკატორი ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ ფოტო მასალაზე დაყრდნობით, ჩანს, რომ სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინვეტარით. რომელიც ხელს უწყობს კომფორტულ და ეფექტურ სწავლა-სწავლების პროცესს.
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრა იყენებს კომპიუტერს, პროექტორს, ინტერნეტს, პლაკატებს, აუდიო და ვიდეოჩანაწერებს, რათა სასწავლო პროცესი უფრო საინტერესო და მამოტივირებელი გახდეს მოსწავლეთათვის. რესურსი ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე წარმოდგენილია სწავლის შედეგების მისაღწევი სხვადასხვა რესურსები: თვალსაჩინოებები, პრეზენტაციები, ონლაინ და მატერიალური რესურსები. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად სკოლა უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით შესაბამისი მატერიალური რესურსით. ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს
მათემატიკა	სკოლას აქვს სასწავლო მატარიალური რესურსი, საკლასო ოთახები აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, უზრუნველყოფილია მოსწავლეთა უსაფრთხოება და მორგებულია

	დიფერენცირებულ საჭიროებებზე. ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
სპორტი	სკოლაში ტარდება დარბაზის რეაბილიტაცია. სკოლას გააჩნია სპორტული მოედანი, ასევე იყენებს დახურულ სივრცეს მაგიდის ჩოგვურთის ჩასატარებლად. ასევე, მასწავლებლები იყენებს სპორტულ ინვენტარს, რომელიც მითითებულია საგნობრივ კურიკულუმებში (მაგ., სხვადასხვა ტიპის და ზომის ბურთები, ნიშნულები, ჩოგნები, მაგიდის ჩოგბურთის მაგიდა და ა.შ.) **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილები ტარდება კომპიუტერულ ლაბორატორიაში. სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. კომპიუტერულ კლასში ხელმისაწვდომია 6 პერსონალური კომპიუტერი და 13 ლეპტოპი; სკოლის შიდა სივრცე მთლიანად დაფარულია ინტერნეტით, აღნიშნულის გათვალისწინებით სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. კლასებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს ძირითადი და დამხმარე სასწავლო მატერიალური და ციფრული რესურსებით.

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლაში დასაქმებულია კვალიფიციური და კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი მასწავლებლები, რომლებიც ფლობენ შესაბამის გამოცდილებასა და კვალიფიკაციას, რაც ასევე დასტურდება მასწავლებლების პირადი საქმეებისა და ხელშეკრულებების შესწავლით, ასევე ელექტრონული ბაზების გადამოწმებით. ყველა საგანს ასწავლის კვალიფიციური მასწავლებელი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების (სსსმ) პედაგოგი ასისტენტთან ერთად, სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია, ბიბლიოთეკარი, IT სპეციალისტი. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა

2.3.2 (3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა;
2. სასკოლო კურიკულუმი;
3. საგნობრივი კურიკულუმები;
4. გრიფირებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი;
5. მოსწავლეების შექმნილი რესურსების ამსახველი მტკიცებულებები *მათ შორის სსსმ მოსწავლის)*
6. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
7. მასწავლებლის პორტფოლიო;
8. მასწავლებლის პირადი საქმეები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**
   მონიტორინგისა და შეფასების პროცედურები და პოლიტიკა განსაზღვრულია კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. როგორც ზემოთ აღვწერეთ, სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიური დოკუმენტი, რომელშიც შინაარსობრივად 2.3.1.1. ინდიკატორის საკითხებსაც მოიაზრებს. სკოლამ ინტრვიუების პროცესში გამოხატა მზაობა მოტინორინგისა და შეფასების სამომავლო გეგმებისა და მნიშვნელობის გააზრების მიმართულებით.
   2.3.1 (1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**
   სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალის საჯარო სკოლას სრულად გააზრებული აქვს მისი საჭიროება და მნიშვნელობა და ამასთან, პრაქტიკაში იყენებს მის ელემენტებსაც. სკოლის ადმინისტრაცია აცნობიერებს, რომ სისტემური მონიტორინგი და პერიოდული შეფასება უმნიშვნელოვანესია, როგორც პრობლემების დროულად იდენტიფიცირებისთვის, ასევე ხარისხის გაუმჯობესების გრძელვადიანი სტრატეგიისთვის. ამ მიზნით, სკოლა უკვე იცნობს შესაბამისს ინსტრუმენტებს - მათ შორის დოკუმენტური ანალიზის, თვითშეფასების ფორმების, მოსწავლეთა და პედაგოგთა ჩართულობით განხორციელებულ დაკვირვებისა და უკუკავშირის მექანიზმებს.

2.3.1 (2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სკოლას გააზრებული აქვს, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესები სკოლის განვითარებაში უკავშირდება სასკოლო საზოგადოების წევრების - მათ შორის მასწავლებლების, მოსწავლეების, ადმინისტრაციისა და მშობლების - მხარდაჭერასა და დახმარებას. ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლის წარმომადგენლები (ადმინისტრაცია, ხარისხის მართვის ჯგუფი) იაზრებს, რომ ეს პროცესი არ არის მხოლოდ კონტროლის მექანიზმი, არამედ მნიშვნელოვანია პროფესიული ზრდისთვის, სასკოლო კულტურის გაჯანსაღებისა და საერთო მიზნების მიღწევის ხელშეწყობისთვის. მონიტორინგისა და შეფასების შედეგად სკოლაში გამოიკვეთება ის მიმართულებები, სადაც საჭიროა დამატებითი რესურსი, ტრენინგი ან ცვლილება.

2.3.1 (3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
2. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
3. სასკოლო კურიკულუმი;
4. სასკოლო სასწავლო გეგმა;
5. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
6. განმსაზღვრელი შეფასების მასალები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

სკოლა აცნობიერებს შეფასების პროცესის როლს სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებაში და მის საფუძველზე მიზანმიმართული ცვლილებების საჭიროებას. შეფასების შედეგების ანალიზი გამოიყენება კურიკულუმში მიზნობრივი ცვლილებების შესატანად, რასაც თან ახლავს საგნობრივ კათედრებთან თანამშრომლობა და პრიორიტეტების განსაზღვრა. მტკიცებულებებისა და ინტერვიუების საფუძველზე ჩანს, რომ სკოლა იყენებს შეფასების მრავალფეროვან წყაროებს .მოსწავლეთა შეფასება არ შემოიფარგლება მხოლოდ საბოლოო პროდუქტით, არამედ შეფასება ხორციელდება სწავლა-სწავლების პროცესშიც, გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი ინსტრუმენტები, მათ შორის რუბრიკები, დაკვირვება, ზეპირი/წერილობითი ნამუშევრები და ჯგუფური მუშაობის ანალიზი. შესაბამისად, შეფასების პრაქტიკა მოიცავს როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ წყაროებს, პროცესზე ორიენტირებულ მიდგომებს და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს, რაც არსებითად ემსახურება სწავლა-სწავლების ხარისხობრივ გაუმჯობესებას სკოლაში.

2.3.2 (1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

სსიპ ჭალის საჯარო სკოლაში შეფასების პროცესის დაგეგმვა და განხორციელება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით ხდება. როგორც მტკიცებულებების ანალიზით, ასევე ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლა ცდილობს, შეფასება განახორციელოს სხვადასხვა მიმართულებით - მაგ. მოსწავლის ჩართულობა, მასწავლებლის მიერ ინსტრუქციების მიცემა, სასწავლო მასალის მკაფიოდ მიწოდება და რესურსების გამოყენება. მასწავლებლები რეგულარულად იღებენ უკუკავშირს როგორც მოსწავლეებისგან, ასევე კოლეგებისა და სკოლის ადმინისტრაციისგან. სკოლის წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ შეფასების შედეგები არ რჩება მხოლოდ ფურცელზე, არამედ მათი გათვალისწინებით ხდება სწავლების დაგეგმვა და მოდიფიცირება. ინტერვიუებში სკოლის წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ ცდილობენ, შეფასების პროცესში გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებები, წინარე ცოდნა და გარემო პირობები. მათთან საუბარში იკვეთებოდა იმის გააზრება, რომ სკოლის

კოლექტივისთვის შეფასება არა მხოლოდ მიღწევების დაფიქსირებაა, ასე ვთქვათ, არამედ - სწავლის ხარისხის გაუმჯობესების საშუალებაა.

2.3.2 (2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

სსიპ ჭალის საჯარო სკოლაში მონაცემთა შეგროვებისთვის გამოყენებულია როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი მეთოდები, მათ შორის გამოკითხვა, ინტერვიუ და დაკვირვება (თუმცა, ჩანს, რომ აღნიშნული მეთოდების გარდა სკოლის წარმომადგენლები სხვა მეთოდებსაც იცნობენ). შეფასების პროცესში აქტიურად მონაწილეობენ მოსწავლეები და მასწავლებლები, მონაცემები გამოიყენება როგორც გაკვეთილების, ისე ზოგადი სასწავლო პროცესის ანალიზისთვის, რაც სკოლას აძლევს საშუალებას, შეფასება დაუკავშიროს სწავლების გაუმჯობესებას.

2.3.2 (3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

სკოლის წარმომადგენელთან შეხვედრებისა და წარმოდგენილი მასალების (მტკიცებულებების) ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ მეჯვრისხევის საჯარო სკოლა შეფასებისას ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორს, მათ შორის მოსწავლის ასაკობრივ თავისებურებებს, ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, სოციო-ემოციურ ფონს და ზოგად უნარებს. მასწავლებლები აფიქსირებენ მზაობას, რომ გააანალიზონ, როგორ მოქმედებს ეს ფაქტორები მოსწავლის შედეგებზე, განსაკუთრებით განმავითარებელი შეფასებისას. სკოლაში ყურადღება ექცევა მოსწავლეთა მოტივაციას, ყოფაქცევას და დასწრებას, თუმცა ამ მიმართულებებით მიწოდებული უკუკავშირი ზოგჯერ ეყრდნობა ზოგად შეფასებებს და არა კონკრეტულად გამოკვეთილ მახასიათებლებს. საერთო ჯამში, სკოლა სწორად აღიქვამს შეფასების მნიშვნელობას სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით და კონკრეტული ნაბიჯებიც გადადგმულია, თუმცა მნიშვნელოვანია პროცესები გავნითარდეს შეფასების კონკრეტულობის, შედეგების ანალიზისა და მათი მიზნობრივი გამოყენების მიმართულებით.

2.3.2 (4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შეფასების რუბრიკები (განმავითარებელი და განმსაზღვრელი);
2. სასკოლო კურიკულუმი;
3. სასკოლო სასწავლო გეგმა;
4. დამრიგებლის პორტფოლიო;
5. უკუკავშირები/შეფასებები მოსწავლეებისგან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლის მიერ დამტკიცებულ მეთოდოლოგიურ დოკუმენტში მკაფიოდაა აღწერილი, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარება ეფუძნება მიმდინარე პროცესების ანალიზს და რევიზიას. საჭიროებათა განსაზღვრა და რეკომენდაციების შემუშავება გათვალისწინებულია როგორც მონაცემთა შეგროვების ეტაპზე (მაგ. კათედრების შეხვედრები, მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობა), ასევე კურიკულუმის ყოველწლიური განახლების პროცესში. მეთოდოლოგია ასახავს მზაობას, რომ კურიკულუმის

განვითარება მოხდეს სწავლების, ჩართულობისა და შედეგების ანალიზზე დაყრდნობით, რაც თავისთავად ქმნის საფუძველს სარეკომენდაციო პაკეტის ფორმირებისთვის. რეკომენდაციათა ჩამოყალიბების პროცესი ამ ეტაპზე მეტწილად დოკუმენტშია გაწერილი და საჭიროებს მეტ კონკრეტიკაციას პრაქტიკულ დონეზე, თუმცა სკოლაში მზაობა და საფუძველი შესამჩნევია.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს

სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალის საჯარო სკოლაში არსებული კურიკულუმის შემუშავების, განხორციელებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის რევიზია წინა წლის პროცესის ანალიზზე დაყრდნობით ხორციელდება. კონკრეტულად გაწერილია, რომ შეფასება და გადამუშავება ეფუძნება მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის ანალიზს, აკადემიური შედეგების შეფასებას, მშობლების და მასწავლებლების ჩართულობის დონეს, დაკვირვებას თუ სხვ. ამ ანალიზზე დაყრდნობით კურიკულუმი ყოველწლიურად უნდა განახლდეს
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა;
2. კათედრის შეხვედრების და განხილვების მტკიცებულებები;
3. ინტეგრირებული გაკვეთილის რეფლექსია და უკუკავშირი;
4. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.
შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

თარიღი 21/05/2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: